- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, რაცნიშნავს, რომსტუდენტის მიერ ჩატარებულის ამ მუშაოთა რაოდენობის საკმარისი დამასსაგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სილაბუსებში და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესში, იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

http://www.gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf

საკონტაქტო პირი - დიანა თევზაძე / 2-33-28-43 / d.tevzadze@gtu.ge / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი. თბილისი, მ. კოსტავას 77, III სასწავლო კორპუსი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	240
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს საინჟინრო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი • მისცეს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროში საბაზისო განათლება

ტექნოლოგიური პროცესების გაცნობიერების, წარმოქმნილი პრობლემების და ამოცანების გაგებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

- შეასწავლოს- მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოყენებად პროდუქტებად ბუნებრივი ნედლეულის გადამამუშავების ეკონომიკური მეთოდები და საშუალებები, ტექნოლოგიური პროცესების მართვის ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებები, საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონტექსტში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების მოძიების და ბუნებრივი ნედლეულის სპექტრის ათვისების მეთოდოლოგია, ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხო წარმართვა და ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გარემოს დაცვითი მოთხოვნების მიხედვით ექსპლუატაცია, ნორმატიული მაჩვენებლების გათვალისწინება, პროდუქციის ხარისხის ექსპერტიზის მეთოდოლოგია.
- გამოუმუშავოს ინფორმაციის მოძიების, გადამამუშავების, ანალიზის, კომუნიკაციის, პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ბუნებრივი ნედლეულის მოხმარების სხვადასხვა სფეროში გამოყენებად პროდუქტებად ქიმიური და ბიოლოგიური გზით გადამამუშავებას, ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი კანონზომიერებების გაცნობიერებას, მოწყობილობა -დანადგარების მოქმედების პრინციპების დაუფლებას, ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების კონტროლის მეთოდოლოგიის საფუძვლების ათვისებას, ტექნოლოგიური პროცესის განხორციელების აუცილებელი პარამეტრების დაცვისა და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას.

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნა, საბაზისო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების გაცნობიერება; ბუნებრივი ნედლეულის გადამამუშავების ეკონომიკური მეთოდების და საშუალებების დაუფლება; პროდუქციის კონტროლის მეთოდოლოგიის ათვისება და პროდუქციის ექსპერტიზის სტანდარტებთან, კანონებთან და მარეგლამენტირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენა; გარემოს და შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის სტრატეგიის გაცნობიერება;

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს ტექნოლოგიური პროცესების და საწარმოების დაგეგმარების კანონზომიერებების პრინციპების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.

ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა და მისი ცალკეული

სტადიების მართვა; ტექნოლოგიური პროცესების კანონზომიერებებზე დაყრდნობით ტექნოლოგიური პროცესების შეფასება; პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება;

განსაზღვრული მითითებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად ინოვაციური მეთოდების, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვაში მონაწილეობა; კვლევითი ცალკეული კომპონენტების განხორციელება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების და მითითებების შესაბამისად; ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების უსაფრთხო და გარემოს დაცვითი მოთხოვნებით ექსპლუატაცია; წინასწარ განხორციელებული მითითებების მიხედვით თანამედროვე საწარმოების სტრუქტურების დაპროექტებაში და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზებაში მონაწილეობა; ტექნოლოგიურ პროცესებში მენეჯერული და მარკეტინგული წინადადებების გათვალისწინება.

დასკვნის უნარი:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დარგისათვის დამახასიათებელი პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება, სიტუაციათა ანალიზი სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით პროდუქციის ექსპერტიზის შედეგების, ტექნოლოგიურ პროცესებში რისკ-ფაქტორების შეფასება - შეჯერება.

სამეცნიერო და ტექნოლოგიური ხასიათის კვლევის კომპონენტების შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია; ტექნიკური და ტექნოლოგიური დანადგარების საექსპლუატაციო ღირებულების შეფასება და სათანადო დასკვნის გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი:

საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე. სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენება; პროფესიულ საკითხებზე მოსაზრების ლაკონურად და გასაგებად დაფიქსირება წერითი ფორმით; ქიმიური და ბიოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი ფაქტების, მოვლენების დემონსტრირება; ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაცია ინფორმაციის განსჯისა და განზოგადებისათვის; ტექნოლოგიურ და კვლევით საქმიანობაში პროფესიული მიღწევების პრეზენტაცია.

სწავლის უნარი:

სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა; ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროში პროფესიული ცოდნის და გამოცდილების გაფართოების მიზნით დამოუკიდებლად პროფესიული განვითარება.

ღირებულებები:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება, ეთიკური, პროფესიული და სამართლებრივი ნორმების დაცვა;

ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროში ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით და მუდმივი ზრუნვა მათ გასაუმჯობესებლად.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

<http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

საკონტაქტო პირი : ნაზიბროლა კუციავა / ტელეფონი 599 96 44 48 / e-mail n.kutsiava@gtu.ge /
 მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების ბაკალავრი
სწავლების ენა
ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
<p>სტუდენტი შეისწავლის გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის ძირითად ასპექტებს, ბუნებრივი რესურსების როლს, მისი რაციონალური გამოყენების მნიშვნელობას, გარემოს ობიექტების ხარისხის ნორმატივებს, მასზე მოქმედ მავნე ნივთიერებათა, აგრეთვე ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ზეგავლენას, ბიოსფეროს წონასწორობის დამრღვევ ფაქტორებს, კლიმატური ცვლილებისა და ეკოლოგიური მონიტორინგის საკითხებს, ტოქსიკოლოგიურ მახასიათებლებს, ტოქსიკოკინეტიკისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდებს, საინჟინრო ეკოლოგიის პრობლემებს, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და აუდიტის ძირითად საკითხებს, ასევე გარემოს დაცვით მეთოდებს, აპარატებსა და საშუალებებს, საინჟინრო ეკოლოგიისა და უნარჩენო ტექნოლოგიის საფუძვლებს, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკისა და პროგნოზირების საკითხებს, საწარმოთა უსაფრთხოების პრობლემებსა და საგანგებო სიტუაციების რისკების ფაქტორებს. მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და უსაფრთხოების საკითხების რეალიზაციაზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი
<p>ცოდნა და გაცნობიერება - გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების სფეროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ზოგადი ეკოლოგიის, მოკრობიოლოგიის, ტოქსიკოლოგიის, გარემოს ქიმიის, საინჟინრო ეკოლოგიის, ეკოლოგიური მონიტორინგის, კლიმატური ცვლილების, ეკოლოგიური და შრომის უსაფრთხოების, საგანდგომო სიტუაციების მართვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად ეკოლოგიური ცნობიერების, გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას.</p> <p>- ეკოლოგიური განათლებისა და ცნობიერების ამაღლება, რომელიც მოიცავს ფაქტორიალური, პოპულაციური, ბიოგეოცენოლოგიის, გარემოს ქიმიის, ტოქსიკოლოგიის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ძირითად ასპექტების, ჰიდროსფეროს, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის შედგენილობის, ნივთიერებათა მიგრაციისა და გარდაქმნათა გამოკვლევის, აგრეთვე მათი დაცვის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნას. ბუნებრივი და სამრეწველო ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციის სტრატეგიის, კლიმატური ცვლილებების გამოწვევი ფაქტორების ცოდნას. საინჟინრო ეკოლოგიის საფუძვლების, საწარმოთა საპროექტო-ეკოლოგიური გამოკვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და აუდიტის, უნარჩენო ტექნოლოგიის, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკისა და პროგნოზირების თეორიული, კვლევითი ხასიათისა და პრაქტიკული ასპექტების ათვისებას, გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო კონვენციების გაცნობიერებას, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი პრინციპების ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს უმაღლესი განათლების</p>

შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელებასა და მუშაობაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.

– გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგის განსახორციელებლად ბუნებრივი ობიექტების, სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების შემადგენელი კომპონენტების განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების გამოყენება; ბიოსფეროს წონასწორობის დამრღვევი ფაქტორების ბუნებრივი და ანტროპოგენული წყაროების, ტექნოგენური ავარიებისა და უსაფრთხოების ზომების დადგენის უნარი; უნარჩენო და ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიური პროცესების განვითარებისათვის სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მექანიზმის კინეტიკის და ნიადაგის დაცვის მეთოდების, გამწმენდი აპარატურა-დანადგარების გამოყენებაში მონაწილეობის მიღება; ბიოლოგიურ ობიექტებზე მოქმედი მავნე ნივთიერებათა, ტოქსიკომახასიათებლებისა და ტოქსიკოკინეტიკის გამოკვლევის, გარემოს ბუნებრივი და სამრეწველო ობიექტების კონტროლის და სისუფთავის ხარისხის დადგენის უნარი; სამრეწველო ნარჩენების ტექნოგენურ ნედლეულად გამოყენების შესაძლებლობა; ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის პროგნოზირების, ეკოლოგიური ეფექტურობისა და ეკოლოგიური ზარალის შეფასების უნარი.

დასკვნის უნარი - მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

– ბიოსფეროში მიმდინარე მოვლენების -- ცოცხალი ორგანიზმების (ფლორისა და ფაუნის), საარსებო პირობების, მათი სტრუქტურული და რაოდენობრივი ცვლილებების, გარემოსთან ყველა ბუნებრივ კომპონენტთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების შედეგის, ატმოსფერულ ჰაერში, ჰიდროსფეროსა და ნიადაგში ნივთიერებათა მიგრაციის, შეწონილი, ხსნადი ან უხსნად ფორმათა შესწავლის, მავნე ნივთიერებათა ჰიგიენური ნორმატივების საფუძველზე გარემოს დაცვითი მეთოდების, პრევენციული ღონისძიებებისა და უსაფრთხოების ზომების დასახვა, ეკოლოგიური მენეჯმენტის და აუდიტის საკითხების ოპერირება, ეკოლოგიური ეფექტურობისა და ეკონომიკური ზარალის შეფასება.

კომუნიკაციის უნარი – გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების მიმართულების ძირითად საკითხებზე საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ ასევე უცხოურ ენაზე.

– გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და უსაფრთხოების მიმართულებით ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების უნარი საინჟინრო ეკოლოგიისა და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის. გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონვენციების, ასევე ტექნოგენური ავარიებისა და შრომითი უსაფრთხოების ღონისძიების შესახებ მოძიებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

ინფორმაციის შემოქმედებითად გამოყენების უნარი; პრეზენტაციების ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბებისა და კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხოურ ენებზე.

სწავლის უნარი – ეკოლოგიური ცნობიერების ასამაღლებლად გარემოს ინჟინერიისა და უსართხოების მიმართულებით სწავლის განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში პრიორიტეტების გათვალისწინებით.

– სტუდენტს შეეძლება ეკოლოგიისა და მისი მიმართულებების გლობალური და ზოგადი პრობლემატიკის გარკვევა. ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურული, რაოდენობრივი ცვლილებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების, ბიოსფეროში ნივთიერებათა წრებრუნვების ბუნებრივი და დამრღვევი ფაქტორების გამოვლენა. ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის შემანარჩუნებელი და დამრღვევი ფაქტორების დადგენის შესწავლა. გარემოს ობიექტების ხარისხის დადგენისათვის ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციისა და განხორციელების გზების შესწავლა. გარემოს ობიექტების დამაბინძურებელი მავნე ნივთიერებათა წყაროების, მათი გაუვნებელყოფის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შესწავლა. გამოიმუშავეს გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების შეცნობას, სიტუაციის კრიტიკული მიდგომისა და ინდივიდუალური მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე უსაფრთხო შრომითი პირობების შესაქმნელ ღონისძიებათა და საგანგებო სიტუაციების მართვის ასპექტებს, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, რომელიც აუცილებელია დამოუკიდებლად სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის.

ღირებულებები – გარემოს ინჟინერიისა და უსართხოების სფეროს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.

– საქართველოში და სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების ცვლილებების, პრობლემებისა და მათ ღირებულებებში გარკვევა, გარემოს დაცვითი მეთოდების, აგრეთვე პრევენციული ღონისძიებების გატარებაში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვაში თანამონაწილეობა. გარემოს დაცვისა სფეროში ისეთი ასპექტებისა და ნორმების ღირებულებების გარკვევა, როგორცაა: სამეცნიერო - ტექნიკური, სოციალურ - ეკონომიური, ჰიგიენურ - ესტეტიკური, პედაგოგიური და მორალური.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

	<p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
<p>საკონტაქტო პირი : დიმიტრი ერისთავი / ტელეფონი 599115670/ e-mail d.eristavi@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი.</p>	

<p align="center">ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p align="center">მასალათმცოდნეობა</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>240</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>ინჟინერიის ბაკალავრი მასალათმცოდნეობაში</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ბაკალავრი მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროში. შეასწავლოს მასალათმცოდნეობის საფუძვლები, ლითონური და არალითონური მასალების აგებულება, ფიზიკო-მექანიკური თვისებები და ქიმიურ შედგენილობასა, სტრუქტურასა და თვისებებს შორის კავშირი. გააცნობიერებინოს სხვადასხვა სახის დამუშავებისა და გარემო პირობების გავლენა საკონსტრუქციო მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლებზე; შეასწავლოს ტექნიკაში გამოყენებული უმთავრესი საკონსტრუქციო მასალების თვისებები და გამოყენების სფეროები; გააცნოს ლითონების თერმული და ფორმის შეცვლის ძირითადი ოპერაციები - სხმული ნაკეთობის წარმოება (საკონსტრუქციო და მხატვრული სხმულები), ლითონური პროდუქციისა და კონსტრუქციების შედუღება და დიაგნოსტიკა, ლითონთა წნევით დამუშავება, მათ შორის მასალების</p>

მხატვრული დამუშავება და საიუველირო საქმის საფუძვლები; გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების საკითხები.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება – მასალათმცოდნეობის ინჟინერიის სფეროს მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც მოიცავს მასალათმცოდნეობის, ლითონთა თერმული დამუშავებისა და ფორმის შეცვლის ოპერაციების სფეროებში დამკვიდრებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროების კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების სფეროს ფართო ცოდნა;
- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
- ლითონების თერმული და ფორმის შეცვლის ტექნოლოგიური რეჟიმების განსაზღვრის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- ლითონების მხატვრული დამუშავებისა და საიუველირო ნაკეთობის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა და გაცნობიერება;
- მასალათმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის ცოდნა;
- გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლების ცოდნა.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების სფეროში კონკრეტული და აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება მასალათმცოდნეობაში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების თეორიული დებულებებისა და პრინციპების გამოყენება პრაქტიკული სამუშაოების გადაწყვეტაში;
- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროში ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით;
- მასალათა მაკრო და მიკროსტრუქტურის ხარისხობრივი შესწავლა, მასალათა ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრა;
- ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის, გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობა;

- **დასკვნის უნარი** – მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, მკაფიოდ გამოკვეთილი

პრობლემების ამოცნობა, ასევე განყენებული მონაცემების და/ან სიტუაციების ურთიერთშედარება, ანალიზი და სტანდარტული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

- ახალი ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ახალი და განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სფეროში მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების საექსპლუატაციო მომსახურებასა და შეკეთების ტექნოლოგიურ პროცესზე, აგრეთვე მანქანა-დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობასა და მუშაობის უნარზე დასკვნის შედგენა და განმარტება;

- **კომუნიკაციის უნარი** - იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი, წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა მშობლიურ და უცხოურ ენებზე.

- სამუშაო მიზნების მისაღწევად თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.

- **სწავლის უნარი** – საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება მასალათმცოდნეობისა და მასალების დამუშავების მიმართულეებით შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის უნარი;

• მასალათმცოდნეობის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;

• მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით უახლესი მასალების მოძიების, ათვისებისა და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

- **ღირებულებები** – მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.

- ეთიკისა და მორალის ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროს საწარმოებში მუშაობის პროცესის წარმართვა ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების

<p>უზრუნველყოფით და მუდმივი სწრაფვა გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების პირობების გასაუმჯობესებლად.</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
<p>საკონტაქტო პირი : მიხეილ ოქროსაშვილი / ტელეფონი 599 95 60 21 / e-mail m.okrosashvili@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
მეტალურგია	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
240	
სწავლების ენა	
ქართული	

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მეტალურგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა: შავი ლითონების, შენადნობების, კერძოდ: თუჯების, ფოლადების (ჩვეულებრივი ნახშირბადიანი, ხარისხოვანი, ლეგირებული, უჟანგავი და სხვა სახის სპეციალური ფოლადები), ფეროშენადნობების - ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმის, ფეროქრომის, ფეროვანადიუმის – მეტალურგიაში; ფერადი ლითონების და მასალების კერძოდ: მძიმე, მსუბუქი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონებისა და მათი შენადნობების მეტალურგიაში; მეორეული ლითონების მეტალურგიაში - ჯართისა და საწარმოო ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაცია; მეტალურგიულ ღუმლების თბური მუშაობის და კონსტრუქციის გაანგარიშების და დაპროექტების შესახებ; ფერადი ლითონების პირო- და ჰიდრომეტალურგიული სპეციალური აპარატურის კონსტრუქციის, მუშაობის პრინციპების და ექსპლუატაციის შესახებ; მეტალურგიულ და მომიჯნავე საწარმოებში გარემოს დაცვის თანამედროვე პრინციპების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

1) ცოდნა და გაცნობიერება:

- მეტალურგიის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც შავი ლითონების - თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობების, სპეციალური შენადნობების, ისე ფერადი სუფთა და ზესუფთა ლითონების, შენადნობების მიღების და გადამუშავების ტექნოლოგიების და მათი სრულყოფის ზოგადი ცოდნა და საშუალო დონის მენეჯმენტისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;
- მეტალურგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. მეტალურგიის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- მსოფლიოში მეტალურგიის მიმდინარე მიღწევებისა და სიახლეების ზოგადი ცოდნა;
- შავი და ფერადი მეტალურგიის ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებების ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
- მეტალურგიის ტერმინოლოგიის ცოდნა და მონაწილეობის მიღება ახალი ტერმინების შექმნის პროცესში;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა მეტალურგიული აგრეგატების, მოწყობილობების, საამქროების ნახაზებისა და გეგმების შექმნისათვის;
- მეტალურგიის ტექნოლოგიური პროცესების, ციკლების, სქემების და საწარმოთა დაგეგმარების მეთოდების და განვითარების პერსპექტივების ცოდნა-გაცნობიერება;
- ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების, სიცოცხლის უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება.

2) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება მეტალურგიის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.
- შავი და ფერადი მეტალურგიის თეორიული დებულებებისა და პრინციპების

- კრიტიკული და არგუმენტირებული გააზრება;
- მეტალურგიისათვის დამახასიათებელი მაღალტემპერატურული პროცესების და ასევე ჰიდრომეტალურგიული მეთოდის გამოყენება მაღალი ხარისხის ლითონის მიღების პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობების, კომპლექსური და სპეცშენადნობების, მძიმე, კეთილშობილი, მსუბუქი, იშვიათი, მცირე ფერადი ლითონების ტექნოლოგიის ცოდნის გამოყენების უნარი;
- ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- თბური რეჟიმების დადგენა, აგრეგატების კონსტრუქციების შერჩევა, თბური მუშაობის დარღვევის მიზეზების დადგენა და გამოსწორება;
- მეტალურგიისათვის დამახასიათებელი გამოწვის, დნობის, გამოტუტვის, ცემენტაციის, ელექტროლიზის, იონგაცვლითი, ექსტრაქციის აპარატურის კონსტრუქციებისა და ექსპლუატაციის უნარი, ასევე ზოგიერთი ახალი ბექტერიოლოგიური, ვაკუუმური, პლაზმური ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებების გამოყენება და ანალიზი, მათ შორის პრობლემების გადაჭრის მიზნით;

3) დასკვნის უნარი:

- მკაფიოდ გამოკვეთილი მეტალურგიის პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- მეტალურგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების - ლითონის წარმოების მაჩვენებლები სათბობის და ელექტრულ ღუმლებში, ენერჯის ხარჯი ალქმედ, კონვერტერულ ან ელექტრულ ღუმლებში - შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მადნების ქიმიური და მინერალოგიური მონაცემების შეგროვება და მათ საფუძველზე ლითონის მიღების ტექნოლოგიური მეთოდების შერჩევა და შეფასება;
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, პირადი კონტაქტებით უახლესი ინფორმაციის ოპერატიულად მოძიებისა და დამუშავების უნარი;
- დასკვნის შედგენა და განმარტება მეტალურგიის სფეროში ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის, მოდერნიზაციის ან ახალი წარმოების შექმნის დროს.

4) კომუნიკაციის უნარი:

- იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;
- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად

- გამოყენება;
- პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;
- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- მეტალურგიული ტერმინოლოგიის ინგლისურ და ძირითად ევროპულ ენებზე თავისუფალი ფლობის უნარი.

5) სწავლის უნარი:

- საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- სწავლის მიმართულების განსაზღვრა მსოფლიოში შექმნილი გარემოს, პრიორიტეტების და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მეტალურგიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

6) ღირებულებები:

- მეტალურგიის სფეროს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- მეტალურგიის სფეროს მიღწევების, ისტორიული და ეკონომიკური მნიშვნელობის, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ეთიკისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- მეტალურგიის სფეროში წარმოებებში მუშაობის წარმართვა სიცოცხლისა, გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით და მუდმივი სწრაფვა მათი გაუმჯობესების მიზნით.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

<ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
<p>საკონტაქტო პირი : ომარ მიქაძე / ტელეფონი 593 313000 / e-mail omikadze@gtu.edu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
ქიმია	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ქიმიის ბაკალავრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს ქიმიის ძირითადი ცნებები, კანონები და კანონზომიერებები. ელემენტებისა და ქიმიური ნაერთების, მარტივი და რთული ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; ქიმიური პროცესების მიმდინარეობის პირობების შეფასება და მათი მიმართულების პროგნოზირება - დაგეგმვა; სტუდენტს აათვისებინოს ნივთიერებების (არაორგანული, ორგანული) სინთეზისა და ანალიზის ლაბორატორიული ხერხები და მეთოდები მათი თვისებების სრულყოფილად დასახასიათებლად; ასევე, ქიმიაში სწავლებისა და ინტელექტუალური განვითარების წახალისება; სტუდენტებისათვის საფუძვლიანი ცოდნის გადაცემა მისი შემდგომი კრეატიულად და ანალიტიკურად გამოყენებისათვის;</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი
	<p>ცოდნა და გაცნობიერება: ქიმიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოითხოვს ქიმიის კანონების, დებულებების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. ქიმიური ნაერთების წარმოქმნის, მათი თვისებების, გარდაქმნის კანონზომიერებების და პირობების კრიტიკულ გააზრებას. ლაბორატორიული მოწყობილობებისა და დანადგარების მოქმედების პრინციპების</p>

დაუფლებას, ნივთიერებათა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებისა და თვისებების განსაზღვრის მეთოდების ათვისებას, ქიმიკოსის პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას . ქიმიური პროცესების კომპლექსურად განხილვა - გაცნობიერებას

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ქიმიის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება ნივთიერებათა მისაღებად როგორც ლაბორატორიაში ისე წარმოებაში. მისი ინდივიდუალობის დადგენა, გასუფთავება და თვისებების შესწავლა ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის მეთოდების გამოყენებით. დასმული პრობლემის გადასაჭრელად, წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად სპეციფიკური ანალიზის ჩატარება, მიღებული შედეგების საფუძველზე თერმოდინამიკის კანონებზე დაყრდნობით პროცესის მიმდინარეობის შესაძლებლობის და მიმართულების დადგენა.

დასკვნის უნარი:

ქიმიის დარგისათვის დამახასიათებელი პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება, სიტუაციათა ანალიზი სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით პროდუქციის ექსპერტიზის შედეგების, ტექნოლოგიურ პროცესებში რისკ-ფაქტორების შეფასება -შეჯერება.

ქიმიური ნაერთის შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება საცნობარო ლიტერატურისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ნივთიერებების ან ქიმიური პროცესების სრულად დახასიათება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი:

საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე. ლაბორატორიული ექსპერიმენტის გაფორმება, ექსპერიმენტის შედეგების დაფიქსირება, ცხრილური და გრაფიკული მეთოდებით გამოსახვა. ქიმიური ამოცანის, ექსპერიმენტისა და ექსპერიმენტის შედეგების პრეზენტაცია;

სწავლის უნარი:

სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, ქიმიის კუთხით ინტელექტუალური განვითარებისა და სწავლის წახალისება; საფუძველის შექმნა ქიმიის შემდგომ საფეხურებზე სწავლისათვის;

ღირებულებები:

ქიმიის სფეროს ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება, ეთიკური, პროფესიული და სამართლებრივი ნორმების დაცვა; ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; ქიმიის სფეროში ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით და მუდმივი ზრუნვა მათ გასაუმჯობესებლად.

<p>პროფესიული ღირებულებების დაცვა, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა, ექსპერიმენტით მიღებული მონაცემების უტყუარობა და გაზომვების, ანათვლების მაღალი სიზუსტის დაცვა;</p>	
<p>შეფასების წესი</p>	
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>თანდართულ სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები.</p>	
<p>საკონტაქტო პირი : დენიტა ბიბილეიშვილი / ტელეფონი 599 44 88 73 / e-mail d.bibileishvili@gtu.ge/ მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>	

<p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია</p>	
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>	<p>240</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი</p>
<p>სწავლების ენა</p>	<p>ქართული</p>

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა სურსათის წარმოების ინჟინერიის ისეთ სფეროში, როგორცაა პურპროდუქტების, საკონდიტრო პროდუქტების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებს, ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონსერვო წარმოების, შაქრის წარმოების ინჟინერიაში;
- შეასწავლოს სტუდენტს დარგის ძირითადი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები, საწარმოს ძირითადი და დამხმარე ტექნოლოგიური ხაზების დაგეგმარება, ხაზების ოპერირება და ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმის დაცვა;

შეასწავლოს სტუდენტს დანადგარების გეგმის, საწარმოს მოცულობის და დანადგარების განაწილების გეგმის შემუშავება;

- ჩართოს სტუდენტები საკვები პროდუქტების ტექნოლოგიურ პროცესების კვლევებში, გაზომვების ჩატარებასა და ექსპერიმენტალური მონაცემების მათემატიკურ მოდელირებაში; შეასწავლოს სტუდენტს საწარმოში ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური დისციპლინის კონტროლისა და ტექნოლოგიური დანადგარების სწორი ექსპლოატაციის საკითხები ; შეასწავლოს სტუდენტს სურსათის ინჟინერიაში გამოყენებული მანქანა-აპარატები, წარმოებისას მიმდინარე ტექნოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური პროცესები, ძირითადი და დამხმარე ნადლეულის შეფასება და მისი წინასწარი მომზადება;

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება — აცნობიერებს და იცის სურსათის წარმოების ინჟინერიის სფერო ისეთი ფართო სპექტრით, როგორცაა სურსათის წარმოების პროცესების ძირითადი პრინციპები, სასურსათო ნადლეულის გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობები – კონსტრუქციული აგებულებით, ტექნიკურ-ტექნოლოგიური მონაცემებითა და თავისებურებებით, ტექნოლოგიური ნარჩენების გადამამუშავებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების გზები, სურსათის წარმოების საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის პრინციპული საკითხები და სქემები, სასურსათო პროდუქტების შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამამუშავების კომპლექსური საკითხები, წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური კონტროლის თეორიული და პრაქტიკული მეთოდოლოგია, სასურსათო პროდუქტების საწარმოო უბნებისა და საწარმოო ხაზების ინჟინრული დაგეგმვისა და პროექტირების ძირითადი საკითხები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია სურსათის წარმოების ინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი – თეორიულად მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკული

სამუშაოების შესრულებისას, პრაქტიკული გზების დასახვა და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით – წარმოების ნარჩენების შემცირებისა და მათი მეორადი გამოყენების, ტექნიკური და ტექნოლოგიური საწარმოო დანაკარგების შემცირებისა და ახალი, უფრო ხელმისაწვდომი ნედლეულის, მასალებისა და დანადგარების გამოყენებით ; შეუძლია ისეთი პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, როგორცაა საწყობებისა და საწარმოო კვანძების

დაგეგმარება, ძირითადი საწარმოო პროცესების დაგეგმარება – ნედლეულის გადასაადგილებელი ტრანსპორტირების საშუალებებითა და საწარმოო ტექნოლოგიური გაანგარიშებებით, ძირითადი დანადგარების შერჩევითა და მოცემული ასორტიმენტისათვის მათი მწარმოებლობის განსაზღვრით, შესაბამისი გრაფიკული სქემების დაგეგმარებითა და გამოყენებით;

დასკვნის უნარი – შეუძლია სურსათის წარმოების ინჟინერიის სფეროსათვის საჭირო საინტერესო მასალებზე (ძირითადი და დამხმარე დანადგარები, ძირითადი და დამხმარე ნედლეული, შესაფუთი საშუალებები, პროდუქციის წარმოების, შენახვის, რეალიზაციის ახალი მეთოდები და სხვ.) მოიძიოს და შეაგროვოს ინფორმაციები სხვადასხვა თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით, პროფილის შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე, გამოფენებზე დასწრებითა და მონაწილეობით, გაანალიზოს შეგროვებული მონაცემები, სფეროსათვის გამორჩეულ და საინტერესო საკითხებზე და შესაძლებელ რისკ-ფაქტორებზე ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნა და მოახდინოს სპეციალისტებთან ამ ინფორმაციების განხილვა;

კომუნიკაციის უნარი– შეუძლია სისტემატურად აკონტროლოს სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის ირგვლივ და კონკრეტულ საწარმოში არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემები, მოიძიოს გზები და საშუალებები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, ითანამშრომლოს ადგილობრივ და უცხოურ სპეციალისტებთან, გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები; შეუძლია დებატებში მონაწილეობა საინჟინერო-ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური საკითხების გარშემო – სურსათის ინჟინერიის სფეროში მომქმედი ბრძანებების, საკანონმდებლო

აქტებისა, მარეგლამენტირებელი და მარეგულირებელი აქტების განხილვისას;

სწავლის უნარი – შეუძლია შეაფასოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, განსაზღვროს სწავლის გაგრძელების საჭიროება, დასახოს მიმართულებები და საშუალებები მისი გაღრმავებისათვის – ექსპერიმენტული კვლევების ჩატარების მეთოდებისა და საინფორმაციო რესურსების ათვისებითა და გამოყენებით მიაღწიოს შედეგს;

ღირებულებები – შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში, პატივს სცემს და აფასებს სფეროსათვის დამახასიათებელ ღირებულ

სტანდარტების, საპატენტო კვლევების, გამოგონებებს, ეკონომიკის, გარემო პირობების, შრომის

უსაფრთხოების ნორმებისა და წესების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვას;

შეფასების წესი	
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>თანდართულ სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები.</p>	
<p>საკონტაქტო პირი : როზა ხუციშვილი / ტელეფონი 599 16 67 33 / e-mail d.khutzishvili@gmail.com. / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>	
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
ფარმაცია	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
240	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ფარმაციის ბაკალავრი	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	
<p>პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, სათანადო კომპეტენციის ლიბერალური ღირებულებების, პროფესიული ზრდისა და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც შეეძლებათ თანამედროვე ფარმაცევტული სექტორის მოთხოვნების და მიღებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით - ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია და მოსახლეობის უზრუნველყოფა უსაფრთხო, ხარისხიანი, ხელმისაწვდომი სამკურნალო</p>	

საშუალებებით; განუვითარდებათ ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი, ჩამოუყალიბდებათ პროფესიული და პიროვნული ღირებულებები.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ იცის ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის საფუძვლები, ანალიზური ქიმია და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები და აცნობიერებს ქიმიის როლს ფარმაცევტული დისციპლინების ათვისებაში;
- ❖ იცის მათემატიკის ძირითადი საბაზო საკითხები;
- ❖ ფლობს ლათინურ ენას და ფარმაცევტულ ტერმინოლოგიას, აცნობიერებს ლათინური ენის მნიშვნელობას ფარმაცევტისათვის;
- ❖ აცნობიერებს ჯანდაცვის როლს ქვეყნის განვითარების საქმეში;
- ❖ ზოგადად იცნობს და აცნობიერებს ადამიანის ანატომიის, ადამიანის ფიზიოლოგიის, ზოგადი პათოლოგიის, როლს მაღალკვალიფიციური ფარმაცევტის მომზადების საქმეში;
- ❖ ზოგადად იცნობს და აცნობიერებს ადამიანის ორგანიზმის ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფორმას და აგებულებას, უჯრედთა ინტეგრაციას და ქსოვილთა წარმოქმნას, სხვადასხვა ქსოვილის სტრუქტურულ და ფუნქციურ ორგანიზაციას, მათ წარმოშობას, ადამიანის ორგანიზმში მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე მიმდინარე ძირითად ბიოლოგიურ პროცესებს;
- ❖ აცნობიერებს და იცის ბიოეთიკის, სამედიცინო ფსიქოლოგიის საფუძვლების, ზოგადი ჰიგიენის, ზოგადი სამედიცინო მიკრობიოლოგიის ძირითადი პრინციპები და კომპლექსური საკითხები;
- ❖ ზოგადად იცნობს და აცნობიერებს სასიცოცხლო პროცესების მოლეკულურ მექანიზმებს, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებს - როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ნორმალური პროცესების, ასევე მათი დარღვევების დროს;
- ❖ იცის მიკროსამყაროს (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თავისებურებები და ამ მიკროსამყაროს ურთიერთქმედება ადამიანთან, კერძოდ, იმუნურ სისტემასთან;
- ❖ აცნობიერებს ფარმაცოგნოზის, ფარმაცევტული ტექნოლოგიის, გალენური პრეპარატების ტექნოლოგიის, სამკურნალო, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგიის კომპლექსურ საკითხებს და იცის მათი პრაქტიკაში გამოყენების გზები;
- ❖ იცის და აცნობიერებს ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის წესებს; ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების მნიშვნელობას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც ავთიაქის, ასევე საწარმოს პირობებში;
- ❖ იცის და აცნობიერებს ტოქსიკოლოგიური ქიმიის საფუძვლებში, ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში, **ფარმაცევტული ქიმიაში და ბიოქიმიაში განხილული საკითხების** თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების აუცილებლობას;
- ❖ იცის ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთთა ძირითადი კლასების: ნახშირწყლების, ცილების, ლიპიდებისა და სხვ. შედგენილობა, ნაერთების ცვლა, პათოლოგიური პროცესები;
- ❖ იცის ძირითადი ქიმიური და ფარმაცოლოგიური ჯგუფები, მათი მოქმედების მექანიზმები, ფარმაცოლოგიური ეფექტები, ორგანიზმში შეყვანის, ბიოტრანსფორმაციისა და ელიმინაციის გზები; რაციონალური ფარმაცოთერაპიის საფუძვლები;
- ❖ იცის ფარმაცოლოგიის საფუძვლები და ფარმაცოლოგია, ფარმაცოკინეტიკის საფუძვლები,

სოციალური ფარმაცის საფუძვლები, სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, აცნობიერებს მათ როლს ფარმაცევტის მომზადების საქმეში;

- ❖ იცის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძვლები;
- ❖ იცის ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები;
- ❖ იცნობს წამალთა ნომენკლატურას, და იცის მათი სწორი შენახვის, დაწყობის, რეალიზაციის პრინციპები;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ აქვს სამკურნალო, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ქიმიისა და ექსპერტიზის, ფარმაცოთერაპიის, ზოგადი ტოქსიკოლოგიის, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიისა და ექსპერტიზის, ფიტოთერაპიის (მცენარეული, არაორგანული და ორგანული ნედლეული) **ფარმაცევტული ქიმიის (ორგანული სამკურნალო საშუალებები)** ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და აცნობიერებს მათ როლს ფარმაცევტის მომზადებაში;
- ❖ იცის ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და ანალიზის ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლები;
- ❖ აცნობიერებს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და პათოლოგიურ პროცესებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა როლს და მნიშვნელობას;
- ❖ იცის ტოქსიკანტების ცალკეული ჯგუფების მოკლე დახასიათება. ბიოლოგიური ტოქსიკანტები. ბაქტერიული ტოქსიკანტები. მიკოტოქსინები. უმაღლესი მცენარეების ტოქსინები. ზოოტოქსინები (ცხოველების ტოქსინები). ბუნებრივი არაორგანული ნაერთები. ბუნებრივი ორგანული ნაერთები. სინთეზური ტოქსინები. პესტიციდები. ორგანული გამხსნელები. წამლები, კვებითი დანამატები, კოსმეტიკური საშუალებები. საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებები (სმნ). აქვს სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი;
- ❖ იცის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ზოგადი ქიმია და ექსპერტიზის საშუალებები. კუმარინების, ფლავონოიდების, ანტრაქინონების, კარდენოლიდების და ბუფადიენოლიდების კლასიფიკაცია და მათი განაწილება მცენარეში, მეორეული წარმოშობის მცენარეული ნივთიერებები - ჰიდროარომატული ნაერთები, ფენოლური ნაერთები და სხვ. აცნობიერებს მათი შესწავლის აუცილებლობას;
- ❖ იცის, რომ მცენარეებით მკურნალობა ხშირად თანამედროვე წამლებისა და მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად გამოიყენება. სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია ქრონიკულად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში, იცის ფიტოთერაპიული საშუალებების ქიმიური საფუძვლები, ოფიცინალური, არაოფიცინალური და ხალხური მედიცინის ნომენკლატურა;
- ❖ იცის სამკურნალო საშუალებათა ბრუნვა და სახელმწიფო რეგისტრაცია, სერთიფიცირება, გაყიდვა, რეკლამა; ფარმაცევტული ტექნოლოგიები; კერძო სამედიცინო მიკრობიოლოგია; ჰომეოპათია და ჰომეოპათიური საშუალებების ტექნოლოგია; ფარმაცევტული წარმოების პროცესები და აპარატები; ფარმაცევტული დახმარება; აცნობიერებს მათი შესწავლის აუცილებლობას;
- ❖ აცნობიერებს ფარმაცევტულ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას, ერკვევა ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებში;
- ❖ აცნობიერებს ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის

წესების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების დაცვის მნიშვნელობას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც აფთიაქის, ასევე საწარმოს პირობებში;

- ❖ იცის აფთიაქებში, ლაბორატორიებსა და ფარმაცევტულ საამქროებში მუშაობის წესები;
- ❖ იცის ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის დროს გამოყენებული აპარატურა-მანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ იცის მედიკო-ბიოლოგიური და ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების თეორიული საფუძვლები და აქვს მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- ❖ ერკვევა თანამედროვე ბიოქიმიური კვლევების მეთოდებში, შეუძლია ბიოორგანიზმის შედგენილობაში არსებული ნაერთების სტრუქტურის, თვისებებისა და ლოკალიზაციის, აგრეთვე მათი წარმოქმნის გზებისა და კანონზომიერებების; გარდაქმნათა თანმიმდევრობისა და მექანიზმის; მათი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობის განსაზღვრა.
- ❖ შეუძლია სამკურნალო მცენარეული ნედლეულის რაციონალური შერჩევა;
- ❖ შეუძლია დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- ❖ გარკვეულია წამალთა ფორმების კლასიფიკაციასა და მათ სააფთიაქო, თუ საქარხნო ტექნოლოგიაში, შეუძლია წამალთა ფორმების დამზადება და სტანდარტიზაცია;
- ❖ იცის ფარმაცევტული ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნები, შეუძლია ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ❖ შეუძლია სახელმწიფო ფარმაცოპიაში მოცემული სტანდარტული მეთოდებით ნივთიერებათა მიღება და მათი ქიმიური ანალიზის პრაქტიკულად განხორციელება;
- ❖ შეუძლია ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) და სინთეზური ნედლეულის დამზადება, გადამუშავება და შენახვა;
- ❖ შეუძლია სამკურნალო მცენარეული, ნედლეულის დამზადება, გადამუშავება სტანდარტიზაცია და შენახვა;
- ❖ იცის მცენარეში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოცალკევების და მათი იდენტიფიკაციის დადგენა;
- ❖ იცის მცენარის მაკროსკოპული და მიკროსკოპული ანალიზი, ჰისტოქიმია და მიკროქიმიური ანალიზი, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მორფოლოგიურ-ანატომიური აღწერა; ფოთლისა და ყვავილის მაკრო და მიკრო ანალიზი, დაწვრილმანებული ნედლეულის მიღება საანალიზო სინჯის აღება და კეთილხარისხოვნების დადგენა. სამკურნალო მცენარეული ნედლეულების ნაკრებების შედგენა და ანალიზი;
- ❖ აქვს უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით მომხმარებლის უზრუნველყოფის და მომხმარებლის უფლებების დაცვის უნარი;
- ❖ იცის ატმოსფერული ჰაერის, სასმელი წყლის, ნიადაგის, კვების პროდუქტების დამაბინძურებელი ფიზიკურ, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორები, შეუძლია ნეიტრალიზაციის მეთოდების გამოყენება;
- ❖ აქვს წამლის კლინიკური ეფექტურობისა და ღირებულებითი ეფექტურობის შეფასების უნარი;

- ❖ შეუძლია: რეცეპტის მიხედვით წამლის გაცემა და დოზირების, დანიშნულების, მიღებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალწამლო საშუალებების რაციონალური შერჩევა;
- ❖ შეუძლია აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია;
- ❖ აქვს მომხმარებლის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასების უნარი;
- ❖ შეუძლია გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ❖ აქვს სპეცკონტროლს დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალწამლო საშუალებების აღრიცხვისა და გაცემის უნარი;
- ❖ აქვს სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიული-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების უნარი;
- ❖ აქვს შეუთავსებადი ან არასწორი დოზირებით გამოწერილი რეცეპტის შემთხვევაში, ექიმთან ურთიერთობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ შეუძლია სამკურნალო საშუალებების ფარმაკოგნოსტური, ტოქსიკოლოგიური და ქიმიური ანალიზის ჩატარება;
- ❖ შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება;
- ❖ შეუძლია განსაზღვროს ტოქსიკანტის მოლეკულის გეომეტრია. ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ტოქსიკანტების სტაბილურობა გარემოში. ქიმიური თვისებები. ქიმიური ბმების ტიპები, რომელიც წარმოიქმნება ტოქსიკანტსა და სამიზნეს შორის;
- ❖ შეუძლია სამკურნალო, პროფილაქტიკური, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ნედლეულის, სუბსტანციის და ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლი;
- ❖ ერკვევა ზოგიერთი დაავადების გამომწვევ მიზეზებში და შეუძლია მისი სამკურნალო პრეპარატების სწორად შერჩევა; საჭიროების შემთხვევაში პრეპარატის შეცვლა; ინფორმაციის მიცემა თითოეულ პრეპარატზე;
- ❖ შეუძლია რაციონალური ფარმაკოთერაპიული დახმარება;
- ❖ შეუძლია განსაზღვროს ფიტოთერაპიული საშუალებების გამოყენების ძირითადი პრინციპები, ჩვენება და უკუჩვენება, უპირატესობა ქიმიურ შენაერთებთან შედარებით;
- ❖ შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სამკურნალო საშუალებათა ტექნოლოგიასა და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციაში;
- ❖ შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება, სამკურნალო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება (რეცეპტის შესაბამისად) და ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება (რეგლამენტის შესაბამისად);
- ❖ შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისიანობის ვადების დადგენა;

დასკვნის უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში ფაქტობრივი მონაცემების გააზრება-გაანალიზება და დასკვნის გაკეთება, წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის

გაკეთება.

- ❖ შეუძლია ფარმაკოპეიაში მოცემული ანალიზის მეთოდების გამოყენებით სამკურნალო, პარფიუმერული, კოსმეტიკური და პროფილაქტიკური საშუალებების კეთილხარისხოვნების შესახებ დასკვნის გაკეთება;
- ❖ ატმოსფერული ჰაერის, სასმელი წყლის, ნიადაგის, კვების პროდუქტების დაბინძურების შემთხვევაში შეუძლია დასაბუთებული დასკვნის გაკეთება;
- ❖ აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი მასალის შეგროვების, დამუშავების, ანალიზის უნარი და შედეგების განმარტება;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ შეუძლია ტოქსიკანტების და ტოქსიკურობის შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება, ტოქსიკანტის ზემოქმედების და მისი ტოქსიკურობის, აგრეთვე რისკფაქტორების შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ❖ შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში, კერძოდ სამკურნალო საშუალებათა ბრუნვის და სახელმწიფო რეგისტრაციის, სერთიფიცირების, გაყიდვისა და რეკლამირების დროს წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტორივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მიზეზების დადგენა და შესაბამისი დასკვნის გაკეთება;

კომუნიკაციის უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ შეუძლია პროფესიულ თემებზე დისკუსია და დებატები კოლეგებთან;
- ❖ შეუძლია მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- ❖ აქვს ინფორმაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- ❖ შეუძლია ლათინური ენის იდეებისა და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის საკვანძო საკითხების სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა; ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა;
- ❖ შეუძლია ახალი პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება კოლეგებისა და მომხმარებლებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე;
- ❖ აქვს „ბიოეთიკის“ და „ბიოსამედიცინო ეთიკის“, მორალისა და სამათლის ურთიერთმიმართების, ეთიკური ანალიზის საშუალებების შესახებ ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერის; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი;
- ❖ აქვს ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობის უნარი;
- ❖ აქვს ვერბალური და წერილი კომუნიკაციის უნარი;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ აქვს ახალ სიტუაციაში ადაპტაციის უნარი;
- ❖ შეუძლია სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე, აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

სწავლის უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ შეუძლია ძირითად საბაზო დისციპლინებში საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- ❖ გააჩნია პროფესიული და კარიერული ზრდის მიზნით სწავლის უნარი;
- ❖ შეუძლია ბოტანიკის, მცენარეთა მორფოლოგიის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის, აგრეთვე ადამიანის ანატომიის, ადამიანის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის თეორიული ასპექტების შესწავლა, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ აქვს შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი;
- ❖ გააჩნია დამოუკიდებლად სასწავლო კომპონენტების შერჩევისა და სწავლის დაგეგმვის უნარი;
- ❖ აქვს ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარი, შეუძლია აღნიშნული მიმართულებით სწავლის საჭიროების დადგენა.

ღირებულებები

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ გააჩნია ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი;
- ❖ პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე;
- ❖ იცავს მომხმარებლის ინტერესებს; გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგრძნება;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ გააჩნია მუშაობის წარმართვის უნარი სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;
- ❖ მკურნალ ექიმებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პაციენტისთვის ხელმისაწვდომი მედიკამენტების შერჩევას;
- ❖ მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, განსაკუთრებით: ძლიერმოქმედი, ფსიქოტროპული და ტერატოგენული ეფექტის მქონე სამკურნალო საშუალებების დოზების შემოწმებისას და გაცემისას;

შეუძლია მონაწილეობის მიღება დარგის ღირებულებების ფორმირების დასამკვიდრებლად სწრაფვაში;

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტთა მიღწევების შეფასება მთელი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში 15 ყოველკვირეული შეფასების, ორი შუალედური გამოცდის (ტესტირების) და დასკვნითი გამოცდის საფუძველზე ხდება.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც ყოველკვირეულ შეფასებებსა და შუალედურ ტესტირებებში დაგროვილი აქვს 21 და მეტი ქულა, ამასთან ერთად, თუ შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების (ლაბორატორიული, პრაქტიკული, საკურსო) მინიმუმი.

სტუდენტს უფლება აქვს, ერთი სემესტრის განმავლობაში, ყოველ სასწავლო კურსში: 1. თითოეულ ტესტირებაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ; 2. სასესიო კვირების განმავლობაში დასკვნით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ (27.05.2010. №256);

საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით, ბაკალავრი არაა ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას შუალედური შეფასებების (ყოველკვირეული შეფასებები, შუალედური ტესტირებები) ჯამში უგროვდება 51 და მეტი ქულა;

თუ დასკვნით გამოცდაზე დაშვებულმა სტუდენტმა შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასებების ჯამში დააგროვა 41-50 ქულა (შეფასებაFX), მას ეძლევა უფლება იმავე სემესტრის სასესიო კვირებში, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე;

დასკვნით, ან/და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად სასაბუთო საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე (24.02.2012. №607)

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

გარემოს დაცვითი ინჟინერია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების ბაკალავრი

სწავლების ენა

რუსული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სტუდენტი შეისწავლის გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის ძირითად ასპექტებს, ბუნებრივი რესურსების როლს, მისი რაციონალური გამოყენების მნიშვნელობას, გარემოს ობიექტების ხარისხის ნორმატივებს, მასზე მოქმედ მავნე ნივთიერებათა, აგრეთვე ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ზეგავლენას, ბიოსფეროს წონასწორობის დამრღვევ ფაქტორებს, კლიმატური ცვლილებისა და ეკოლოგიური მონიტორინგის საკითხებს და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდებს, საინჟინრო ეკოლოგიის პრობლემებს, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და აუდიტის ძირითად საკითხებს, ასევე გარემოს დაცვით მეთოდებს, აპარატებსა და საშუალებებს, საინჟინრო ეკოლოგიისა და უნარჩენო ტექნოლოგიის საფუძვლებს, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკისა და პროგნოზირების საკითხებს, საწარმოთა უსაფრთხოების პრობლემებსა და საგანგებო სიტუაციების რისკების ფაქტორებს.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

– ეკოლოგიური განათლებისა და ცნობიერების ამაღლება, რომელიც მოიცავს ფაქტორიალური, პოპულაციური, ბიოგეოცენოლოგიის, გარემოს ქიმიის, ტოქსიკოლოგიის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ძირითად ასპექტების, ჰიდროსფეროს, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის შედგენილობის, ნივთიერებათა მიგრაციისა და გარდაქმნათა გამოკვლევის, აგრეთვე მათი დაცვის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნას. ბუნებრივი და სამრეწველო ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციის სტრატეგიის, კლიმატური ცვლილებების გამოწვევი ფაქტორების ცოდნას. საინჟინრო ეკოლოგიის საფუძვლების, საწარმოთა საპროექტო-ეკოლოგიური გამოკვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და აუდიტის, უნარჩენო ტექნოლოგიის, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკისა და პროგნოზირების ათვისებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგის განსახორციელებლად ბუნებრივი ობიექტების, სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების შემადგენელი კომპონენტების განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების გამოყენება; ბიოსფეროს წონასწორობის დამრღვევი ფაქტორების ბუნებრივი და ანთროპოგენული წყაროების, ტექნოგენური ავარიებისა და უსაფრთხოების ზომების დადგენის უნარი; უნარჩენო და ეკოლოგიურად

უვნებელი ტექნოლოგიური პროცესების განვითარებისათვის სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მექანიზმის კინეტიკის და ნიადაგის დაცვის მეთოდების, გამწმენდი აპარატურა-დანადგარების გამოყენებაში მონაწილეობის მიღება; ბიოლოგიურ ობიექტებზე მოქმედი მავნე ნივთიერებათა, ტოქსიკომახასიათებლებისა და ტოქსიკოკინეტიკის გამოკვლევის, გარემოს ბუნებრივი და სამრეწველო ობიექტების კონტროლის და სისუფთავის ხარისხის დადგენის უნარი; სამრეწველო ნარჩენების ტექნოგენურ ნედლეულად გამოყენების შესაძლებლობა; ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის პროგნოზირების, ეკოლოგიური ეფექტურობისა და ეკოლოგიური ზარალის შეფასების უნარინათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელებასა და მუშაობაში.

დასკვნის უნარი - ბიოსფეროში მიმდინარე მოვლენების -- ცოცხალი ორგანიზმების (ფლორისა და ფაუნის), საარსებო პირობების, მათი სტრუქტურული და რაოდენობრივი ცვლილებების, გარემოსთან ყველა ბუნებრივ კომპონენტთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების შედეგის, ატმოსფერულ ჰაერში, ჰიდროსფეროსა და ნიადაგში ნივთიერებათა მიგრაციის, შეწონილი, ხსნადი ან უხსნად ფორმათა შესწავლის, მავნე ნივთიერებათა ჰიგიენური ნორმატივების საფუძველზე გარემოს დაცვითი მეთოდების, პრევენციული ღონისძიებებისა და უსაფრთხოების ზომების დასახვა, ეკოლოგიური მენეჯმენტის და აუდიტის საკითხების ოპერირება, ეკოლოგიური ეფექტურობისა და ეკონომიკური ზარალის შეფასება.

კომუნიკაციის უნარი - გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და უსაფრთხოების მიმართულებით ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების უნარი საინჟინრო ეკოლოგიისა და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის. გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონვენციების, ასევე ტექნოგენური ავარიებისა და შრომითი უსაფრთხოების ღონისძიების შესახებ მოძიებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფორმაციის შემოქმედებითად გამოყენების უნარი; პრევენციების ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბებისა და კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხოურ ენებზე.

სწავლის უნარი - სტუდენტს შეეძლება ეკოლოგიისა და მისი მიმართულებების გლობალური და ზოგადი პრობლემატიკის გარკვევა. ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურული, რაოდენობრივი ცვლილებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების, ბიოსფეროში ნივთიერებათა წრებრუნვების ბუნებრივი და დამრღვევი ფაქტორების გამოვლენა. ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის შემანარჩუნებელი და დამრღვევი ფაქტორების დადგენის შესწავლა. გარემოს ობიექტების ხარისხის დადგენისათვის ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზაციისა და განხორციელების გზების შესწავლა. გარემოს ობიექტების დამაბინძურებელი მავნე ნივთიერებათა წყაროების, მათი გაუვნებელყოფის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შესწავლა. გამოიმუშავეს გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების შეცნობას, სიტუაციის კრიტიკული მიდგომისა და ინდივიდუალური მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე უსაფრთხო შრომითი პირობების შესაქმნელ ღონისძიებათა და საგანგებო სიტუაციების მართვის ასპექტებს, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, რომელიც

აუცილებელია დამოუკიდებლად სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის.
დაღირებულებები – საქართველოში და სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების ცვლილებების, პრობლემებისა და მათ ღირებულებებში გარკვევა, გარემოს დაცვითი მეთოდების, აგრეთვე პრევენციული ღონისძიებების გატარებაში მათ დასამკვიდრებლად სწრაფვაში თანამონაწილეობა. გარემოს დაცვისა სფეროში ისეთი ასპექტებისა და ნორმების ღირებულებების გარკვევა, როგორცაა: სამეცნიერო - ტექნიკური, სოციალურ - ეკონომიური, ჰიგიენურ - ესტეტიკური, პედაგოგიური და მორალური..

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შეფასება;
- შუალედური შეფასება;
- დაცკვნიტი გამოცდა.

შეფასების მეთოდები

- ტესტირება;
- წერითი დავალება;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პრეზენტაცია;

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

<http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

საკონტაქტო პირი : დიმიტრი ერისთავი / ტელეფონი 599115670/ e-mail d.eristavi@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი

სწავლების ენა

რუსული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

- მოამზადოს საინჟინრო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი
- მისცეს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროში საბაზისო განათლება ტექნოლოგიური პროცესების გაცნობიერების, წარმოქმნილი პრობლემების და ამოცანების გაგებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.
- შეასწავლოს- მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოყენებად პროდუქტებად ბუნებრივი ნედლეულის გადამამუშავების ეკონომიკური მეთოდები და საშუალებები, ტექნოლოგიური პროცესების მართვის ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებები, საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონტექსტში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების მოძიების და ბუნებრივი ნედლეულის სპექტრის ათვისების მეთოდოლოგია, ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხო წარმართვა და ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გარემოს დაცვითი მოთხოვნების მიხედვით ექსპლუატაცია, ნორმატიული მაჩვენებლების გათვალისწინება, პროდუქციის ხარისხის ექსპერტიზის მეთოდოლოგია.
- გამოუმუშავოს ინფორმაციის მოძიების, გადამამუშავების, ანალიზის, კომუნიკაციის, პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარები.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ტექნოლოგიის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ბუნებრივი ნედლეულის მოხმარების სხვადასხვა სფეროში გამოყენებად პროდუქტებად ქიმიური და ბიოლოგიური გზით გადამამუშავებას, ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი კანონზომიერებების გაცნობიერებას, მოწყობილობა -დანადგარების მოქმედების პრინციპების დაუფლებას, ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების კონტროლის მეთოდოლოგიის საფუძვლების ათვისებას, ტექნოლოგიური პროცესის განხორციელების აუცილებელი პარამეტრების დაცვისა და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას.

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნა, საბაზისო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების გაცნობიერება; ბუნებრივი ნედლეულის გადამამუშავების

ეკონომიკური მეთოდების და საშუალებების დაუფლება; პროდუქციის კონტროლის მეთოდოლოგიის ათვისება და პროდუქციის ექსპერტიზის სტანდარტებთან, კანონებთან და მარეგლამენტირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენა; გარემოს და შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის სტრატეგიის გაცნობიერება;

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს ტექნოლოგიური პროცესების და საწარმოების დაგეგმარების კანონზომიერებების პრინციპების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.

ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა და მისი ცალკეული სტადიების მართვა; ტექნოლოგიური პროცესების კანონზომიერებებზე დაყრდნობით ტექნოლოგიური პროცესების შეფასება; პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება;

განსაზღვრული მითითებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად ინოვაციური მეთოდების, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვაში მონაწილეობა;

კვლევითი ცალკეული კომპონენტების განხორციელება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების და მითითებების შესაბამისად; ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების უსაფრთხო და გარემოს დაცვითი მოთხოვნებით ექსპლუატაცია; წინასწარ განხორციელებული მითითებების მიხედვით თანამედროვე საწარმოების სტრუქტურების დაპროექტებაში და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზებაში მონაწილეობა;

დასკვნის უნარი:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დარგისათვის დამახასიათებელი პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება, სიტუაციათა ანალიზი სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით პროდუქციის ექსპერტიზის შედეგების, ტექნოლოგიურ პროცესებში რისკ-ფაქტორების შეფასება - შეჯერება.

კომუნიკაციის უნარი:

საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და ასევე უცხო ენაზე. სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენება; პროფესიულ საკითხებზე მოსაზრების ლაკონურად და გასაგებად დაფიქსირება წერიითი ფორმით;

სწავლის უნარი:

სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;

	<p>ღირებულებები: ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
<p>საკონტაქტო პირი : ნაზიბროლა კუციავა / ტელეფონი 599 96 44 48 / e-mail n.kutsiava@gtu.ge /</p>	<p>მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
მასალათმცოდნეობა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ინჟინერიის ბაკალავრი მასალათმცოდნეობაში
	სწავლების ენა
	რუსული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ბაკალავრი მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროში. შეასწავლოს მასალათმცოდნეობის საფუძვლები, ლითონური და არალითონური მასალების აგებულება, ფიზიკო-მექანიკური თვისებები და ქიმიურ შედგენილობასა, სტრუქტურასა და თვისებებს შორის კავშირი. გააცნობიერებინოს სხვადასხვა სახის დამუშავებისა და გარემო პირობების გავლენა საკონსტრუქციო მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლებზე; შეასწავლოს ტექნიკაში გამოყენებული უმთავრესი საკონსტრუქციო მასალების თვისებები და გამოყენების სფეროები; გააცნოს ლითონების თერმული და ფორმის შეცვლის ძირითადი ოპერაციები - სხმული ნაკეთობის წარმოება (საკონსტრუქციო და მხატვრული სხმულები), ლითონური პროდუქციისა და კონსტრუქციების შედუღება და დიაგნოსტიკა, ლითონთა წნევით დამუშავება, მათ შორის მასალების მხატვრული დამუშავება და საიუველირო საქმის საფუძვლები; გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების საკითხები.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება – მასალათმცოდნეობის ინჟინერიის სფეროს მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც მოიცავს მასალათმცოდნეობის, ლითონთა თერმული დამუშავებისა და ფორმის შეცვლის ოპერაციების სფეროებში დამკვიდრებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროების კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების სფეროს ფართო ცოდნა;
- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
- ლითონების თერმული და ფორმის შეცვლის ტექნოლოგიური რეჟიმების განსაზღვრის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- ლითონების მხატვრული დამუშავებისა და საიუველირო ნაკეთობის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა და გაცნობიერება;
- მასალათმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის ცოდნა;
- გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლების ცოდნა.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების სფეროში კონკრეტული და აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება მასალათმცოდნეობაში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების ტექნოლოგიების

თეორიული დებულებებისა და პრინციპების გამოყენება პრაქტიკული სამუშაოების გადაწყვეტაში;

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროში ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით;

- მასალათა მაკრო და მიკროსტრუქტურის ხარისხობრივი შესწავლა, მასალათა ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრა;

- ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის, გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობა;

- **დასკვნის უნარი** – მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, ასევე განყენებული მონაცემების და/ან სიტუაციების ურთიერთშედარება, ანალიზი და სტანდარტული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

- ახალი ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ახალი და განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

- მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სფეროში მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების საექსპლუატაციო მომსახურებასა და შეკეთების ტექნოლოგიურ პროცესზე, აგრეთვე მანქანა-დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობასა და მუშაობის უნარზე დასკვნის შედგენა და განმარტება;

- **კომუნიკაციის უნარი** - იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი, წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა მშობლიურ და უცხოურ ენებზე.

- სამუშაო მიზნების მისაღწევად თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;

- პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;

- პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.

- **სწავლის უნარი** – საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება მასალათმცოდნეობისა და მასალების დამუშავების მიმართულებით შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის უნარი;

- მასალათმცოდნეობის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;

• მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით უახლესი მასალების მოძიების, ათვისებისა და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

- **ღირებულებები** – მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.

• ეთიკისა და მორალის ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;

• ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

• • მასალათმცოდნეობის ინჟინერიისა და მასალათა დამუშავების სფეროს საწარმოებში მუშაობის პროცესის წარმართვა ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფით და მუდმივი სწრაფვა გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების პირობების გასაუმჯობესებლად..

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

<http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

საკონტაქტო პირი : მიხეილ ოქროსაშვილი / ტელეფონი 599 95 60 21 / e-mail m.okrosashvili@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

მეტალურგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში

სწავლების ენა

რუსული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მეტალურგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა: შავი ლითონების, შენადნობების, კერძოდ: თუჯების, ფოლადების (ჩვეულებრივი ნახშირბადიანი, ხარისხოვანი, ლეგირებული, უჟანგავი და სხვა სახის სპეციალური ფოლადები), ფეროშენადნობების - ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმის, ფეროქრომის, ფეროვანადიუმის - მეტალურგიაში; ფერადი ლითონების და მასალების კერძოდ: მძიმე, მსუბუქი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონებისა და მათი შენადნობების მეტალურგიაში; მეორეული ლითონების მეტალურგიაში - ჯართისა და საწარმოო ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაცია; მეტალურგიულ ღუმლების თბური მუშაობის და კონსტრუქციის გაანგარიშების და დაპროექტების შესახებ; ფერადი ლითონების პირო- და ჰიდრომეტალურგიული სპეციალური აპარატურის კონსტრუქციის, მუშაობის პრინციპების და ექსპლუატაციის შესახებ; მეტალურგიულ და მომიჯნავე საწარმოებში გარემოს დაცვის თანამედროვე პრინციპების შესახებ..

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- მეტალურგიის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც შავი ლითონების - თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობების, სპეციალური შენადნობების, ისე ფერადი სუფთა და ზესუფთა ლითონების, შენადნობების მიღების და გადამუშავების ტექნოლოგიების და მათი სრულყოფის ზოგადი ცოდნა და საშუალო დონის მენეჯმენტისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება მეტალურგიის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.

დასკვნის უნარი:

- მკაფიოდ გამოკვეთილი მეტალურგიის პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;

კომუნიკაციის უნარი:

- იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა

სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;

სწავლის უნარი:

- საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

ღირებულებები:

- მეტალურგიის სფეროს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

საკონტაქტო პირი : ომარ მიქაძე / ტელეფონი 593 313000 / e-mail omikadze@gtu.edu.ge /
მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სასურსათო ტექნოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი

სწავლების ენა

რუსული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა სასურსათო ტექნოლოგიის სხვადასხვა სფეროში: პურპროდუქტების, საკონდიტრო, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონსერვო წარმოება.
- შეასწავლოს სტუდენტს დარგის ძირითადი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები;
- შეასწავლოს სტუდენტს სასურსათო პროდუქტთა წარმოების ტექნოლოგიური სქემები, წარმოებისას მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური პროცესები, გამოყენებული ნადლეულის დახასიათება, სასურსათო პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება;— სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სასურსათო ტექნოლოგიის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

სასურსათო ტექნოლოგიის ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირის გაცნობიერება. სასურსათო ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის ცოდნა.

ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების, მოწყობილობების და სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ნორმების ცოდნა, გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება; ბუნებრივი ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკური მეთოდების და საშუალებების დაუფლება;

– **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**— სასურსათო ტექნოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული აპარატების, მანქანა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვა.

სასურსათო ტექნოლოგიის ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა, პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება;

განსაზღვრული მითითებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად ინოვაციური მეთოდების, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვაში მონაწილეობა;

სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული სხვადასხვა წარმოშობის ძირითადი და დამხმარე ნედლეულის შენახვისა და ტექნოლოგიური პროცესისათვის მომზადების რეჟიმისა და პირობების დაცვა.

კვლევითი ცალკეული კომპონენტების განხორციელება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების და მითითებების შესაბამისად; ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების უსაფრთხო და გარემოს დაცვითი მოთხოვნებით ექსპლუატაცია; ტექნოლოგიურ პროცესებში მენეჯერული და მარკეტინგული ხასიათის წინადადებების გათვალისწინება.

– **დასკვნის უნარი**– სასურსათო ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების – ნედლეულის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები, ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრები, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და წარმოების რენტაბელობა– შეგროვება და განმარტება. მიღებული მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რისკ-ფაქტორებზე რეაგირება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.

– **კომუნიკაციის უნარი**– სასურსათო ტექნოლოგიის ირგვლივ არსებული იდეებისა და პრობლემების, ასევე არსებული პრობლემების აღმოფხვრის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;

– **სწავლის უნარი**– სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სასურსათო ტექნოლოგიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

– **ღირებულებები** – სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება; ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის

	<p>მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
<p>საკონტაქტო პირი : როზა ხუციშვილი / ტელეფონი 599 16 67 33 / e-mail d.khutzishvili@gmail.com. / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>	
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
ფარმაცია	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>240</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>ფარმაციის ბაკალავრი</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>რუსული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, სათანადო კომპეტენციის ლიბერალური ღირებულებების, პროფესიული ზრდისა და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც შეეძლებათ თანამედროვე ფარმაცევტული სექტორის მოთხოვნების და მიღებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით - ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია და მოსახლეობის უზრუნველყოფა უსაფრთხო, ხარისხიანი, ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით; განუვითარდებთ ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი, ჩამოუყალიბდებთ პროფესიული და პიროვნული ღირებულებები..</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი</p>
	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები</p> <p>❖ იცის ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზიკური და კოლოიდური</p>

ქიმიის საფუძვლები, ანალიზური ქიმია და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები და აცნობიერებს ქიმიის როლს ფარმაცევტული დისციპლინების ათვისებაში;

- ❖ იცის მათემატიკის ძირითადი საბაზო საკითხები;
- ❖ ფლობს ლათინურ ენას და ფარმაცევტულ ტერმინოლოგიას, აცნობიერებს ლათინური ენის მნიშვნელობას ფარმაცევტისათვის;
- ❖ აცნობიერებს ჯანდაცვის როლს ქვეყნის განვითარების საქმეში;
- ❖ ზოგადად იცნობს და აცნობიერებს ადამიანის ანატომიის, ადამიანის ფიზიოლოგიის, ზოგადი პათოლოგიის, როლს მაღალკვალიფიციური ფარმაცევტის მომზადების საქმეში;
- ❖ ზოგადად იცნობს და აცნობიერებს ადამიანის ორგანიზმის ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფორმას და აგებულებას, უჯრედთა ინტეგრაციას და ქსოვილთა წარმოქმნას, სხვადასხვა ქსოვილის სტრუქტურულ და ფუნქციურ ორგანიზაციას, მათ წარმოშობას, ადამიანის ორგანიზმში მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე მიმდინარე ძირითად ბიოლოგიურ პროცესებს;
- ❖ აცნობიერებს და იცის ბიოეთიკის, სამედიცინო ფსიქოლოგიის საფუძვლების, ზოგადი ჰიგიენის, ზოგადი სამედიცინო მიკრობიოლოგიის ძირითადი პრინციპები და კომპლექსური საკითხები;
- ❖ ზოგადად იცნობს და აცნობიერებს სასიცოცხლო პროცესების მოლეკულურ მექანიზმებს, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებს - როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ნორმალური პროცესების, ასევე მათი დარღვევების დროს;
- ❖ იცის მიკროსამყაროს (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თავისებურებები და ამ მიკროსამყაროს ურთიერთქმედება ადამიანთან, კერძოდ, იმუნურ სისტემასთან;
- ❖ აცნობიერებს ფარმაცოგნოზის, ფარმაცევტული ტექნოლოგიის, გალენური პრეპარატების ტექნოლოგიის, სამკურნალო, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგიის კომპლექსურ საკითხებს და იცის მათი პრაქტიკაში გამოყენების გზები;
- ❖ იცის და აცნობიერებს ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის წესებს; ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების მნიშვნელობას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც ავთიაქის, ასევე საწარმოს პირობებში;
- ❖ იცის და აცნობიერებს ტოქსიკოლოგიური ქიმიის საფუძვლებში, ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში, **ფარმაცევტული ქიმიაში და ბიოქიმიაში განხილული საკითხების** თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების აუცილებლობას;
- ❖ იცის ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთთა ძირითადი კლასების: ნახშირწყლების, ცილების, ლიპიდებისა და სხვ. შედგენილობა, ნაერთების ცვლა, პათოლოგიური პროცესები;
- ❖ იცის ძირითადი ქიმიური და ფარმაცოლოგიური ჯგუფები, მათი მოქმედების მექანიზმები, ფარმაცოლოგიური ეფექტები, ორგანიზმში შეყვანის, ბიოტრანსფორმაციისა და ელიმინაციის გზები; რაციონალური ფარმაცოთერაპიის საფუძვლები;
- ❖ იცის ფარმაცოლოგიის საფუძვლები და ფარმაცოლოგია, ფარმაცოკინეტიკის საფუძვლები, სოციალური ფარმაციის საფუძვლები, სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, აცნობიერებს მათ როლს ფარმაცევტის მომზადების საქმეში;
- ❖ იცის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძვლები;
- ❖ იცის ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები;

- ❖ იცნობს წამალთა ნომენკლატურას, და იცის მათი სწორი შენახვის, დაწყობის, რეალიზაციის პრინციპები;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ აქვს სამკურნალო, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ქიმიისა და ექსპერტიზის, ფარმაცოთერაპიის, ზოგადი ტოქსიკოლოგიის, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიისა და ექსპერტიზის, ფიტოთერაპიის (მცენარეული, არაორგანული და ორგანული ნედლეული) **ფარმაცევტული ქიმიის (ორგანული სამკურნალო საშუალებები)** ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და აცნობიერებს მათ როლს ფარმაცევტის მომზადებაში;
- ❖ იცის ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და ანალიზის ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლები;
- ❖ აცნობიერებს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და პათოლოგიურ პროცესებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა როლს და მნიშვნელობას;
- ❖ იცის ტოქსიკანტების ცალკეული ჯგუფების მოკლე დახასიათება. ბიოლოგიური ტოქსიკანტები. ბაქტერიული ტოქსიკანტები. მიკოტოქსინები. უმაღლესი მცენარეების ტოქსინები. ზოოტოქსინები (ცხოველების ტოქსინები). ბუნებრივი არაორგანული ნაერთები. ბუნებრივი ორგანული ნაერთები. სინთეზური ტოქსინები. პესტიციდები. ორგანული გამსხნელები. წამლები, კვებითი დანამატები, კოსმეტიკური საშუალებები. საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებები (სმნ). აქვს სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი;
- ❖ იცის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ზოგადი ქიმია და ექსპერტიზის საშუალებები. კუმარინების, ფლავონოიდების, ანტრაქინონების, კარდენოლიდების და ბუფადიენოლიდების კლასიფიკაცია და მათი განაწილება მცენარეში, მეორეული წარმოშობის მცენარეული ნივთიერებები - ჰიდროარომატული ნაერთები, ფენოლური ნაერთები და სხვ. აცნობიერებს მათი შესწავლის აუცილებლობას;
- ❖ იცის, რომ მცენარეებით მკურნალობა ხშირად თანამედროვე წამლებისა და მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად გამოიყენება. სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია ქრონიკულად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში, იცის ფიტოთერაპიული საშუალებების ქიმიური საფუძვლები, ოფიცინალური, არაოფიცინალური და ხალხური მედიცინის ნომენკლატურა;
- ❖ იცის სამკურნალო საშუალებათა ბრუნვა და სახელმწიფო რეგისტრაცია, სერთიფიცირება, გაყიდვა, რეკლამა; ფარმაცევტული ტექნოლოგიები; კერძო სამედიცინო მიკრობიოლოგია; ჰომეოპათია და ჰომეოპათიური საშუალებების ტექნოლოგია; ფარმაცევტული წარმოების პროცესები და აპარატები; ფარმაცევტული დახმარება; აცნობიერებს მათი შესწავლის აუცილებლობას;
- ❖ აცნობიერებს ფარმაცევტულ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას, ერკვევა ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებში;
- ❖ აცნობიერებს ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის წესების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების დაცვის მნიშვნელობას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც აფთიაქის, ასევე საწარმოს პირობებში;

- ❖ იცის ავთიაქებში, ლაბორატორიებსა და ფარმაცევტულ საამქროებში მუშაობის წესები;
- ❖ იცის ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის დროს გამოყენებული აპარატურა-მანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ იცის მედიკო-ბიოლოგიური და ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების თეორიული საფუძვლები და აქვს მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- ❖ ერკვევა თანამედროვე ბიოქიმიური კვლევების მეთოდებში, შეუძლია ბიოორგანიზმის შედგენილობაში არსებული ნაერთების სტრუქტურის, თვისებებისა და ლოკალიზაციის, აგრეთვე მათი წარმოქმნის გზებისა და კანონზომიერებების; გარდაქმნათა თანმიმდევრობისა და მექანიზმის; მათი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობის განსაზღვრა.
- ❖ შეუძლია სამკურნალო მცენარეული ნედლეულის რაციონალური შერჩევა;
- ❖ შეუძლია დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- ❖ გარკვეულია წამალთა ფორმების კლასიფიკაციასა და მათ სააფთიაქო, თუ საქარხნო ტექნოლოგიაში, შეუძლია წამალთა ფორმების დამზადება და სტანდარტიზაცია;
- ❖ იცის ფარმაცევტული ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნები, შეუძლია ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ❖ შეუძლია სახელმწიფო ფარმაკოპეაში მოცემული სტანდარტული მეთოდებით ნივთიერებათა მიღება და მათი ქიმიური ანალიზის პრაქტიკულად განხორციელება;
- ❖ შეუძლია ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) და სინთეზური ნედლეულის დამზადება, გადამუშავება და შენახვა;
- ❖ შეუძლია სამკურნალო მცენარეული, ნედლეულის დამზადება, გადამუშავება სტანდარტიზაცია და შენახვა;
- ❖ იცის მცენარეში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოცალკევების და მათი იდენტიფიკაციის დადგენა;
- ❖ იცის მცენარის მაკროსკოპული და მიკროსკოპული ანალიზი, ჰისტოქიმია და მიკროქიმიური ანალიზი, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მორფოლოგიურ-ანატომიური აღწერა; ფოთლისა და ყვავილის მაკრო და მიკრო ანალიზი, დაწვრილმანებული ნედლეულის მიღება საანალიზო სინჯის აღება და კეთილხარისხოვნების დადგენა. სამკურნალო მცენარეული ნედლეულების ნაკრებების შედგენა და ანალიზი;
- ❖ აქვს უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით მომხმარებლის უზრუნველყოფის და მომხმარებლის უფლებების დაცვის უნარი;
- ❖ იცის ატმოსფერული ჰაერის, სასმელი წყლის, ნიადაგის, კვების პროდუქტების დამაბინძურებელი ფიზიკურ, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორები, შეუძლია ნეიტრალიზაციის მეთოდების გამოყენება;
- ❖ აქვს წამლის კლინიკური ეფექტურობისა და ღირებულებითი ეფექტურობის

შეფასების უნარი;

- ❖ შეუძლია: რეცეპტის მიხედვით წამლის გაცემა და დოზირების, დანიშნულების, მიღებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალწამლო საშუალებების რაციონალური შერჩევა;
- ❖ შეუძლია აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია;
- ❖ აქვს მომხმარებლის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასების უნარი;
- ❖ შეუძლია გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ❖ აქვს სპეცკონტროლს დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალწამლო საშუალებების აღრიცხვისა და გაცემის უნარი;
- ❖ აქვს სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიული-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების უნარი;
- ❖ აქვს შეუთავსებადი ან არასწორი დოზირებით გამოწერილი რეცეპტის შემთხვევაში, ექიმთან ურთიერთობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ შეუძლია სამკურნალო საშუალებების ფარმაკოგნოსტური, ტოქსიკოლოგიური და ქიმიური ანალიზის ჩატარება;
- ❖ შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება;
- ❖ შეუძლია განსაზღვროს ტოქსიკანტის მოლეკულის გეომეტრია. ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ტოქსიკანტების სტაბილურობა გარემოში. ქიმიური თვისებები. ქიმიური ბმების ტიპები, რომელიც წარმოიქმნება ტოქსიკანტსა და სამიზნეს შორის;
- ❖ შეუძლია სამკურნალო, პროფილაქტიკური, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ნედლეულის, სუბსტანციის და ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლი;
- ❖ ერკვევა ზოგიერთი დაავადების გამომწვევ მიზეზებში და შეუძლია მისი სამკურნალო პრეპარატების სწორად შერჩევა; საჭიროების შემთხვევაში პრეპარატის შეცვლა; ინფორმაციის მიცემა თითოეულ პრეპარატზე;
- ❖ შეუძლია რაციონალური ფარმაკოთერაპიული დახმარება;
- ❖ შეუძლია განსაზღვროს ფიტოთერაპიული საშუალებების გამოყენების ძირითადი პრინციპები, ჩვენება და უკუჩვენება, უპირატესობა ქიმიურ შენაერთებთან შედარებით;
- ❖ შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სამკურნალო საშუალებათა ტექნოლოგიასა და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციაში;
- ❖ შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება, სამკურნალო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება (რეცეპტის შესაბამისად) და ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება (რეგლამენტის შესაბამისად);
- ❖ შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისიანობის ვადების დადგენა;

დასკვნის უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში ფაქტობრივი მონაცემების გააზრება-გაანალიზება და დასკვნის გაკეთება, წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გაკეთება.
- ❖ შეუძლია ფარმაცოპიაში მოცემული ანალიზის მეთოდების გამოყენებით სამკურნალო, პარფიუმერული, კოსმეტიკური და პროფილაქტიკური საშუალებების კეთილხარისხოვნების შესახებ დასკვნის გაკეთება;
- ❖ ატმოსფერული ჰაერის, სასმელი წყლის, ნიადაგის, კვების პროდუქტების დაბინძურების შემთხვევაში შეუძლია დასაბუთებული დასკვნის გაკეთება;
- ❖ აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი მასალის შეგროვების, დამუშავების, ანალიზის უნარი და შედეგების განმარტება;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ შეუძლია ტოქსიკანტების და ტოქსიკურობის შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება, ტოქსიკანტის ზემოქმედების და მისი ტოქსიკურობის, აგრეთვე რისკფაქტორების შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ❖ შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში, კერძოდ სამკურნალო საშუალებათა ბრუნვის და სახელმწიფო რეგისტრაციის, სერთიფიცირების, გაყიდვისა და რეკლამირების დროს წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მიზეზების დადგენა და შესაბამისი დასკვნის გაკეთება;

კომუნიკაციის უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ შეუძლია პროფესიულ თემებზე დისკუსია და დებატები კოლეგებთან;
- ❖ შეუძლია მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- ❖ აქვს ინფორმაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- ❖ შეუძლია ლათინური ენის იდეებისა და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის საკვანძო საკითხების სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა; ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა;
- ❖ შეუძლია ახალი პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება კოლეგებისა და მომხმარებლებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე;
- ❖ აქვს „ბიოეთიკის“ და „ბიოსამედიცინო ეთიკის“, მორალისა და სამათლის ურთიერთმიმართების, ეთიკური ანალიზის საშუალებების შესახებ ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერის; იდეების, არსებული პრობლემებისა

- ❖ და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი;
- ❖ აქვს ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობის უნარი;
- ❖ აქვს ვერბალური და წერილი კომუნიკაციის უნარი;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ აქვს ახალ სიტუაციაში ადაპტაციის უნარი;
- ❖ შეუძლია სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე, აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

სწავლის უნარი

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ შეუძლია ძირითად საბაზო დისციპლინებში საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- ❖ გააჩნია პროფესიული და კარიერული ზრდის მიზნით სწავლის უნარი;
- ❖ შეუძლია ბოტანიკის, მცენარეთა მორფოლოგიის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის, აგრეთვე ადამიანის ანატომიის, ადამიანის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის თეორიული ასპექტების შესწავლა, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ აქვს შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი;
- ❖ გააჩნია დამოუკიდებლად სასწავლო კომპონენტების შერჩევისა და სწავლის დაგეგმვის უნარი;
- ❖ აქვს ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარი, შეუძლია აღნიშნული მიმართულებით სწავლის საჭიროების დადგენა.

ღირებულებები

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები

- ❖ გააჩნია ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი;
- ❖ პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე;
- ❖ იცავს მომხმარებლის ინტერესებს; გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგრძნება;

პროგრამაში მოცემული მოდულების მიხედვით, კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს შემდეგი კომპეტენტურობები

- ❖ გააჩნია მუშაობის წარმართვის უნარი სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;
- ❖ მკურნალ ექიმებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პაციენტისთვის ხელმისაწვდომი მედიკამენტების შერჩევას;
- ❖ მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, განსაკუთრებით: ძლიერმოქმედი, ფსიქოტროპული და ტერატოგენული ეფექტის მქონე სამკურნალო საშუალებების დოზების შემოწმებისას და გაცემისას;
- ❖ შეუძლია მონაწილეობის მიღება დარგის ღირებულებების ფორმირების დასამკვიდრებლად სწრაფვაში;

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

საკონტაქტო პირი : თამარ ცინცაძე / ტელეფონი 599 15 66 78 / e-mail t.tsintsadze@gtu.ge /

მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

მეტალურგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში

სწავლების ენა

ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მეტალურგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი მეტალურგიის სფეროში. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა შავი ლითონებისა და შენადნობების, ფეროშენადნობების, ფერადი ლითონების და მასალების, იშვიათი ლითონებისა და მათი შენადნობების მეტალურგიაში; მეტალურგიის დარგის სპეციალისტის დასაქმების ბაზარი ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში ისეთი წარმოებების სახით, როგორცაა: თუჯის წარმოება, ფეროშენადნობების მიღება, ფოლადის მეტალურგია, ფერადი ლითონების ახალი საწარმოების ორგანიზაცია და ექსპლუატაცია. ასეთი ფართო სპექტრი, დარგის აქტუალურობა და სპეციალისტების მაღალი მოთხოვნადობა როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, კონკურენტუნარიანს ხდის კვალიფიციურ ინჟინერ-მეტალურგებს დასაქმების ბაზარზე. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს მათი განათლების შემდგომ გაღრმავებას და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

1) **ცოდნა და გაცნობიერება:** მეტალურგიის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც შავი ლითონების - თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობების, სპეციალური შენადნობების, ისე ფერადი სუფთა და ზესუფთა ლითონების, შენადნობების მიღების და გადამუშავების ტექნოლოგიების და მათი სრულყოფის ზოგადი ცოდნას და საშუალო დონის მენეჯმენტისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, საკუთარი პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;

- მეტალურგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. მეტალურგიის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- მსოფლიოში მეტალურგიის მიმდინარე მიღწევებისა და სიახლეების ზოგადი ცოდნა;
- შავი და ფერადი მეტალურგიის ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებების ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
- მეტალურგიის ტერმინოლოგიის ცოდნა და მონაწილეობის მიღება ახალი ტერმინების შექმნის პროცესში;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა მეტალურგიული აგრეგატების, მოწყობილობების, საამქროების ნახაზებისა და გეგმების შექმნისათვის;
- მეტალურგიის ტექნოლოგიური პროცესების, ციკლების, სქემების და საწარმოთა დაგეგმარების მეთოდების და განვითარების პერსპექტივების ცოდნა-გაცნობიერება;
- ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის მეთოდებისა და

საშუალებების, სიცოცხლის უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება.

2) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება მეტალურგიის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.

- შავი და ფერადი მეტალურგიის თეორიული დებულებებისა და პრინციპების კრიტიკული და არგუმენტირებული გააზრება;
- მეტალურგიისათვის დამახასიათებელი მაღალტემპერატურული პროცესების და ასევე ჰიდრომეტალურგიული მეთოდის გამოყენება მაღალი ხარისხის ლითონის მიღების პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- თუჯის, ფოლადის, ფეროშენადნობების, კომპლექსური და სპეცშენადნობების, მძიმე, კეთილშობილი, მსუბუქი, იშვიათი, მცირე და ფერადი ლითონების ტექნოლოგიის ცოდნის გამოყენების უნარი;
- ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- თბური რეჟიმების დადგენა, აგრეგატების კონსტრუქციების შერჩევა, თბური მუშაობის დარღვევის მიზეზების დადგენა და გამოსწორება;
- მეტალურგიისათვის დამახასიათებელი გამოწვის, დნობის, გამოტუტვის, ცემენტაციის, ელექტროლიზის, იონგაცვლითი, ექსტრაქციის აპარატურის კონსტრუქციებისა და ექსპლუატაციის უნარი, ასევე ზოგიერთი ახალი ბაქტერიოლოგიური, ვაკუუმური, პლაზმური ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებების გამოყენება და ანალიზი, მათ შორის პრობლემების გადაჭრის მიზნით;

3) **დასკვნის უნარი:** მკაფიოდ გამოკვეთილი მეტალურგიის პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;

- მეტალურგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების - ლითონის წარმოების მაჩვენებლები სათბობის და ელექტრულ ღუმლებში, ენერჯის ხარჯი ალქმედ, კონვერტერულ ან ელექტრულ ღუმლებში - შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მადნების ქიმიური და მინერალოგიური მონაცემების შეგროვება და მათ საფუძველზე ლითონის მიღების ტექნოლოგიური მეთოდების შერჩევა და შეფასება;
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, პირადი კონტაქტებით უახლესი ინფორმაციის ოპერატიულად მოძიებისა და დამუშავების უნარი;
- დასკვნის შედგენა და განმარტება მეტალურგიის სფეროში ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის, მოდერნიზაციის ან ახალი წარმოების შექმნის დროს.

4) **კომუნიკაციის უნარი:** იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად

გამოყენება;

- პრეზენტაციების ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;
- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- მეტალურგიული ტერმინოლოგიის ინგლისურ და ძირითად ევროპულ ენებზე თავისუფალი ფლობის უნარი.

5) **სწავლის უნარი:** საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- სწავლის მიმართულების განსაზღვრა მსოფლიოში შექმნილი გარემოს, პრიორიტეტების და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მეტალურგიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

6) **ღირებულებები:** მეტალურგიის სფეროს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;

- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- მეტალურგიის სფეროს მიღწევების, ისტორიული და ეკონომიკური მნიშვნელობის, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ეთიკისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- მეტალურგიის სფეროში წარმოებებში მუშაობის წარმართვა სიცოცხლისა, გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით და მუდმივი სწრაფვა მათი გაუმჯობესების მიზნით.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები:

ყოველკვირეული შუალედური შეფასება:

ყოველკვირეული შუალედური შეფასება იძლევა ახსნილი მასალის ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობას. შემოწმება ხდება სხვადასხვა სახით: ტესტი (ღია ან დახურული კითხვები), კაზუსი, საკითხები, საშინაო დავალება და სხვ. იგი ტარდება წერილობითი ფორმით. ყოველკვირეული შეფასების შესაძლო მაქსიმუმი შეადგენს ორ ქულას.

ტესტირება დახურული კითხვებით. ტესტი მოიცავს 4 მაგალითს, სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება 0,5 ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

შეფასება ღია კითხვებიანი ტესტით ან საკითხებით (კაზუსებით). თუ შეფასება ხდება ერთი საკითხით (მაქსიმუმ 2 ქულა), შეფასების კრიტერიუმებია:

1. 1.5-2.0 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, შეცდომები არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი, მსჯელობა მაღალ დონეზეა.

2. 1.0-1.5 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი, ტერმინოლოგიურად გამართულია, არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია.

3. 0.5-1.0 ქულა - პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. მსჯელობა ფრაგმენტულია.

4. 0.1-0.5 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. არ არის გამოყენებული სპეციალური ტერმინოლოგია. პასუხი არსებითად მცდარია, გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

5. 0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. ორი საკითხით შეფასების შემთხვევაში (თითოეული მაქსიმუმ 1 ქულა), შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ზემოთ მოცემულის ანალოგიურად.

ყოველკვირეული შუალედური შეფასება შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის საშინაო დავალებითაც. მაგალითად, ნახატის, ნახაზის, ესკიზის შესრულება, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნა, საკურსო სამუშაოს/პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის ნაწილის წარმოდგენა, აგრეთვე საკითხის ან პრობლემის შესახებ მასალისა და პრეზენტაციების მომზადება, ან/და ინფორმაციის მოძიება (სტატია, განმარტება, წიგნი, ინტერვიუ, გამოკითხვა) და სხვ. საშინაო დავალება სტუდენტმა უნდა მოამზადოს დამოუკიდებლად და წარმოადგინოს წერილობით ან დავალებაში მითითებულ სხვა ფორმით.

თუ საშინაო დავალება მოცემულია წერილობითი ფორმით, მისი მაქსიმალური შეფასებაა

ორი ქულა და ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. 1.6-2.0 ქულა - დავალება სრულად არის შესრულებული. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს გავლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომები არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი. მსჯელობა მაღალ დონეზეა.

2. 1.1-1.5 ქულა - დავალება სრულად არის შესრულებული, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია.

3. 0.6 -1.0 ქულა - დავალება არასრულად არის შესრულებული. სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. მსჯელობა ფრაგმენტულია.

4. 0.1-0.5 ქულა - დავალების შესრულება ნაკლოვანია. სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია დავალების შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

5. 0 – შესრულება დავალების შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

თუ საშინაო დავალება გულისხმობს ნახაზის/ესკიზის შესრულებას, ის ფასდება მაქსიმუმ ორი ქულით შემდეგი კრიტერიუმებით:

1. 1.6-2.0 ქულა – შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე.

2. 1.1-1.5 ქულა – შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია.

3. 0.6-1.0 ქულა – შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული.

4. 0.1-0.5 ქულა - შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული.

5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დავალების შესრულება.

შუალედური გამოცდა:

შუალედური გამოცდის დროს სტუდენტს ევალება გავლილი მასალის ცოდნის გამოვლენა. შემოწმება ხდება წერილობითი ფორმით და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით: ტესტით (ღია ან დახურული კითხვები), მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნით, თეორიული საკითხებით, საკურსო სამუშაოს/პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის ნაწილის წარმოდგენით, ნახატის, ნახაზის, კლაუზურას შესრულებით, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა/ჩატარებით და სხვ. შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 20

ქულა.

შუალედური გამოცდა დახურული კითხვებიანი ტესტით. იგი მოიცავს 10 (ან 20) მაგალითს. სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება შესაბამისად 2 (ან 1) ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. დახურული კითხვების შემთხვევაში თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. შუალედური გამოცდა ღია კითხვებიანი ტესტით ან საკითხებით. შეფასება ხდება 4 საკითხით, თითოეულს მინიჭებული ექნება მაქსიმუმ 5 ქულა. საკითხის შეფასების კრიტერიუმებია:

1. 4.1–5 ქულა - პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს გავლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომები არ არის. მსჯელობა მაღალ დონეზეა.

2. 3.1–4 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია.

3. 2.1–3 ქულა - პასუხი არასრულია. სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები, მსჯელობა ფრაგმენტულია.

4. 1.1–2 ქულა - პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარია, საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

5. 0.1–1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

6. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული;

თუ რომელიმე საკითხი წარმოადგენს ანგარიშს ან გრაფიკულ გამოსახულებას, მას მინიჭებული აქვს 5 ქულა და მისი შეფასების კრიტერიუმებია:

1. 4.1-5 ქულა: ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი გაფორმებულია სტანდარტების დაცვით.

2. 3.1-4 ქულა: ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი დასახვეწია.

3. 2.1-3 ქულა: ანგარიში დასამთავრებელია, გრაფიკული ნაწილი დასახვეწია.

4. 1.1-2 ქულა: აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა როგორც ანგარიშში, ასევე გრაფიკულ ნაწილში.

5. 0.1-1 ქულა: ანგარიში და გრაფიკული ნაწილი არსებითად მცდარია.

6. 0 ქულა: ნაშრომი არ არის შესრულებული.

დასკვნითი/დამატებითი გამოცდა

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტს მოეთხოვება გავლილი მასალის ცოდნის გამოვლენა. შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმით: ტესტის (ღია ან დახურული კითხვები), მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნით, თეორიული საკითხების განმარტებით, საკურსო სამუშაოს/პროექტის, პრაქტიკის

ანგარიშის წარმოდგენით, ნახატის, ნახაზის შესრულებით და სხვ. გამოცდაზე შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი მეთოდი ან მათი კომბინაცია. გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა.

გამოცდა დახურული კითხვებიანი ტესტით. თუ იგი მოიცავს 10, 15 ან 30 მაგალითს, სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება შესაბამისად 3, 2 ან 1 ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

გამოცდა ღია კითხვებიანი ტესტით ან საკითხებით. იგი მოიცავს რანდენიმე საკითხს. თუ იგი შედგება სამი საკითხისგან, თითოეულ საკითხს მინიჭებული ექნება 10 ქულა. თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმებია:

1. 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი გაფორმებულია სტანდარტების დაცვით.

2. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

3. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

4. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

5. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

6. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

მასალათმცოდნეობა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

120

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მასალათმცოდნეობის მაგისტრი არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით:

- ა) მასალათმცოდნეობის მაგისტრი ლითონმცოდნეობა და ლითონთა დამუშავების ტექნოლოგიების სპეციალიზაციით ;
- ბ) მასალათმცოდნეობის მაგისტრი შედუღების ტექნოლოგიების სპეციალიზაციით ;

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ცოდნა ფუნდამენტალურ და ზოგად-საინჟინრო მეცნიერებათა სფეროში და მოამზადოს იგი სამაგისტრო სპეციალიზაციის განხრით; შეასწავლოს მასალათმცოდნეობის ძირითადი პრინციპები, ლითონებისა და მათი შენადნობების სტრუქტურული აგებულება, ფიზიკო-მექანიკური თვისებები, აგრეთვე სტრუქტურასა და თვისებებს შორის კავშირი; თვისებათა კვლევისა და მათი მიზანდასახულად შეცვლის მეთოდები, რაც ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა ლითონების საექსპლუატაციო მახასიათებლების ამდლების თვალსაზრისით. გააცნობიერებინოს ქიმიური შედგენილობისა და თერმული, ქიმიურ-თერმული თუ ფომის შეცვლის სხვადასხვა ოპერაციების გავლენა ლითონური მასალის სტრუქტურულ აღნაგობასა და ჩამოყალიბებულ თვისებებზე, გააცნოს ტექნიკაში გამოყენებული შავი და ფერადი ლითონები და შენადნობები, ლეგირებული ფოლადები, სპეციალური და განსაკუთრებული თვისებების შენადნობები, მათი შედგებილობა, თვისებები, თვისებათა შეცვლის გზები და გამოყენების სფეროები. გააცნოს ახალი მიმართულების - ნანომასალათმცოდნეობის საფუძვლები და შესძინოს კონკრეტული ცოდნა ნანოკრისტალური აგებულების მასალებისა და დანაფარების მიღების აირთერმული და ელექტრონულ-სხივური ტექნოლოგიები.

შეასწავლოს ლითონებისა და მათი შენადნობების დამუშავების სახეები: თერმული და ქიმიურ-თერმული დამუშავება (მოწვა, ნორმალიზაცია, წრთობა, მოშვება; ცემენტაცია, დააზოტება, დაციანება, დიფუზიური მეტალიზაცია; თერმო-მექანიკური დამუშავება და

ა.შ.), დამუშავების მიზანი და გამოყენების სფეროები; ლითონების ჩამოსხმა და სხმულების წარმოება, ლითონური პროდუქციისა და შენადული კონსტრუქციების დაპროექტება და წარმოება, ლითონთა წნევით დამუშავება .

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლით მაგისტრანტს გამოუმუშავდება სწორი მიდგომა პროგრესული, უახლესი ტექნოლოგიების მიმართ და შეიძენს იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რაც მას საინჟინრო და მეცნიერული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დაეხმარება. მაგისტრანტი დამოუკიდებლად შეძლებს მისთვის საინტერესო კვლევის მიმართულების შერჩევას დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება – მასალათმცოდნეობის და მონათესავე საინჟინერო სფეროების აირთერმული დანაფარების, აირალური, დეტონაციური, ზეზგერითი ელექტრორკალური მეტალიზაციით, მაღალი სიხშირის, ელექტროიმპულსური, პლაზმური, ვაკუუმურ-კონდენსაციური, ღრმა და სისტემური ცოდნა; აცნობიერებს ცალკეული პრობლემის: ლითონების თერმულ დამუშავებაში, ლითონების ჩამოსხმაში, ლითონების წნევით დამუშავებასა და მასალათა შედუღებაში გადაჭრის გზებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – მასალათმცოდნეობისა და მასალათა დამუშავების სფეროსათვის დამახასიათებელი , კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება: სხმულების მაკრო, მიკრო, სუბმიკროსტრუქტურების შესწავლა და რაოდენობრივი ანალიზი;–პლასტიკურობის თეორიის მეთოდებზე დაყრდნობით ლითონების წნევით დამუშავების კონკრეტული ამოცანების ამოხსნა, სხეულის დამაბუღდეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა, მბევის განსაზღვრის გრაფიკული მეთოდის გამოყენება, დეფორმირებული სხეულის ზღვრული მდგომარეობის დადგენა პლასტიკურობის პირობებიდან გამომდინარე გაგლინული მილების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და მათი გათვალისწინება, მილების გლინვის ტექნოლოგიური პროცესის გამართვა და სტაბილური წარმართვა. აირთერმული დანაფარების მიღების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების ლითონების ჩამოსხმაში, წნევით დამუშავებაში, შედუღებაში და თერმულ დამუშავებაში;

დასკვნის უნარი – მასალათმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) მეტალოგრაფიული, მასალათა ფიზიკო-მექანიკური, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ლითონების წნევით დამუშავების სხვადასხვა პროცესისათვის სხეულის დამაბუღდეფორმირებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე მის მექანიკურ მდგომარეობაზე დასკვნის გამოტანა ლითონური პროფილისის მისაღები კალიბრების ფორმისა და ზომების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა; კომპოზიციური მასალების ძირითადი თვისებების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანა; დანაფარის ხარისხზე: ადგეზიაზე, ფორიანობაზე და სხვა;

კომუნიკაციის უნარი – თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი – მასალათმცოდნეობის დისციპლინების სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა,– პლასტიკურობის თეორიის ძირითადი დებულებებზე დაყრდნობით; ლითონების წნევით დამუშავების ახალი პროცესების თეორიული საფუძვლების დამოუკიდებლად შესწავლა სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით , საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, თანამედროვე საინფორმაციო საშუალობების გამოყენება;

ღირებულებები – ლითონმცოდნეობის, შედულების, წევით დამუშავების ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. მასალათმცოდნეობის სფეროს ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf

საკონტაქტო პირი : მალხაზ ხუციშვილი / ტელეფონი 5 93 93 93 88 90 / e-mail m.khutsishvili@gtu.ge; / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

მეტალურგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

120

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინჟინერიის მაგისტრი მეტალურგიაში

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მეტალურგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს:

- მისცეს გაღრმავებული ცოდნა მეტალურგიის პროცესების თეორიაში, ლითონების მიღებისა და რაფინირების თეორიაში;
- შეუმუშაოს თანამედროვე სადნობ, სახურებელ, გამოტუტვის, ცემენტაციის, ელექტროლიზის, იონგაცვლით და ექსტრაქციის აგრეგატებში ტექნოლოგიური პროცესებისა და სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარი;
- გააცნობიეროს მეტალურგიის თეორიის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების ანალიზი და მათი შემუშავება კონკრეტული ბრძმედის, ფოლადსადნობი, ფეროშენადნობების და ფერადი, მათ შორის კეთილშობილი ლითონების წარმოების პირობებში;
- შეუმუშაოს ახალი ტექნიკის შერჩევის, დანერგვის და რაციონალური გამოყენების უნარი,
- შეასწავლოს მას:

შავი ლითონების, შენადნობების მეტალურგიის, კერძოდ: სპეციალური თუჯების, უმაღლესი ხარისხის და სპეციალური, რთული შედგენილობის ფეროშენადნობების და ფერადი ლითონების თანამედროვე ახალი ტექნოლოგიების ათვისება, უცხოური მოწინავე საწარმოების მონაცემების ანალიზი და გამოყენება; მეტალურგიული ღუმლების და აგრეგატების ზოგადი თეორია, რომელიც მისცემს მაგისტრს საშუალებას გამოიყენოს მიღებული ცოდნა ნებისმიერი - დაბალ- და მაღალტემპერატურული, ალდგენითი, სადნობი, თერმული, სახურებელი, საშრობი და შეცხობითი ღუმლების დაგეგმარებაში და სათანადო თბური რეჟიმების შექმნაში; ფერადი ლითონების პირო- და ჰიდრომეტალურგიული პროცესების კვლევა, არსებული ტექნოლოგიების კრიტიკული გააზრება და დახვეწა, მოქმედი, ასაღორძინებელი და შესაქმნელი საწარმოების პირობებში; მეტალურგიის წარმოების ტექნოლოგიის და მენეჯმენტის კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს მეტალურგიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული

პრობლემის გადაჭრის გზებს;

აქვს შავი ლითონების მეტალურგიის სამი ძირითადი დარგის - თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოების - სისტემური და კომპლექსური ცოდნა, ამით შეუძლია შეიმუშაოს ორიგინალური ტექნოლოგიები, რათა ოპერატიულად გამოიყენოს უფრო რენტაბელური მეტალურგიის ძირითადი აგრეგატები სხვა ტრადიციული სქემის ნაცვლად, მაგალითად თუჯსადნობ ლუმელში - ბრძმედში - მოხდეს ფეროშენადნობების გამოდნობა, მჟანგავ ფოლადსადნობ აგრეგატში შესრულდეს აღდგენითი პროცესები;

აცნობიერებს ფერადი ლითონების მეტალურგიის ორი ძირითადი - პირო- და ჰიდრომეტალურგიული ტექნოლოგიის ძალიან ფართო სპექტრს, რომელიც განპირობებულია როგორც ფერადი ლითონების დნობის ტემპერატურის დიდი განსხვავებით, ასევე ნედლეულის შედგენილობით და სასურველი ლითონის მცირე შემცველობით;

შეუძლია ახალი იდეების რეგენირება მეტალურგიაში გარემოს დაცვის მიმართულებით, ვინაიდან მეტალურგიის მასშტაბები და გარემოზე ზემოქმედების სპექტრი ძალიან მნიშვნელოვანია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; მეტალურგიის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

თავისუფლად მოქმედებს მეტალურგიულ წარმოებაში, როცა უწევს ოპერატიული მოქმედება წარმოების სრული ციკლის პირობებში - ნედლეულიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე;

განსაკუთრებულად არის ორიენტირებული ფერადი ლითონების მეტალურგიის ტექნოლოგიურ მულტიდისციპლინურ სფეროში, სადაც საჭიროა პირომეტალურგიული მაღალტემპერატურული პროცესების შედარება ჰიდრომეტალურგიულ პროცესებთან და ნედლეულის გადამუშავების შესაბამისი ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემების შერჩევა;

შეუძლია ლითონის რაფინირების ხერხების შერჩევა, იცის ლითონის ჯართის უზარმაზარი მარაგის გადამუშავების ტექნოლოგიები, ძვირადღირებული ელემენტების შენარჩუნებით და რიგითი ან ზესუფთა ლითონების და შენადნობების მიღების მიზნით;

მეტალურგიის კომპლექსური ცოდნა აძლევს საშუალებას მერყევ ეკონომიკურ გაუთვალისწინებელ პირობებში უმოკლეს დროში იპოვოს პრობლემების გადაწყვეტის გზები, მაგალითად დეფიციტური ნედლეულის, სათბობის, აღმდგენელის შეცვლა ახალი ხელმისაწვდომი მასალებით;

დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

მეტალურგიული ტექნოლოგიური პროცესების განვითარება სრულდება ლითონის უმაღლესი ხარისხის მიღების მიმართულებით, მავნე მინარევების - გოგირდის, ფოსფორის, გამონაბოლქვი აირების, არალითონური ჩანართების მოშორების უამრავი ხერხი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ ფაქტორთან და ხელთარსებულ შესაძლებლობებთან, ამის გათვალისწინებით შეუძლია კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში

დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, სამეცნიერო კვლევების უახლეს მონაცემებზე (მაგალითად, კვლევები ოქროს არაციაზე გამხსნელებზე) დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და პრაქტიკული რეკომენდაციების მოწოდება;

კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ მეტალურგიის სპეციალისტების საზოგადოებასთან ქართულ და მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; საკუთარი რეალური შესაძლებლობების და ცოდნის ობიექტური შეფასება, შემდგომი მეცნიერული საქმიანობის მიმართულების და სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა; მეტალურგიის დოქტორანტურაში სწავლის მიმართულების განსაზღვრა მსოფლიოში შექმნილი გარემოს, პრიორიტეტების და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;

ღირებულებები - ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. საზოგადოებაში სხვადასხვა ლითონების (ფოლადის, სპეციალური შენადნობების, ოქროს, ვერცხლის, პლატინოიდების და სხვა) მარაგის სტრატეგიული ღირებულებებისადმი დამოკიდებულების არგუმენტული შეფასება და მეტალურგიის განვითარების პროცესში მონაწილეობის მიღება;

მეტალურგია კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ნებისმიერი ქვეყნის ძლიერება მის ოქროს მარაგებთან და შესაბამისად მეტალურგიის განვითარების დონესთანაა დაკავშირებული. დღეს ადამიანები კოსმოსურ და ოკიანის სივრცეებს იკვლევენ, რაც როგორც შავი, ასევე ფერადი მეტალურგიის, განვითარების მაღალი დონის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ასევე აუცილებელია გარემოს დაცვა მეტალურგიის მავნე ზემოქმედებისაგან, სხვაგვარად პლანეტა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. ეს ღირებულებები ღრმად უნდა ჰქონდეს მაგისტრანტს გაცნობიერებული ნებისმიერი მეტალურგიული პროცესის განხორციელებისას; ქვეყანაში მეტალურგის პროფესიის ღირსეული ადგილის და პატივისცემის დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა; ლითონის ისტორიული და ეკონომიკური მნიშვნელობის, ღირებულებების პოპულარიზაცია და სხვებისთვის გაზიარება.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

	<ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p> <p>კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf</p> <p>საკონტაქტო პირი : ომარ მიქაძე / ტელეფონი 593 313000 / e-mail omikadze@gtu.edu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი</p>
--	---

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
საინჟინრო ეკოლოგია	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების მაგისტრი საინჟინრო ეკოლოგიის სპეციალიზაციით
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>საინჟინრო ეკოლოგიის სფეროში რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემატიკური საკითხების გადასაჭრელად, ბიოსფეროს კომპონენტების სისუფთავის კონტროლისათვის და დაბინძურების შესამცირებლად ისეთი ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა, რომელიც მოიცავს ატმოსფერული ჰაერისა და ჰიდროსფეროს დაცვის ტექნოლოგიური პროცესების სქემებს თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით. აგრეთვე საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზებისათვის საზოგადოების აქტიურ თანამონაწილეობას.</p> <p>საქართველოს ბიოსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილებების, სოციალური ეკოლოგიისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადასაწყვეტად, სხვა</p>

ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, აგრეთვე ეკოლოგიური სამართლის საფუძველზე დაყრდნობით, ბუნებრივი რესურსების დაცვის ღონისძიებების ეკოლოგო-ეკონომიკური ეფექტურობის გათვალისწინებით პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საწარმოთა ეკოლოგიური მენეჯმენტის სწორი წარმართვა.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

- **ცოდნა და გაცნობიერება** – საინჟინრო ეკოლოგიის ცალკეული პრობლემის გადასაჭრელად აცნობიერებს და შეიმუშავებს ორიგინალური იდეების განსახორციელებელ გზებს, ეკოლოგიური სამართლის, საწარმოთა ეკოლოგიური მენეჯმენტის საფუძვლებზე ბიოსფეროს კომპონენტების სისუფთავის კონტროლისათვის და დაბინძურების შესამცირებლად თანამედროვე ტექნიკის გამოყენებას, ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიური პროცესის სქემების შემუშავებას და სრულყოფას.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოთა მიერ ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ნედლეულის კომპლექსური გამოყენებით ისეთი ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვით ტექნოლოგიებს უახლესი ტექნოლოგიური სისტემებისა და აპარატურის, სამეცნიერო-კვლევითი შედეგების დამუშავების მათემატიკურ მეთოდების გამოყენებას, საზოგადოებრივი ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზებას, გარემოს ობიექტების დაცვის სამართლებრივ კანონმდებლობის, ეკოლოგიური მართვის ასპექტების ათვისებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.
- **დასკვნის უნარი** – რთული ეკოლოგიური სიტუაციის მქონე რეგიონის მაგალითზე, გარემოს ობიექტების, არსებული და დასაპროექტებელი სამრეწველო საკვლევი ობიექტების ეკოლოგიური კვლევისა და კონტროლის შედეგების ანალიზის, ბუნებრივი რესურსების დაცვის ღონისძიებების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტურობის საფუძველზე, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირება და დასკვნის გაკეთება.
- **კომუნიკაციის უნარი** – საინჟინრო ეკოლოგიის სფეროში რიგი პრობლემემატიკური საკითხების შესახებ დასკვნების არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე. არსებული ეკოლოგიური პრობლემების და მათი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება საინფორმაციო-საკომუნიკაციო მიღწევათა გათვალისწინებით.
- **სწავლის უნარი** – საინჟინრო ეკოლოგიის თვალსაზრისით სამრეწველო რეგიონების მიხედვით გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, ბიოსფეროს კომპონენტების დაცვის, უსაფრთხო უახლესი ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი ეტაპებისა და პერსპექტივების დასახვის სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. ასევე ატმოსფერული ჰაერისა და ჰიდროსფეროს დაცვითი ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებების გაცნობიერება, სოციალური ეკოლოგიისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის სტრატეგიული გეგმის დამუშავება.
- **ღირებულებები** – საქართველოსა და სხვა ქვეყნების გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილებების, პრობლემებისა და მათ ღირებულებებისადმი დამოკიდებულებების

	<p>შეფასება, პრევენციულ ღონისძიებებში თანამონაწილეობა და ახალი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p> <p>კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf</p>
	<p>საკონტაქტო პირი : დიმიტრი ერისთავი / ტელეფონი 599115670/ e-mail d.eristavi@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი.</p>

<p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>ქიმია</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>120</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>

ქიმიის მაგისტრი
სწავლების ენა
ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია მოამზადოს ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ღრმა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნით, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო (თეორიული კურსები) და კვლევითი (ექსპერიმენტული ნაწილი) კომპონენტები.
საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი
<p>ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ქიმიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; შეუძლია სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, თუ სხვა დარგობრივი ლიტერატურის საშუალებით თვალყურის ადევნოს დარგის განვითარების ტენდენციებს, გააცნობიეროს ქიმიისა და ქიმიური ინჟინერიის წინაშე მდგომი თანამედროვეობით გამოწვეული ამოცანები.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; დარგის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ქიმიის თეორიული ცოდნის გამოყენება ქიმიური და მისი მონათესავე დარგების პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში; შესასრულებელი სამუშაოს პროექტირება, დაგეგმვა, დავალებების განაწილება და მის შესრულებაზე მონიტორინგი. შეეძლება ქიმიური ნაერთების სინთეზი, ანალიზი, უცნობი ნივთიერების აღნაგობისა და სისუფთავის დადგენა.</p> <p>დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ლიტერატურის ანალიზის და/ან ექსპერიმენტით მიღებული შედეგების გაანალიზება და დასკვნის გამოტანა. საანალიზოდ წარმოდგენილი ნივთიერების (მათ შორის ახალი) სისუფთავისა და აღნაგობის დადასტურება.</p> <p>კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე; დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა; როგორც დარგის სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოების წინაშე პრეზენტაციით წარდგენის, შესრულებული ამოცანის შესახებ ანგარიშის დაწერის უნარი.</p> <p>სწავლის უნარი - სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; დარგის წინაშე თანამედროვეობით წამოჭრილი ამოცანებიდან გამომდინარე შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ბაზაზე ცოდნის დამოუკიდებლად მუდმივად განახლების უნარი.</p>

მუდმივად განახლებადი თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდებისა და მოწყობილობა/დანადგარების დამოუკიდებლად ათვისება.
ღირებულებები - ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. მუდმივი ზრუნვა პროფესიული ეთიკის გაღრმავებასა და თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებაში. მისი პროფესიული მოღვაწეობის შედეგების (დასკვნების, ანალიზების და ა.შ) მნიშვნელობის გაცნობიერება.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერათა ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p>
<p>საკონტაქტო პირი: ოთარ ქოჩორაძე / 599301803 / o.kochoradze@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
საჯარო მმართველობა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	საჯარო მმართველობის მაგისტრი
	სწავლების ენა
	რუსული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	სამაგისტრო პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც საშუალება ექნებათ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, ასევე მმართველობითი სფეროს სხვა რგოლებში. საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტებს მართვის

მეთოდოლოგია, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები მმართველობით სფეროში. საშუალება მისცეს მათ მეცნიერ-პედაგოგთა და პრაქტიკოსთა დახმარებითა და კონსულტაციებით ძირფესვიანად გაეცნონ და აითვისონ სხვადასხვა მმართველობითი დონეებისათვის დამახასიათებელი სისტემები, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, ანალიზის, სტრატეგიული და კალენდარული დაგეგმვის თავისებურებები და ტექნოლოგიები. პროგრამის მიზანია, ასევე, შეასწავლოს სტუდენტებს ლიდერის მომზადებისათვის აუცილებელ თეორიული კურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - ფლობს საჯარო სამსახურის სფეროს ღრმად სასისტემურ ცოდნას. შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი, ორიგინალური იდეებისა და წინადადებების გენერირებისათვის, კარგად აქვს გაცნობიერებული სფეროს პრობლემები და გამოწვევები, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

მიღებული აქვს საჯარო მმართველობის სფეროს სასისტემური და ღრმა ცოდნა; სისტემის არსში წვდომა, მოქმედების სრულყოფის მეთოდების ცოდნა და გამოყენება; ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი. ახალი ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიის ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მიუჩვეველ და არაორდინალურ გარემოში სწორი ორიენტირება. მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. სისტემის მახასიათებლების ანალიზი დამოუკიდებელი კვლევის საშუალებით.

დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის უნარი; სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვის პრინციპების ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ კვლევითი და მეცნიერული მიღწევების ცოდნა და მისი ანალიზის უნარი; თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. არაორდინალურ გარემოში ოპერატიულად მოქმედების უნარები; ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის, კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობისათვის მზადყოფნა.

დასკვნის უნარი - სისტემაში მიმდინარე მოვლენების, პროცესების ანალიზი და სათანადო დასკვნების შემუშავება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და ანალიზი.

საჭირო გადაწყვეტილებების შემუშავება და ექსპერტიზა; პრაქტიკაში ინოვაციური მენეჯმენტის პრინციპების გამოყენება; გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებათა შეტანა და/ან კორექტირება. რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი - კოლეგებთან, საზოგადოებასთან, პროფესიონალებთან და დაინტერესებულ პირებთან მოსაზრებების თავისუფალი გაზიარება, არგუმენტირებულად და მიზანმიმართულად. კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან რუსულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა ფართოდ გამოყენებით.

საქმიანი დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა. დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; რუსულ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი; ნებისმიერ სივრცეში (ორგანიზაციის შიგნით და გარეთ, სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებაში) კომუნიკაციის უნარი; პერსონალის მართვის ტექნოლოგიისა და საქმიანი უნარების ფლობა; საჯარო გამოსვლების უნარი;

სწავლის უნარი - დამოუკიდებელი სწავლა, დაოსტატება, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპების განხორციელება.

უნარი თავად აირჩიოს სწავლის გაგრძელების შემდგომი ადგილი და მიმართულება; ცხოვრების სტილად

<p>აქციოს „მუდმივი სწავლის“ პრინციპები; სწავლა განაგრძოს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.</p> <p>ღირებულებები- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი, დემოკრატიული თანაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <p>პატრიოტიზმი; მოქმედი კანონმდებლობის განუხრელი დაცვა; ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი; საზოგადოებრივი პროგრესისათვის მუდმივი ზრუნვა; ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების პატივისცემა; პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალებისაღწერათან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p>
<p>საკონტაქტო პირი: ოთარ ქოჩორაძე / 599301803 / o.kochoradze@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
საბანკო პროცესების მართვა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ფინანსების მაგისტრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საბანკო პროცესების მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ეცოდინებათ:

- საბანკო პროცესების მართვის მეთოდები;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკული მენეჯმენტის საქმიანობაში;
- საბანკო საქმეში პროცესული მიდგომის და ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდოლოგიები;

ფინანსებისა და საბანკო საქმის, თანამედროვე საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების, ფულად-საკრედიტო სისტემის, საჯარო და კორპორაციული ფინანსების თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- ზოგადი კომპეტენტურობა:

- საერთაშორისო საინვესტიციო ურთიერთობების მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის გაცნობიერება; ცოდნის ფლობა საერთაშორისო ინვესტიციების შესახებ; საერთაშორისო საინვესტიციო რისკებისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგების გაცნობიერება;
- მაგისტრანტს შეექმნება მკაფიო წარმოდგენები პროცესულად სტრუქტურირებული ბიზნესის შესაძლებლობებზე, პროცესების მოდელირებასა და პოტენციალის შესწავლაზე მოდელის მეშვეობით, ბიზნეს-პროცესების რეფორმირების მეთოდოლოგიაზე.

- დარგობრივი კომპეტენტურობა:

- ფინანსური ინჟინერინგის არსისა და მნიშვნელობის გააზრება, განვითარების ფაქტორების გათვითცნობიერება, ცოდნის ბაზის დაუფლება;
- საჯარო ფინანსების მართვის პრინციპების შესწავლა;
- აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურის და ორგანიზაციის გაცნობიერება;
- საბანკო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და წესების გაცნობიერება;
- კორპორაციის მოგების ფორმირებისა და მართვის ფინანსური მექანიზმების გაგება;
- საბანკო ბიზნეს-ლოგისტიკის ძირითადი პრინციპების და ამოცანების გაცნობიერება;
- საბანკო ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემების ძირითადი ცნებების და ტექნოლოგიური პროცესების გაცნობიერება;
- ფინანსური რისკების მართვის მეთოდების შესწავლა;
- საბანკო სისტემის ევოლუციის ძირითადი ეტაპების გაცნობიერება;
- ბანკის ადამიანური რესურსების მართვის სტილის სრულყოფა;

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ზოგადი კომპეტენტურობა:

- საერთაშორისო საინვესტიციო რისკების გამოვლენა და თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება;
- უცხოურ ენაში დედანსა და თარგმანს შორის შინაარსობრივ-აზრობრივი და ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტების მოძიების შესაძლებლობა;

- დარგობრივი კომპეტენტურობა:

- ფინანსური ინჟინერინგის ფიზიკური ინსტრუმენტების - ფინანსური პროდუქტების, პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა;
- საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციისა და საკრედიტო მენეჯმენტის ეფექტიანობის შემოწმება.
- ბანკებში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და ანალიზი.
- კორპორაციების ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საკუთარი და მოზიდული რესურსების ღირებულების შეფასება;
- საბანკო მომსახურების მიკრო, მაკრო და მეტა ლოგისტიკური სისტემების ანალიზი და ამოცანის დასმა;
- საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელის ურთიერთ დაკავშირება.

- ინდივიდუალური მსესხებლის საკრედიტო რისკების მართვის ეტაპების განსაზღვრა;
- ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტის ათვისებას;

3. დასკვნის უნარი:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
 - ოპერაციათა დაგეგმარების და მიმდინარეობის კონტროლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის პროექტების შედგენისა და რეალიზებისთვის რელევანტური მონაცემების შეგროვება, მათი რაოდენობრივი ანალიზი და მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ასახვა საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებში;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
 - ფინანსური ინჟინერინგის პროცესებისა და სტრატეგიის - აქტივებისა და პასივების თავისებურებების ანალიზის დაუფლება და გადაწყვეტილების მიღება;
 - საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის შეფასება;
 - რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ფინანსების როლის პრაქტიკული შეფასება.
 - აუდიტორული საქმიანობის ანალიტიკური პროცედურების საფუძველზე აუდიტორული დასკვნის შედგენა;
 - საკრედიტო ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ანალიზის და შეფასება;
 - კორპორაციების ფულადი და საბრუნავი აქტივების, მათი ცალკეული ელემენტების ღირებულების შეფასება;
 - საბანკო მომსამხურების პროცესის ფინანსური ნაკადების ლოგისტიკური ანალიზი;
 - საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება, მონიტორინგი და ანალიზი;
 - საინვესტიციო პორტფელის ფინანსური რისკების ანალიზი და შეფასება;

4. კომუნიკაციის უნარი:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
 - სათარგმნი ტექსტის საკომუნიკაციო ღირებულების გადატანა ერთი ენიდან მეორეში;
 - ორიგინალიდან ადაპტატში ტექსტის ავტორის კომუნიკაციური მიზნის ტრანსლაციისათვის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციის განსაზღვრა;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
 - სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას პროფესიულ დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება;

5. სწავლის უნარი:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
 - ტექსტში ფაქტოგრაფიული, კონცეპტუალური და მიმოხილვით-ანალიტიკური ინფორმაციის იდენტიფიცირება;
 - ორიგინალიდან ადაპტატში ტექსტის ავტორის კომუნიკაციური მიზნის ტრანსლაციისათვის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციის განსაზღვრა;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
 - საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპების შესწავლის პროცესის გათვითცნობიერება;
 - საბანკო მენეჯმენტის მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და გააზრება;
 - ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში საბანკო სისტემის მნიშვნელობის გათვითცნობიერება;

6. ღირებულებები:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
 - გათავისებული აქვს საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებელთა წინაშე, მიწოდებული მომსახურების და სერვისის ხარისხის მიმართ, ასევე ბიზნესის გარემოს დაცვითი და საზოგადოებრივი ვალდებულებები;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
 - ფინანსური ინჟინერინგის ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების კანონმდებლური დაცვის საკითხების შეფასება და გადაწყვეტა.
 - სარეზერვო ფონდის ფორმირებისა და გამოყენების წესრიგის აუდიტის ორგანიზებულად ჩატარება;

<ul style="list-style-type: none"> - ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების სიზუსტე და დროულობა; - კორპორაციების საქმიანობისა და ფუნქციების, პრინციპების, საკუთრების ფორმებისა და სტრუქტურის ორგანიზებულად წარმართვა; <p>ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების შეფასება, გაზომვა და პროგნოზირება.</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერათან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p>
<p>საკონტაქტო პირი: გიორგი ცაავა / 599201230 / g.tsaava@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>შეასწავლოს სტუდენტებს: ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის სისტემებში, რომლის შედეგადაც ისინი შეეძლებენ ელექტრონული ბიზნესის სისტემების და ობიექტების შექმნას, ანალიზსა და დანერგვას; ელექტრონული ბიზნეს საქმიანობის მართვის უზრუნველყოფას. მათ ჩამოუყალიბდებათ მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	
<p>ცოდნა და გაცნობიერება - ელექტრონული ბიზნესის სისტემების, ობიექტების, პროცესების და ტექნოლოგიების ღრმა და სისტემური ცოდნა;</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ბიზნეს პროცესების და გლობალური ქსელების მომხმარებელთა აუდიტორიის, საქონლის ასორტიმენტის და კონკურენტუნარიანობის კვლევის და ანალიზის უნარი; კვლევების და მოდელირების მეთოდების გამოყენების უნარი ელექტრონული ბიზნესის სისტემების და ობიექტების ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად;</p> <p>დასკვნის უნარი - რთული პრობლემების გაგებისა და მათი აბსტრაგირების უნარი; რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>კომუნიკაციის უნარი - დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების სპეციალისტებისათვის ნათლად წარმოდგენის უნარი ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით;</p> <p>სწავლის უნარი - სამეცნიერო ლიტერატურასთან, უახლეს კვლევებთან დამოუკიდებლად გაცნობის უნარი; კვლევის კლასიკური და უახლესი მიღწევების შესწავლისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.</p> <p>ღირებულებები - ზეპირი და წერიტი ბიზნესკომუნიკაციის ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; საქმიანი ურთიერთობების პროცესში ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნის, პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გააზრებისა და ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად ინიციატივის გამოვლენის უნარი.</p>	
შეფასების წესი	
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალებისაღწერათან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p>	
საკონტაქტო პირი: ალექსანდრე ედიბერიძე / 593303750 / aedib@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77	
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
სასტუმრო მომსახურების მართვა	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
120	

<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
<p>ტურიზმის მაგისტრი</p>
<p>სწავლების ენა</p>
<p>ქართული</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
<p>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა თეორიულად იცოდეს და პრაქტიკულად შეძლოს სასტუმროს ოპერაციული მენეჯმენტის წარმართვა, რაც ნიშნავს: სასტუმრო ბიზნესის საწარმოებში (სასტუმროებში, გესტჰაუზებში, ჰოსტელებში, მოტელებში და სხვა სახის განთავსების ობიექტებში) დეპარტამენტებისა და სამსახურების მართვას; მომსახურების ხარისხის კონტროლს; სტრატეგიული გეგმის შედგენასა და მისი განხორციელებას. მას ასევე შეეძლება სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრა.</p> <p>საქართველოს ტურიზმის განვითარების დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ტურისტული ბაზრის ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობები უკავშირდება სხვადასხვა დონისა და კატეგორიის სასტუმროს ადმინისტრაციულ მმართველობით თანამდებობებს. სასტუმროების მსოფლიო ჯაჭვის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიცაა: მარიოტი, ჰაიატი, ჰოლდეი ინი, რედისონი და სხვა ქართულ ბაზარზე არსებული ბრენდები, ზემოაღნიშნული პერსონალის სიმწირის გამო, შიდა სწავლებით თვითონ ამზადებენ ადმინისტრაციულ სტაფს; ხოლო შედარებით დაბალი კლასის სასტუმროები მუდმივად განიცდიან პროფესიული კადრების სიმწირეს, რაც თავის გავლენას ახდენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე. საქართველოში აღნიშნული პროგრამა მაგისტრატურის დონეზე თითქმის არსად არ ისწავლება, განსაკუთრებით ევროკავშირის პროექტის ფარგლებში განხორციელებული აკადემიური პერსონალის გადამზადებისა და სასწავლო მეთოდოლოგიური მასალებით უზრუნველყოფის პირობებში, რაც უზრუნველყოფს პროგრამით მიღებული მაღალი დონის ცოდნას.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</p>
<p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს მმართველობითი და ადმინისტრირების მსოფლიო გამოცდილების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; აქვს განთავსების ობიექტების ადმინისტრირების კვლევის სპეციფიკური მეთოდების სიღრმისეული ცოდნა; სასტუმროს მომსახურების ადმინისტრირების, მენეჯმენტში, მარკეტინგში, ფინანსებში არსებული კონკრეტული პრობლემების გაცნობიერება; აქვს სასტუმროს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, აუდიტორული სტანდარტებისა და პროცედურების, სასტუმროს ბიზნესის-ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნათა დრმა და სისტემური ცოდნა; აცნობიერებს ტურიზმისა და სასტუმროს მართვის ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; აქვს სასტუმრო ბიზნესში არსებული თეორიული პოსტულატები ახლებურად გააზრებული და გაცნობიერებული.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მენეჯმენტის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა; ინოვაციური ტექნოლოგიების შერჩევის, დანერგვისა და ეფექტურად გამოყენების უნარი. მცირე ბიზნესის, ბიზნესკომუნიკაციის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების საფუძველზე სასტუმროს საქმიანობის, მცირე ბიზნესის დაგეგმვა, წარმატებით მართვა და კონტროლი; ინფო-ტელეკომუნიკაციური რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი; სასტუმროს მომსახურების ადმინისტრირების ინოვაციური ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის უნარი სასტუმროს მართვის სისტემების გამოყენებით.</p> <p>დასკვნის უნარი: რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; სასტუმროს მენეჯმენტის სფეროში რთული და</p>

არასრული ინფორმაციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული, მათ შორის, ტურიზმისა და სასტუმროს მცირე ბიზნესის, ბიზნესკომუნიკაციის პროცესების მართვის სფეროში ცალკეული პროცესების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე ზოგადი დებულებებისა და დასკვნების ჩამოყალიბება; ელექტრონული ცხრილების დახმარებით გადაწყვეტილებათა მიღების მოდელების აგება.

კომუნიკაციის უნარი: საკუთარი დასკვნების და არგუმენტაციის კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე აკადემიური სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა; ზედმეტად გართულებული ენისთვის თავის არიდებისა და ლოგიკურად გამართული წერითი კონსტრუქციების შექმნის უნარი; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; წერითი კომუნიკაბელურობის უნარი მენეჯმენტის, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის, მომსახურების ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის პროცესების მართვის სფეროში; იდეების, საპროექტო წინადადებების, პროექტის მიმდინარეობის თუ საბოლოო ანგარიშის დეტალური ლოგიკურად გამართული კონსტრუქციების წერილობით მომზადება, პროექტების პრეზენტაციის მომზადება.

სწავლის უნარი: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაგნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; მენეჯმენტის, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის, ბიზნესკომუნიკაციის პროცესების მართვის და ა.შ. სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა აკადემიურ ან საკვალიფიკაციო სწავლების გარემოში.

ღირებულებები: საზოგადოებრივი პრინციპებისა და ფასეულობების ცოდნა; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ფასეულობებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალებისაღწერათან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

საკონტაქტო პირი: მარინა მეტრეველი / 591939455/ m.metreveli@yahoo.com / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

180

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევრების მომზადება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გადრმავევა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების აქტუალური პრობლემების ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ახალი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

კომუნიკაციის უნარი

მშობლიურ და უცხოურ ენებზე ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, აუდიტორიისათვის შესაბამისი პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი; საჯარო გამოსვლების წარმართვის უნარი.

სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

ღირებულებები

ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
დადებით შეფასებად ჩაითვლება:

	<ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალებისაღწერათან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p>
<p>საკონტაქტო პირი: ევგენი ბარათაშვილი / 595544500 / e.baratashvili@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77</p>	

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა	
საჯარო მმართველობა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	180
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	საჯარო მმართველობის დოქტორი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ფინანსების სფეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევარების მომზადება.</p> <p>შრომის ბაზარზე ასეთ მაღალი დონის სპეციალისტზე მოთხოვნა სწარფად იზრდება არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ზოგადი განათლების მქონე პირებზე, არამედ მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ მაღალი დონის ფინანსისტზე, ფინანსურ კონსულტანტსა და ანალიტიკოსებზე. აღნიშნულს იწვევს ერთის მხრივ, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, ხოლო მეორეს მხრივ, საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები და საქართველოს სულ უფრო მეტი ინტეგრაცია ცივილიზებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.</p> <p>მიმდინარე ეტაპზე, ქვეყანაში იზრდება მოთხოვნა ფინანსური მენეჯერებზე, ინვესტიციურ მენეჯერებზე, ექსპერტებზე, ფინანსურ ანალიტიკოსებზე, და სხვა ისეთ პოზოციებზე, სადაც ფინანსების ბაკალავრის თუ მაგისტრის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები არ არის საკმარისი.</p>

აღსანიშნავია, რომ სერიოზულ პრობლემად ყალიბდება ტენდენცია, როდესაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ, ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ბიზნეს სფეროში ან სახელმწიფო სამსახურში დასაქმებით, ვიდრე სწავლის გაგრძელებით სწავლების შემდგომ საფეხურზე. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის წარმატებით გავლა, ერთობ ზრდის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მყარ საფუძველს ქმნის მათი წარმატებული კარიერის ფორმირებისათვის.

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმეში, რომლებიც აღჭურვილი არიან მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით, კარგად ერკვევიან ფინანსების მეცნიერების განვითარების ტენდენციებში, თავისი თეორიული მომზადებითა და შემოქმედებითი უნარის დონით შეესაბამებიან საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დამოუკიდებლად შეუძლიათ სამეცნიერო-ანალიტიკური, სასწავლო-პედაგოგიური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ბიზნეს-საქმიანობის განხორციელება ქვეყნისა და რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ა) **ცოდნა და გაცნობიერება** – შეიძენს სისტემურ და სიღრმისეულ ცოდნას ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის პროცესების მრავალფეროვნებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ; მიიღებს სიღრმისეულ ცოდნას თანამედროვე უცხოური და ეროვნული მეცნიერების მიღწევების შესახებ, გაერკვევა ფინანსური მეცნიერების მსოფლიო ტენდენციებში და სხვადასხვა მიმართულების კონცეპტუალურ მიდგომებში, გააცნობიერებს მეცნიერული კვლევის პროგრესულ მეთოდოლოგიას და მ.შ. დისციპლინათაშორის მიდგომას, და ამ ცოდნის საფუძველზე შეძლებს საკუთარი შეხედულებათა ჩამოყალიბებასა და გადმოცემას საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; შეძლებს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის წარმართვას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მიღებულ ცოდნას იყენებს საკუთარი კვლევის პროცესში შესწავლილი მოვლენების ანალიზისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისათვის, განსაზღვრავს საკვლევი პრობლემის შესწავლის თანმიმდევრულობას, კვლევის არსებული მეთოდებიდან შეარჩევს კონკრეტული კვლევის მიზნების შესაბამის მეთოდებს და შეიმუშავებს კვლევის ისეთ მეთოდოლოგიას, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დასახული საკვლევი მიზნების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ჩამოყალიბებას და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

გ) **დასკვნის უნარი** – საკვლევი პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და კრიტიკული გააზრების, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება-განვითარების საფუძველზე და ფინანსური მეცნიერების მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ახორციელებს საკვლევი პრობლემის კრიტიკულ გააზრებას და დასკვნის გაკეთებას მისი გადაჭრისათვის ეფექტური გზების გამოძენის შესახებ. ფინანსური მეცნიერების ინსტრუმენტარიების გამოყენებით ახდენს ბიზნეს-პროცესების ანალიზს, დასკვნის სახით დამოუკიდებლად შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს ახალი ფინანსური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დ) **კომუნიკაციის უნარი** – შეუძლია არსებული ფინანსური, საბანკო და სადაზღვევო ცოდნის დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენა; სამეცნიერო დისკუსიებში, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა და საკუთარი მეცნიერული შეხედულებათა გამოთქმა, მ.შ. უცხოურ ენაზე; თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენება და საჭირო ინფორმაციის მიღება და ახლად მიღებული ცოდნის კონკრეტულ წინადადებებში გადაყვანა.

ე) **სწავლის უნარი** – შეუძლია იზრუნოს მიღებული ცოდნის მუდმივ განახლება-გაფართოებაზე და ამ ცოდნის გააზრება-გადასინჯვის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბება, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად აკუმულირება და გადმოცემა; გააჩნია სისტემური ცოდნა და ანალიტიკურ უნარი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისათვის არა მრავალი ფაქტებისა და საბაზო მონაცემების დამახსოვრების, არამედ მათი ანალიზისა და მიღებული შედეგების შემდგომი სინთეზირების საფუძველზე.

ვ) **ღირებულებები** – გააჩნია ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული და მეცნიერული ღირებულებების ცხოვრებაში გატარებისა და დამკვიდრებისაკენ მუდმივი სწრაფის უნარი და თავის მეცნიერულ-

<p>თეორიულ, პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობაში ახორციელებს ამ ღირებულებების გამომჟღავნებას, განსაზღვრასა და დანერგვას. მისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები, როგორცაა პროფესიული და ადამიანური ეთიკა, მეცნიერული ობიექტურობა, კოლეგიალურობა და თანამშრომლობა, მეცნიერული და ადამიანური პატიოსნება, თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციისაკენ მუდმივი სწრაფვა.</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალებისაღწერათან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე</p>
<p>საკონტაქტო პირი: შოთა დოღონაძე / 577405677 / sh.dogonadze@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77</p>

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა	
ფინანსები	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	180
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფინანსების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი საჯარო მმართველობაში, რომელსაც ექნება :</p> <ul style="list-style-type: none"> - საფუძვლიანი, ღრმა და უახლესი ცოდნა სახელმწიფოს მმართველობის, მისი კონსტიტუციური მოწყობისა და ეფექტიანად მართვის მიმართულებით; - უნარი მოამზადოს ფუნდამენტური ანალიტიკური ნაშრომები და პუბლიკაციები, მოხსენებები და გამოსვლები საჯარო მმართველობის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით; - ღრმად გაცნობიერებული საჯარო მმართველობის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მეთოდოლოგია;

- ცოდნის მაღალი სტანდარტი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ დონეს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალისტებისათვის, ზოგადად საჯარო მოსამსახურისათვის.

უნარი დაგეგმოს საქმიანობა საჯარო სამსახურის დაწესებულებაში/ორგანოში, მიიღოს საჭირო გადაწყვეტილებები თავის კომპეტენციის ფარგლებში, დაანაწილოს დავალებები და გააკონტროლოს მათი შესრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

- მიმართულებათაშორისი დარგების სფეროს თანამედროვე პარადიგმებსა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც იმის ფართე შესაძლებლობებს იძლევა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები. მოამზადოს არსებული სტანდარტების შესაბამისი ნაშრომები და გამოაქვეყნოს. კარგად გააცნობიეროს მისთვის აუცილებელი ცოდნის მიღების მნიშვნელობა და დღენიადაგ იზრუნოს ცოდნის მარაგის შევსებისათვის, შეძლოს დაგროვილი ცოდნისა და ემპირიული გამოცდილების გააზრება და საჭიროების შემთხვევაში სწორად გადაფასება.
- საჯარო მმართველობის სამამულო და საზღვაგარეთის სისტემის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. მართვის თანამედროვე მიღწევებისა და ნოვაციების სწორი და შემოქმედებითი გააზრება, მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის მზადყოფნა; საჯარო სამსახურში არსებულ სიახლეებზე ინფორმაციების მოპოვება, ღრმა ანალიზი და ანალიტიკურ/სამეცნიერო ნაშრომად ჩამოყალიბების უნარი; საჯარო მმართველობისა და ზოგადად მართვის უახლესი ფორმებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაცნობიერება, გავრცელება და ამ თვალსაზრისით სწავლების ორგანიზება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის საჭიროებისათვის კვლევის ინოვაციური სისტემის დაგეგმვა, ჩატარება და ხელმძღვანელობა; ისეთი მეთოდებისა და ფორმების შემუშავება, რომლებიც საშუალებას შექმნიან თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების დონეზე განხორციელდეს ანალიტიკური კვლევები და საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დაგროვებისა და სამეცნიერო პუბლიკაციებით გავრცელების საშუალებას უპირატესად საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.
- საჯარო სამსახურში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ინოვაციური სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა. მართვის თანამედროვე პარადიგმების შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, მათზე დაფუძნებული ახალი ცოდნისა და გამოცდილების ანალიზი და გავრცელება საერთაშორისო რეფერირებული პუბლიკაციების საშუალებით. საჯარო სამსახურში არსებული უახლესი გამოწვევების საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია.

დასკვნის უნარი

- თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აუცილებელი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით ისეთი ანალიზებისა და კრიტიკული შეფასებების სინთეზი, რომელსაც მხოლოდ მაღალპროფესიული მუშაკების ჩართულობა განაპირობებს. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღებისათვის აუცილებელი შეფასებებისა და ინფორმაციის დამუშავების შედეგად ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება.
- საჯარო მმართველობის სფეროში მიმდინარე პროცესებზე სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) მოპოვება, თანამედროვე სისტემების დახმარებით გადამუშავება და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრისათვის თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით სათანადო გადაწყვეტილებების შემუშავება, მიღება და განხორციელების ორგანიზება.

კომუნიკაციის უნარი

- კომუნიკატივისტიკის პრინციპების ცოდნა, მიღებული ცოდნის წარმოჩენის უნარი. უცხოურ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, მათან

მეცნიერული მიღწევების გაცვლა.

- მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი. სახელმწიფო ენაზე ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა. თავის დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ აუდიტორიისათვის გასაგები ენით გადაცემისა და მსმენელთა დარწმუნების უნარი. კომუნიკაციისას - ადამიანებთან ურთიერთობისას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. უნარი მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პოლემიკაში უცხო ენაზე.

სწავლის უნარი

- სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის მზაობა, ცოდნის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ახალი იდეების, ინიციატივებისა და წამოწყებების ათვისების უნარი.
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების გენერირება სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ორგანიზაციისათვის ხელშეწყობა. საჯარო მმართველობაში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მთავრობის პრინციპების დანერგვის ფართე პროპაგანდა და განხორციელებისათვის მზადყოფნა.

ღირებულებები

- დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და ამ მიზნით ინოვაციური მეთოდების შემუშავება. საქართველოს სახელმწიფოს ათასწლოვანი ისტორიული მემკვიდრეობის ახლებური შეფასება და მასზე დაყრდნობით ეროვნული იდეალების ერთგული, ტოლერანტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება და ამისათვის თანამედროვეობისათვის შესაფერისი და აქტიური მეთოდების შემუშავება. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა; ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების პატივისცემისა და მისი უფლებების დაცვისათვის თანმიმდევრული ზრუნვა. ტოლერანტობის, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნაზე ზრუნვა და დამკვიდრება.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალებისაღწერათა ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

საკონტაქტო პირი: ანტონ ინგოროვია / 599142222 / a.ingorokva@gtu.ge / 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #77

**საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
240	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	
<ul style="list-style-type: none"> • მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც გაცნობიერებული ექნება მასობრივი კომუნიკაციის არსი, ძირითადი თავისებურებები, პრინციპები, ღირებულებები, მედიის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური მნიშვნელობა და ასპექტები, ეროვნული და საერთაშორისო ჟურნალიზმის არსი და თავისებურებები; • ექნება ფართო ცოდნა და უნარ-ჩვევები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში, კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში (პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტჟურნალისტიკა, ახალი მედია), სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, პრესცენტრებში, საინფორმაციო სააგენტოებში პრაქტიკული და პროფესიული საქმიანობისათვის. • თანამედროვე პროფესიული სტანდარტებით ინფორმაციის წარმოებისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით (ბეჭდური, აუდიო-ვიზუალური, ელექტრონული) გავრცელების თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების სწავლება; • მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიმდინარე პროცესების აღქმა-გააზრებისა და შეფასების უნარი; • პროფესიული ეთიკისა და მასკომუნიკაციების კონცეპტუალური ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი; • პროფესიულ საქმიანობაში სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულებების ერთგულებისა და დაცვის უნარი; • დასმული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, გადაწყვეტის მიღების უნარები. 	
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება:	
<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკის ძირითადი კატეგორიების, მოდელებისა და თეორიების 	

გაცნობიერება;

- მასობრივი კომუნიკაციის სფეროს არსის, პრინციპების, ღირებულებების ცოდნა; მისი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული მნიშვნელობისა და აპექტების გაცნობიერება;
- სტუდენტი გაცნობიერებს ინფორმატიკასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნის, როგორც საერთო მეთოდოლოგიური და ინსტრუმენტული საშუალებების როლსა და ადგილს შემდგომ საქმიანობაში. შეისწავლის ინფორმაციისა და ინფორმაციული პროცესების ცნებებს, შეისწავლის ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების პრინციპებს;
- გაცნობიერებული აქვს ფილოსოფიური კატეგორიები და ცნებები;
- პროფესიული და არაპროფესიული სფეროებისათვის საჭირო წერიითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარების ცოდნა ვერბალიზების თანამედროვე სტანდარტების გამოყენებით;
- სოციოლოგიის კანონზომიერებათა გააზრება და გაცნობიერება;
- ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებათა გაცნობიერება;
- მასკომუნიკაციის თანამედროვე თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების კრიტიკული გააზრება და ცოდნა;
- დემოკრატიისა და მოქალაქეობის განმარტება, არსი და მნიშვნელობა; კონსტიტუციის არსი და ზოგადი პრინციპები; ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები; ხელისუფლების დანაწილების პრინციპი; სახელმწიფო მმართველობის ფორმების ცნება და შინაარსი; საზოგადოების დემოკრატიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება და მასთან დაკავშირებული პრობლემები და მსოფლიო პრაქტიკა;
- აცნობიერებს კულტურულ ფასეულობებს;
- საქართველოს ისტორიისა და კულტურის ზოგადი ცოდნა და გათავისება;
- ენის დამოუკიდებლად გამოყენებისათვის (B1.1, B1.2, B2.1, B2.2) შესაბამისი ლექსიკური მარაგისა და სინტაქსური კონსტრუქციების თავისებურებათა გაცნობიერება;
- მედიის თეორიული საფუძვლების, ფუნქციონირების პრინციპების, თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის ცოდნა;
- მასკომუნიკაციის ფუნქციური სტილის, მედიატექსტის აზრობრივ-ლოგიკური სიცხადის ლინგვისტური უზრუნველყოფის პრინციპების, წესებისა და მეთოდოლოგიის ცოდნა;
- ვიზუალური მასკომუნიკაციის არსის, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა, მათი ფუნქციონირების თავისებურებების გაცნობიერება;
- მედიის მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგიის შემუშავების, მიზნობრივი დაგეგმარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა; თანამედროვე რეკლამის არსის, სტრატეგიების, კონცეფციების ცოდნა;
- მედიანიუსების პრინციპებისა და მეთოდების, წყაროების ანალიზისა და კომენტარების მასკომუნიკაციური ტექნოლოგიების ცოდნა;
- მასკომუნიკაციის სფეროს სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების,

პრინციპებისა და საკანონმდებლო - ნორმატიული დოკუმენტების ცოდნა;

- მედიადაგეგმარების ფუნქციის გაცნობიერება და საგამომცემლო საქმიანობაში მიზნობრივი მასკომუნიკაციური ტექსტების ფორმისა და შინაარსის განსაზღვრა;
- ანალიზის მასკომუნიკაციური ტექნოლოგიების მთავარი პრინციპებისა და მეთოდების, მასკომუნიკაციის ზოგადი სტრუქტურის, მედიანუსების კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან მიმართების გაცნობიერება;
- მასკომუნიკაციის საშუალებათა მენეჯმენტის არსის, მნიშვნელობის, თანამედროვე ტენდენციების ფართო ცოდნა;
- ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის, ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების ცოდნა;
- მასკომუნიკაციის სფეროს ტექნოლოგიების და კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი;
- ადამიანის ზნეობრივ-მორალურ აღზრდაში დეონტოლოგიის მნიშვნელობის გაცნობიერება; პროფესიული ეთიკის ძირითადი კატეგორიების და პროფესიულ საქმიანობაში მათი ფუნქციონირების პრინციპების ფართო ცოდნა;
- ინტერნეტჟურნალისტიკის დანიშნულებისა და ფუნქციების ცოდნა, მისი უსწრაფესი განვითარების რეალობის გაცნობიერება, ახალი მედიის თეორიული და ორგანიზაციული ასპექტების გაცნობიერება;
- ორატორული ხელოვნების არსი, ბუნების თეორიული საფუძვლების და ტექნიკის ფართო ცოდნა; საჯარო ურთიერთობებისათვის მისი მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვეობის აქტუალური პრობლემატიკის ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევისა და ჟურნალისტური ტექსტის ფორმატირების ცოდნა;
- საარჩევნო სამართლის თეორიულ საფუძვლები, ძირითადი მიმართულებები და მარეგულირებელი ნორმები; არჩევნების სახეები, საარჩევნო სისტემები, საარჩევნო პროცესი, რეფერენდუმი; საქართველოს საარჩევნო სამართლის ძირითადი დებულებები;
- ბიზნესის ფუნქციონირების პრინციპებისა და მეთოდების გაცნობიერებას.
- ბეჭდური მასკომუნიკაციის სახეობათა თავისებურებებისა და მათი ფუნქციონირების პრინციპების ცოდნა;
- მედიის სფეროში გამოსაყენებელი კლასიკური და თანამედროვე პოლიტექნოლოგიების არსის, პროფესიული მარკერების ფართო ცოდნა და მიზნობრიობის გაცნობიერება;
- მასკომუნიკაციის სფეროში ჟურნალისტური გამოძიების მთავარი პრინციპების და მეთოდების ცოდნა;
- მასკომუნიკაციის პროფესიულ სფეროში ფოტოგრაფიის ფუნქციონირების მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა;
- ეკოლოგიის არსის, პრობლემატიკის, ეკოლოგიური ჟურნალისტიკის ამოცანების, ბიოსფეროსა და ეკოსფეროს სისტემებისა და სტრუქტურების, მდგრადი განვითარებისა და განსხვავებული კონცეფციების შინაარსების გაცნობიერება;
- აუდიოკომუნიკაციური ტექნოლოგიების ფართო ცოდნა და პროფესიულ

გარემოში მათი ფუნქციონირების ტენდენციების გაცნობიერება;

- მასკომუნიკაციის სფეროს პროფესიული ოსტატობის განმსაზღვრელი ცოდნა;
- მასკომუნიკაციის სფეროში კულტურის არსის, მნიშვნელობის, პრობლემატიკის ანალიზისა და რეპრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების ფართო ცოდნა.
- საბაკალავრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული თეორიების, კონცეფციების, პრინციპების გააზრება და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; საბაკალავრო ნაშრომის თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხების თავისებურებების გაცნობიერებისა და მათი სპეციფიკის საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- პოლიტოლოგიის გამოყენებითი ასპექტების, პოლიტიკური კულტურის საარჩევნო ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება;
- ენობრივი (ვერბალური) კომუნიკაციების თანამედროვე სოციოტექნიკების გაცნობიერების საფუძველზე ჯგუფური და ინტერპერსონალური კომუნიკაციების დამყარება;
- შეძლებს კომპიუტერული სისტემის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ძირითადი მახასიათებლების შერჩევასა და შეფასებას, კომპიუტერის ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფას, კომპიუტერთან თავისუფალ დიალოგს, ტექსტური, ცხრილური და საპრეზენტაციო დოკუმენტაციის მომზადებას, საერთაშორისო კომპი-უტერულ ქსელ Internet-ში მუშაობას. შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას შემდგომ სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიის კონკრეტული სახეობის დადგენა მიზნობრივი ინფორმაციის ფორმატირებისა და ჟურნალისტური პროდუქციის შესაქმნელად;
- პრაქტიკულ სოციოლოგიურ კვლევებში აქტიური მონაწილეობა;
- ფსიქოლოგიური კონფლიქტების მოგვარება საზოგადოებაში;
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ენობრივ-სტილისტური სტანდარტების პროფესიულ და არაპროფესიულ სფეროში მიზნობრივი გამოყენება;
- ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად ალტერნატიული გზების დასახვას;
- მულტიკულტურულ გარემოში ადაპტირება და ფილოსოფიური კატეგორიებით დისკუსიების წარმართვა;
- პროფესიულ საქმიანობაში საქართველოს საშინაო და საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრისას ქვეყნის მრავალათასწლოვანი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება - გამოყენება;
- შეძენილი ლექსიკური მარაგითა და ათვისებული გრამატიკული კონსტრუქციებით მანიპულირება და მათი მიზანმიმართულად გამოყენება(B1.1, B1.2, B2.1, B2.2);
- მასობრივი კომუნიკაციის ტექნოლოგიათა თეორიული ცოდნის, პროფესიული ქცევის მარეგულირებელი ნორმების, პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

- ახალი ამბების ჟურნალისტიკის თეორიული კონცეფციების, მეთოდების გადატანა პროფესიულ საქმიანობაში და გამოყენება როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდებით;
- პროფესიული მედიაპროდუქციის მენეჯმენტური რესურსების ეფექტიანად გამოყენების უნარი;
- ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ცალკეული ეტაპების კრიტიკული გააზრება და პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება;
- დასავლური ჟურნალიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების გათავისება და პროფესიული პრობლემის გადაჭრისათვის გამოყენება;
<p>მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც შეისწავლის ავტომატური მართვის სისტემების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის, კონტროლისა და მართვის პრინციპებს, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს. იგი მოიცავს ადამიანური მოღვაწეობის ყველა იმ საშუალებების, წესებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ბუნების (ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა) დინამიკური სისტემების (მოწყობილობების, პროცესების) მართვისათვის. დარგის ყველა მიღწევა ემსახურება ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და მიმართულია წარმოების ნებისმიერ სფეროში შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მართვის ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციისაკენ და, რაც მთავარია, ავტომატური მართვის სისტემების შემუშავება და გამოყენება სრულად ათავისუფლებს ადამიანს ენერჯის, ნედლეულისა და ინფორმაციის მიღების, გარდაქმნის, გადაცემის და გამოყენების პროცესებში უშუალო მონაწილეობისაგან და ათავისუფლებს მას მძიმე ფიზიკური, ინტელექტუალური და ჯანმრთელობისათვის მავნე გარემოში შრომისაგან.</p> <p>თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, მრეწველობის ნებისმიერი დარგის საწარმოს ეფექტურობა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება უშუ-</p>

ალოდაა დაკავშირებული ავტომატური მართვის სისტემების თანამედროვე საშუალებების დანერგვასა და სრულყოფილ ექსპლუატაციასთან. ამიტომ მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის ქვეშ იგულისხმება კვალიფიციურ სპეციალისტთა მოღვაწეობის ის სფერო, რომელმაც გადაწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედი ენერგეტიკული ობიექტების, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სისტემების, სამხედრო მრეწველობის ობიექტების, მეტალურგიული და ქიმიური საწარმოების, სამედიცინო ჰოსპიტალური სექტორის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სხვა დარგების ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული, ავტომატური მართვის სისტემებისა და მოწყობილობების დაპროექტებაში, დანერგვასა და ექსპლუატაციაში როგორც დღევანდელ პირობებში, ისე მომავალში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის დარგში სამეცნიერო კადრები, რომლებსაც გაცნობიერებული ექნებათ მართვის თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესი მიღწევები და შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას, ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში სისტემური ანალიზის, ოპტიმიზაციის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და ინფორმაციის დამუშავების თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების ღრმა ცოდნა, ამოცანების დასმა და ფორმალიზაცია, მათემატიკური მოდელების აღწერა და მათი გადაწყვეტის ეფექტურობის შეფასება;
- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში რთული (ავტომატური მართვის, საზომი და სამედიცინო-სადიაგნოსტიკო) სისტემების სტრუქტურულ-პარამეტრული სინთეზისა და იდენტიფიკაციის მეთოდების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა;
- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში რთული (ავტომატური მართვის, საზომი და სამედიცინო-სადიაგნოსტიკო) სისტემების ეფექტურობის შეფასებისა და პროგნოზირების, თვისებრიობისა და საიმედოობის მეთოდების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა;
- სხვადასხვა ბუნების (ტექნიკური, ეკონომიკური, ბიოლოგიური, სამედიცინო, სოციალური) რთული ობიექტების მართვის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და ოპტიმიზაციის პრობლემებზე ორიენტირებული სისტემებისა და მათი მხარდამჭერი ინტელექტუალური მეთოდების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში სისტემური ანალიზის, ოპტიმიზაციის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და ინფორმაციის დამუშავების ამოცანების გადაწყვეტისათვის ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების, ალგორითმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში რთული (ავტომატური მართვის, საზომი და სამედიცინო-სადიაგნოსტიკოს) სისტემების სტრუქტურულ-პარამეტრული სინთეზისა და იდენტიფიკაციის, ეფექტურობის შეფასებისა და პროგნოზირების, თვისებრიობისა და საიმედოობის ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების, ალგორითმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- სხვადასხვა ბუნების (ტექნიკური, ეკონომიკური, ბიოლოგიური, სამედიცინო, სოციალური) რთული ობიექტების მართვის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და ოპტიმიზაციის პრობლემებზე ორიენტირებული სისტემებისა და მათი მხარდამჭერი ინტელექტუალური მეთოდების, ალგორითმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება;
- ექსპერტული ინფორმაციის მიღების, ანალიზისა და დამუშავების ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე;

დასკვნის უნარი:

- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში რთული ობიექტების სისტემური ანალიზის, ინფორმაციის დამუშავების, იდენტიფიკაციის, მოდელირების, ოპტიმიზაციისა და მართვის სრულყოფის პრობლემებზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი:

- მართვის სისტემების, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის სფეროში ახალი ცოდნის, არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე პრეზენტაციების მომზადება უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი:

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის,

პროცესში;
ღირებულებები:
ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) ად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ად ვერ აკმაყოფილებს.

საკონტაქტო პირი: ნინო მჭედლიშვილი, 599939547, nino.mchedlishvili@gtu.ge, მ.კოსტავას 77, სტუ-ს მეექვსე კორპუსი, ოთახი 214ბ.

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
დიზაინი	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	-240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ხელოვნების ბაკალავრი დიზაინში
	სწავლების ენა
	-ინგლისური
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>- პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების ცოდნისა და უნარების გაღრმავებას ინტერიერისა და ავეჯის, პროდუქტის, ტრანსპორტისა თუ ვიზუალური კომუნიკაციის დიზაინისა და სხვა, დიზაინთან ასოცირებულ მომიჯნავე დარგებში. პროგრამა სტუდენტებს აძლევს აგრეთვე ფართო განათლებას დიზაინთან დაკავშირებული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტების შესახებ. ამ პროგრამის საშუალებით სტუდენტი გაივლის სპეციალიზირებულ სასწავლო პროგრამას და მიიღებს გამოცდილებას კონკრეტულ სფეროებში, კერძოდ, მოდელირება-პროექტირებასა და სხვადასხვა პროცესებში, ერგონომიულ და მდგრადი დიზაინის მეთოდოლოგიაში; მიიღებს აგრეთვე ცოდნას მასალებისა და წარმოების პროცესების, პროფესიული პრეზენტაციების შესახებ, სადაც საერთაშორისო სტანდარტების დამაკმაყოფილებელ მრავალგვარ ტექნიკას გამოიყენებს; სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას მარკეტინგის, მართვისა და წარმოების მიმართულებით. სტუდენტი აირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც დაეხმარება მას აიმაღლოს ცოდნა თავის დარგში კომპიუტერული პროგრამირების, ვებდიზაინისა და მობილურის აპლიკაციების განვითარების, ანიმაციისა და თამაშების დიზაინის, ეკოლოგიური ფსიქოლოგიისა და ავეჯის წარმოების თუ ავტონომიური კუთხით. პროგრამის კურსდამთავრებული დაეუფლება იმ აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რომელიც წარმატებული პრაქტიკოსი დიზაინერისთვისაა საჭირო იმისთვის, რომ ამ დარგის განვითარებაში და ზოგადად, დიზაინერთა საქმიანობაში პოზიტიური წვლილი შეიტანოს. ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებული მტკიცე აკადემიურ საფუძველს შეიქმნის მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>-- ცოდნა და გაცნობიერება -</p> <p>დიზაინისა და მომიჯნავე დარგების საფუძვლიანი ცოდნა-გაცნობიერება მოიცავს შემდეგი სფეროების ცოდნასაც: ვიზუალური კულტურისა და მის ისტორიას; სოციალური მეცნიერებების; თეორიული მექანიკის-სტატისტიკასა და დინამიკას-ავტომანქანებისთვის; მათემატიკისა და სტატისტიკის; ერგონომიკის პრინციპებისა და ეკოლოგიური ფსიქოლოგიის; დიზაინის მდგრადი განვითარებისა და მეწარმეობის/მრეწველობის პრინციპებისა და კონცეფციების. ამას გარდა,</p> <p><i>სტუდენტი შეისწავლის:</i></p>

- ხელოვნების ისტორიასა და თეორიას, ხელოვნების მიმართულებების ისტორიას, ხელოვნების განსაზღვრებებსა და ინტერპრეტაციებს განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე;
- დიზაინის ისტორიასა და თეორიას, რომელიც საფუძვლად უდევს დიზაინის სფეროს მიმართულებებს; და დიზაინსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთზემოქმედების უახლეს ინტერპრეტაციებს;
- ფილოსოფიის ძირითად კონცეფციებსა და თეორიებს ანტიკური დროიდან თანამედროვეობამდე;
- ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლებსა და ფსიქოლოგიურ უნარებს, ისევე როგორც გარკვეული სახის შეზღუდულობას მუშაობისას;
- დიზაინის დარგებში ფართოდ გამოყენებული მასალების გამოყენებასა და ამ მასალების თვისებებს;
- დიზაინის დარგებთან დაკავშირებული მარკეტინგული მართვის პრინციპებს;
- კომპიუტერული ენებისა და პროგრამირების პრინციპებს.

სტუდენტმა უნდა შეისწავლოს და გააცნობიეროს აგრეთვე:

- სადიზაინო დარგების როლი საზოგადოებაში, და გააცნობიეროს, რომ დიზაინი სოციალური მეცნიერებებისგან დამოუკიდებლად განისაზღვრება;
- ანთროპოლოგიის ფუნდამენტური პრინციპები და საკითხები, იმდენად, რამდენადაც ისინი დიზაინის პროექტირების პრაქტიკას ეხებიან;
- ჰარმონიული დიზაინის ფუნდამენტური კონცეფციები და თემები, მეთოდები და უახლესი ტექნოლოგიები;
- წარმოების ძირითადი ტექნოლოგიები და დიზაინთან დაკავშირებული ფაქტორები;
- სამეწარმეო საქმიანობის მთავარი საკითხები;
- ადამიანთა ურთიერთმოქმედების საფუძვლები; და ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ურთიერთობები მის საკუთარ გარემოსთან;
- საავტომობილო სისტემა და მისი განვითარება; ავტომობილის მუშაობის კვლევისთვის საჭირო ძირეული რაოდენობრივი მეთოდები.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მოდელირება-პროექტირების, დიზაინის ანალიზისა და კრიტიკული განხილვის პროცესებში მიღებული ცოდნის გამოყენება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით; ტექნიკური პრობლემების მოგვარებისთვის მონაცემების ანალიზი; ზოგადი და სპეციალიზირებული დიზაინისა და მეთოდების, ერგონომიკაში მეცნიერული კვლევების გამოყენება დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად; კომპიუტერული პროგრამირების, ვებ და კომპიუტერული თამაშების დიზაინში მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი პროდუქციის შესაქმნელად და სისტემის ინოვაციისთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება:

- ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამუშაო ადგილებისთვის დამახასიათებელი საერთო რისკები და პირველადი დახმარების აღმოჩენის პრინციპები;
- მათემატიკა- მექანიკაში სტატიკისა და დინამიკის პრობლემების გადასაჭრელად და წარმოებისა და სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევების მონაცემების

ანალიზისთვის;

- ტიპოგრაფია -ორგანზომილებიანი საკომუნიკაციო ამოცანების შესასრულებლად;
- დიზაინის ფუნდამენტური მეთოდოლოგიისა და პროცესების, იმ მიზნით, რომ ინოვაციურად გადაიჭრას დიზაინთან დაკავშირებული რთული და ბუნდოვანი პრობლემები;
- ერგონომიკის დისციპლინა და მისი მეთოდები და პროცესები იმ მიზნით, რომ გადაიჭრას პროექტირების პრობლემები;
- ხის-მერქნის თვისებები და ხეზე მუშაობის ტრადიციული ტექნიკა ავეჯის დამზადებისთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება:

- სპეციალიზირებული და უახლესი სადიზაინო მეთოდები და პროცესები დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ერგონომიული და ეკოლოგიური მდგრადობის კრიტერიუმებისა და სხვა რთული საკითხების გათვალისწინებით;
- საწარმოო ტექნოლოგია პროექტირებული პროდუქციისა და სისტემების ოპტიმიზაციისთვის;
- სამეწარმეო-ბიზნეს პროცესები და ხერხები ახალი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზების მიზნით;
- დიზაინთან დაკავშირებული რთული თემების შესასწავლი მეთოდები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად, მაგალითად, გამოკითხვა/კვლევების, ექსპერიმენტების, სავლე კვლევების, კონკრეტული მაგალითის ანალიზის და ა.შ. და მათი გამოყენება დიზაინის თეორიისა და პრაქტიკისთვის;
- კომპიუტერული პროგრამირება, HTML, CSS და SDK კომპიუტერული და მობილური აპლიკაციებისა და ვებგვერდებისთვის;
- გარემოს ფსიქოლოგიის პრინციპები და მეთოდები ადამიანის გასათვალისწინებლად მისივე გარემოში;
- ანიმაციური პროდუქციისა და ელექტრონული თამაშების შესაქმნელად საჭირო ტექნიკური მეთოდები და პროცესები.

- დასკვნის უნარი -

პროგრამის კურსდამთავრებული სოციალური მეცნიერებების ზუსტ მეთოდებს იყენებს მონაცემთა გასაანალიზებლად და დიზაინის პრაქტიკასთან დაკავშირებული თანამედროვე მოვლენების ინტერპრეტაციის მიზნით. ის იყენებს აგრეთვე სამეცნიერო დარგებიდან ათვისებულ ცოდნასა და მეთოდებს, მაგალითად ერგონომიკიდან, ეკოლოგიიდან და სხვ., იმ მიზნით, რომ გამოიტანოს სათანადო დასკვნები და წარმოადგინოს სამოქმედო კურსი.

სტუდენტს შეუძლია:

- სტუდენტს შეუძლია გააანალიზოს საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მომხდარი სერიოზული მოვლენები სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში და გამოიტანოს მათზე ინფორმირებული დასკვნები;
- შეაგროვოს შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები დიზაინის ბუნდოვნად დადგენილ პრობლემებზე, გააანალიზოს მონაცემები და ჩამოაყალიბოს საფუძვლიანი დასკვნები შემდგომი მოქმედებისთვის;
- განმარტოს ხარისხობრივი მონაცემები ადამიანის ქცევაზე, რომელიც რთული და

მრავალგანზომილებიანია, იმ პროდუქციასა თუ მომსახურებებთან მიმართებაში, რომლებიც ადამიანის სოციალური კონტექსტის ფარგლებშია მოქცეული და ჩამოაყალიბოს საფუძვლიანი დასკვნები;

- გაანალიზოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები დიზაინის ბუნდოვნად განსაზღვრულ და რთულ პრობლემებზე ერგონომიკასა და/ან ეკოლოგიურ მეცნიერებასთან და სხვა დარგებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, და ჩამოაყალიბოს საფუძვლიანი დასკვნები შემდგომი მოქმედებისთვის;
- გაანალიზოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები დიზაინის ბუნდოვნად განსაზღვრულ და რთულ პრობლემებზე იმ მიზნით, რომ დაგეგმოს და განახორციელოს შემდგომი მოქმედებები, დიზაინის შესაბამისი მეთოდებისა და პროცესების გამოყენებით დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად.

- კომუნიკაციის უნარი –

ლოგიკურად წარმოადგინოს ინფორმაცია ინგლისურ ენაზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების გამოყენებით ამ დარგის სპეციალისტებისა თუ არასპეციალისტებისთვის, გამოიყენოს ტექსტები და დიაგრამები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით;

სტუდენტს ექნება უნარი:

- მოამზადოს ტექნიკური ნახაზები, კომპიუტერის დახმარებით შექმნას დიზაინის მოდელები და საერთაშორისო სტანდარტებსა და კონვენციებთან შესაბამისი დოკუმენტაცია, და კომუნიკაცია აწარმოოს თავის კოლეგებსა და პარტნიორებთან და სხვ.;
- კრეატიულად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნიკის სპექტრი იმ მიზნით, რომ ტექსტური და ვიზუალური ანგარიშები მოამზადოს დიზაინთან დაკავშირებულ პრობლემებზე ინგლისურ ენაზე სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ასახნელად;
- კომპიუტერის დახმარებით შექმნას რთული პროდუქციისა და სისტემების დიზაინის მოდელები საერთაშორისო სტანდარტებსა და კონვენციებთან შესაბამისობაში, მიაწოდოს თავის კოლეგებსა და პარტნიორებს და სხვ.;
- მოამზადოს მრავალგანზომილებიანი ექსპრესიული დიზაინის პრეზენტაცია მედიისა და უახლესი ტექნიკის გამოყენებით, მიაწოდოს თავის კოლეგებსა და პარტნიორებს და სხვ.; და გაათვითცნობიეროს დიზაინით დაინტერესებული მხარეები.

- სწავლის უნარი –

სხვადასხვა და არაპროგნოზირებად სიტუაციებში განსაზღვროს სწავლის მიზნები, თუ რისი შესწავლა სჭირდება ინდივიდუალურად და ასევე, როგორც გუნდის წევრს; და მიიღოს ზომები ამ მიზნების მისაღწევად;

სტუდენტს ექნება უნარი:

- იფიქროს სადიზაინო მეთოდებისა და პროცესების გამოყენებაზე, ასევე ამ პროცესების შედეგებზე დიზაინის პროექტზე მუშაობისას; და დაადგინოს ის ზომები, რომლებიც პრობლემების გადაჭრის საშუალებას მისცემს.
- შეაფასოს თავისი სასწავლო პროცესი სრულყოფილად და მკაფიოდ; და განსაზღვროს სასწავლო მიზნები/საჭიროებები სამომავლოდ;

- ღირებულებები –

გაიზიაროს ღირებულებები, რაც სადიზაინო საქმიანობას ეხება და მონაწილეობა მიიღოს ღირებულებებზე გამართულ სერიოზულ დებატებში, მაგრამ ამავედროულად ყოველთვის უნდა

	<p>შემდოს თავისი პოზიციის გადაფასება სხვადასხვა საკითხებზე;</p> <p><i>სტუდენტს აქვს უნარი:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • სწორად შეაფასოს, თუ როგორ გავლენას ახდენს დიზაინის შედეგები მომხმარებლებზე და დიზაინით დაინტერესებულ მხარეებზე; ისწრაფვოდეს მათი სარგებლის გაზრდისკენ და მინიმუმადე შეამციროს ნეგატიური ზემოქმედება; • გულისყურით მიუდგეს მეცნიერებასა და მეცნიერულ მეთოდს, და სწორად შეაფასოს, თუ როგორი რელევანტურია დიზაინის გამოკვლევის მეთოდების, ერგონომიკისა და ჰარმონიული დიზაინის პრინციპების ცოდნა დიზაინერობისთვის ზოგადად; • პროფესიული დიზაინის იდეას დემოკრატიულად, ღიად და ყოველმხრივ მიუდგეს, მომხმარებლისა და დიზაინით დაინტერესებულ მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით და საჯაროდ ითანამშრომლოს მათთან ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით, სადაც კი ეს შესაძლებელია; <p>სტუდენტი აცნობიერებს დიზაინერის პროფესიისთვის საჭირო ეთიკურ და მორალურ მხარეებს და იმ რთულ გამოწვევებს, რომლებიც გარემოს გაუარესებამ და თანამედროვე სოციალურმა პრობლემებმა მოიტანა შედეგად. ამავდროულად მუშაობს ამ პრობლემების დასაძლევად და დიზაინის შედეგების ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად;</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>-შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია თანდართულ სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).</p>
	<p>საკონტაქტო პირი (გიორგი ხატიაშვილი / 592460036 / g.khatiashvili@gtu.ge / ქ. თბილისი, კოსტავას 77, სტუ-ს მე8 კორპუსი)</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
დიზაინი	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	-120

<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
<p>ხელოვნების მაგისტრი დიზაინში</p>
<p>სწავლების ენა</p>
<p>-ინგლისური</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
<p>პროგრამის მიზანია აღჭურვის მაგისტრის საფეხურის სტუდენტები თანამედროვე დიზაინის სფეროში არსებული მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ პროფესიული ადგილი დაიმკვიდრონ დიზაინის საერთაშორისო ბაზარზე.</p> <p>უზრუნველყოს სტუდენტები დიზაინის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით დასაქმებისთვის აუცილებელი სრულყოფილი ცოდნითა და უნარჩვევებით. იქნება ეს: ინტერიერის, ავეჯის, პროდუქტის, ტრანსპორტის, ვიზუალური კომუნიკაციის დიზაინი თუ სხვა მომიჯნავე პროფესიული განხრები. ვრცლად გააცნოს სტუდენტებს დიზაინის სფერო: სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ კონტექსტში და უზრუნველყოს ისინი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქტის საწარმოებლად საჭირო სპეციალიზირებული ტრენინგებითა და გამოცდილებით. გააცნოს მათ დიზაინის სფეროში დღემდე აპრობირებული პრაქტიკა, თანამედროვე პროცესები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მრავალმხრივი დიზაინერული პროექტების განხორციელებისას თუ პროფესიონალური ნამუშევრების შესაქმნელად.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები დიზაინის სფეროში წარმატებული მოღვაწეობისთვის; მზად იქნებიან შეიტანონ პოზიტიური წვლილი პროფესიულ საზოგადოებასთან, დიზაინის სფეროთი დაინტერესებულ პროფესიონალებთან და ზოგადად, რიგით ადამიანებთან თანამშრომლობაში.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</p>
<p>- ცოდნა და გაცნობიერება– სტუდენტებს ექნებათ დიზაინის ისტორიის და თეორიის, ასევე დიზაინის სფეროსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთკავშირის შესახებ არსებული ინტერპრეტაციების ცოდნა და გაცნობიერება;</p> <p>ექნებათ დიზაინისთვის მნიშვნელოვანი დისციპლინარული სფეროების ღრმა ცოდნა. მათ შორის, ერგონომიკაში, მდგრად დიზაინში, მენეჯმენტსა და დიზაინის მენეჯმენტში.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი– სტუდენტებს ექნებათ უნარი უსაფრთხოდ გამოიყენონ დიზაინის სფეროში არსებული შემოქმედებითი ტექნიკები, დიზაინის მეთოდები და ინოვაციური პროცესები, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად და განსხვავებულ პირობებში მუშაობისას.</p> <p>შეძლებენ ერგონომიკის ცოდნის გამოყენებას ადამიანებსა და სისტემის სხვა ელემენტებს შორის ურთიერთკავშირში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებისა და დიზაინის სფეროს შორის არსებული ურთიერთობის ოპტიმიზირებას და წარმოების სისტემის გამართულობას.</p> <p>შეძლებენ მდგრადი დიზაინის ცოდნის გამოყენებას კვლევასა და მდგრადობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებაში, არსებული დიზაინერული მიღწევების განვითარებას.</p> <p>შეძლებენ სოციალური მეცნიერების განვითარებული სფეროების, მაგალითად ანთროპოლოგიის გამოყენებას კვლევისას. ასევე, მომხმარებელთან და დამკვეთთან წარმატებული ურთიერთობის</p>

წარმოებისას.

დასკვნის უნარი – სტუდენტებს ექნებათ ფართო ცოდნა სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროებიდან, რომლებიც აყალიბებენ დიზაინის სფეროს თანამედროვე საზოგადოებაში; ეცოდინებათ რა ზეგავლენას ახდენენ და რა შედეგები მოაქვს ჩამოთვლილს თანამედროვე საზოგადოებისთვის.

- სტუდენტებს ექნებათ კრიტიკული მიდგომა დიზაინის სფეროში მიმდინარე პროცესებისა თუ არსებული მიღწევების მომხმარებელზე და ზოგადად საზოგადოებაზე ზემოქმედებისადმი, რის შედეგადაც მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობისას შეძლებენ არსებული შედეგების და პროექტების სასიკეთოდ გამოყენებას.
შეძლებენ განმარტონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები და გამოიტანონ დასკვნები მათ საფუძველზე.

შეძლებენ სტრატეგიული ბიზნეს პროექტის განვითარებას, ბიზნესის მოდელების დაგეგმვას, დანერგვას და დიზაინის სფეროს ბიზნესის გადაწყვეტილებებისთვის მნიშვნელოვანი ისეთი კატეგორიების შეფასებას როგორც არის ღირებულება, ხელმისაწვდომობა, შესაყრელობა.

კომუნიკაციის უნარი – სტუდენტები შეძლებენ ვერბალური კომუნიკაციის დამყარებას სხვა და სხვა დამკვეთებთან, კლიენტებთან, ტექნიკოსებთან, ინჟინრებთან, საზოგადოების რიგით და ოფიციალურ წევრებთან. ექნებათ შესაძლებლობა მოამზადონ კვლევები და დაწერონ მოხსენებები მშობლიურ, ინგლისურ და სხვა უცხო ენებზე.

შეძლებათ ეფექტური თანამშრომლობა აწარმოონ მულტი-დისციპლინარულ ჯგუფებთან, სპეციალისტებისა და არასპეციალისტების ჩართვით.

სწავლის უნარი – მაგისტრანტები შეძლებენ ორიგინალი წყაროების გამოყენებით ექსპერიმენტებისა და კვლევების წარმოებას ისეთ სამეცნიერო სფეროებში როგორც არის ერგონომიკა, დიზაინის კვლევა, მდგრადი დიზაინი...

შეძლებენ ზეგავლენა იქონიონ დიზაინის მეთოდებზე, პროცესებზე და დიზაინის პროცესების შედეგებზე, ორიენტირებულნი იყვნენ საკუთარ საქმიანობაზე შედეგობრივი თვალსაზრისით. სტუდენტები მზად იქნებიან მომდევნო აკადემიურ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებისთვის, მომავალი პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში დამოუკიდებელი სწავლის პროცესისთვის.

ღირებულებები – სტუდენტები გააცნობიერებენ დიზაინის სფეროს სხვადასხვა დისციპლინების ზეგავლენას მომხმარებელსა და დაინტერესებულ პირებზე, შეძლებენ მაქსიმალურად შედეგიანი გახადონ თავიანთი პროფესიული მოღვაწეობა და მინიმუმამდე დაიყვანონ მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები.

განიხილავენ თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებს და გაანალიზებენ რამდენად პოზიტიური ზეგავლენა შეიძლება იქონიოს დიზაინის სფეროში მიღებულმა შედეგებმა და ჩატარებულმა კვლევებმა დიზაინის, ერგონომიკისა და მდგრადი დიზაინის სფეროში მიმდინარე პროცესებზე. ექნებათ დემოკრატიული და ღია მიდგომა დიზაინის სფეროში მიმდინარე აქტივობებისადმი, მომხმარებლისა და სხვა დაინტერესებული პირების ფაქტორის გათვალისწინებით. ექნებათ უნარი შეძლებისდაგვარად, ჩართონ ეს უკანასკნელნი დიზაინის სფეროში მიმდინარე პროცესებში. გააცნობიერებენ მდგრადი და გარემოებრივი დეგრადაციისა და სოციალური პრობლემების მიერ დიზაინის სფეროში მოტანილ ძირითად გამოწვევებს. გაანალიზებენ დიზაინის სფეროს ზეგავლენას საზოგადოების ცხოვრებაზე და შეამცირებენ ნეგატიურ შედეგებს საქმიანობაში.

<p>- ექნებათ კრეატიული, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომა დიზაინის სფეროსადმი, პატივისცემით მოეკიდებიან დიზაინის კანონიერ ასპექტებს და ინტელექტუალური საკუთრების კანონებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>-შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია თანდართულ სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).</p>
<p>საკონტაქტო პირი გიორგი ხატიაშვილი / 592460036 / g.khatiashvili@gtu.ge / ქ. თბილისი, კოსტავას 77, სტუ-ს მე8 კორპუსი)</p>

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

<p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>აგრარული ტექნოლოგიები</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>240</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>აგრონომიის ბაკალავრი</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს აგრარული ტექნოლოგიის დარგის ბაკალავრი, რომელსაც ექნება აღნიშნული დარგის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. შეეძლება სოფლის</p>

მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას, რაც ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება – აგრარული ტექნოლოგიების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების ცოდნას; ბიოლოგიის ფუნდამენტური, ძირითადი პრინციპების ცოდნას; მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური პროცესების ცოდნას; ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, დამუშავების ხერხების, ნაყოფიერების და მისი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების პრინციპების ცოდნას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების და სარეველების გავრცელების პროგნოზირებასა და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების ცოდნას; დარგში გამოყენებულ აპარატების, მანქანა-დანადგარების მოქმედების პრინციპების, ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების ცოდნას; აგრონომიაში კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – აგრარული წარმოებისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად: ნაკვეთისა და კულტურის შერჩევას, აგრარული წარმოების საკვები სავარგულების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებასა და რაციონალური გამოყენების, დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ოპტიმალურ კალენდარულ აგროვადებში ჩატარებას; თესლბრუნვების სისტემის შედგენის, ნიადაგის დამუშავების, თესვისა და რგვის სამუშაოების ჩატარების, მინდორში და ბაღში ნიადაგის დამუშავების, განოყიერების, მელიორაციის, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების, მოსავლის აღების და აღების შემდგომი დამუშავების და დაფასოების ორგანიზების, მანქანა-დანადგარების მოქმედების პრინციპების, ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების უსაფრთხო ექსპლუატაციის, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვის უნარი. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი – შეეძლება, აგრარული ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზის, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეეძლება, ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რეაგირება, ხარისხობრივი და რენტაბელური მაჩვენებლებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიცირება, ფორმულირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება. შესაბამის ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით სპეციალობის საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება. არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;

კომუნიკაციის უნარი – შეეძლება იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების

<p>შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;</p> <p>სწავლის უნარი – შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად და ეფექტურად გადანაწილებას.</p> <p>ღირებულებები – აგრარულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, ყველა სახის პროფესიულ საქმიანობაში, კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების, ეთიკური პასუხისმგებლობებისა და ღირებულებების დამკვიდრება.</p>
<p>შეფასების წესი</p> <p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია თანდართული სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).</p>
<p>1. საკონტაქტო პირი (ნინო ლომიძე /599955935/ nnlomidze@yahoo.com / ქ.თბილისი, ვარკეთილის 3, I მიკრ. 18/35)</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
მევენახეობა და ენოლოგია	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციალიზაციით
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მომზადოს მევენახეობისა და ენოლოგიის დარგის სპეციალისტები, რომელთაც ვენახის აგრო-ტექნოლოგიური ღონისძიებების, საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ექნება ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების სექტორში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს მევენახეობის და ენოლოგიის ძირითადი პრინციპები და ელემენტები, ყურძნიდან ღვინის წარმოების სხვადასხვა მეთოდები, მევენახეობის წარმოებაზე, ღვინის ხარისხზე, შედგენილობაზე მოქმედი ფაქტორები, ყურძნის მოყვანის წესები, წარმოების ეკონომიკური ასპექტები, დარგის რეგულირების ამოცანები და მევენახეობისა და ენოლოგიისათვის დადგენილი მოთხოვნები. მისცეს საწარმოს ლაბორატორიაში მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- **ცოდნა და გაცნობიერება** – მევენახეობისა და ენოლოგიის დარგის ფართო ცოდნა. ყურძნის მოყვანის ძირითადი პრინციპების: ვაზის ზრდა განვითარებისას მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების, ვაზის დაავადებებისაგან დაცვის და ნიადაგის განაყოფიერებისათვის საჭირო აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ცოდნა და გაცნობიერება. ვაზის ძირითად ჯიშების ცოდნა. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოების ძირითადი პრინციპები: ტექნოლოგიური ოპერაციების, მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, გამოყენებული მანქანა აპარატების და მასალების ცოდნა. პროდუქციის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების: ნიადაგის, კლიმატის, ეკოლოგიური ფაქტორები, ნედლეულის შედგენილობის, ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: სავენახე ნაკვეთის შერჩევაში, ნერგის წარმოებაში, ვენახის გაშენებაში, ყურძნის მოყვანისათვის საჭირო აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის უნარი; რთველის განხორციელებაში, ყურძნის გადამუშავებასა და ღვინოპროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი. ტექნოლოგიური პროცესების ცალკეულ ეტაპებზე, ტკბილის, ღვინომასალის და ღვინის, მისგან წარმოებული მაღალალკოჰოლური სასმელების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების განსაზღვრის და ორგანოლექტიკური შეფასების უნარი; ვენახსა და საწარმოში გამოყენებული მანქანა აპარატების ოპერირების უნარი.
- **დასკვნის უნარი** – მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროსათვის დამახასიათებელი, ნედლეულის და პროდუქციის რაოდენობის, ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობის, გამოყენებული მასალების და საშუალებების, ბაზრის მოთხოვნების მონაცემების შეგროვება და განმარტება. მევენახეობა-ენოლოგიის დარგში, ყურძნისა და ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ვენახსა და საწარმოში შექმნილი სიტუაციების, პროდუქციის დარგის მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის ანალიზისა და არსებულ მდგომარეობაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- **კომუნიკაციის უნარი** – ყურძნის მოყვანასა და მისგან პროდუქციის წარმოებაზე საკუთარი იდეების, დარგში, ვენახსა და საწარმოში, პროდუქციის ბაზარზე, წარმოების რეგულირებაში, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: პრეზენტაციების, მონაცემთა ბაზების, სავარაუდო რისკებზე და მოსალოდნელ შედეგებზე ვიზუალური მასალების მომზადება;

<p>- სწავლის უნარი – მევენახეობა-ენოლოგიის დარგში მოღვაწეობისათვის და კარიერის განვითარებისათვის შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნაზე ორიენტირება: ლიტერატურული წყაროების მოძიება, სასწავლო მასალებზე დამოუკიდებლად მუშაობა, დარგობრივი მასალის გაგება-ათვისება, პრაქტიკული საქმიანობით თეორიული ცოდნის გაღრმავება.</p> <p>- ღირებულებები – მევენახეობა-ენოლოგიის დარგში დამკვიდრებული ღირებულებების პატივისცემა. მეღვინეობის დარგში წინაპართა ტრადიციებსა და ისტორიაზე დაფუძნებული, თანამედროვეობასთან შერწყმული ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>2. საკონტაქტო პირი (მარიამ ხომასურიძე/577440004/ m.khomasuridze@gtu.ge / ქ. თბილისი გამყრელიძის ქუჩა №6 /)</p>

<p align="center">ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p align="center">აგროინჟინერია</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>240</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>ინჟინერიის ბაკალავრი/აგროინჟინერიაში</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე საპროექტო და პრაქტიკულ საექსპლუატაციო საქმიანობაზე</p>

ორიენტირებული აგროინჟინერი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტაციას, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით საპროექტო და საექსპლუატაციო საქმიანობის განხორციელებას, მოტივირებული იქნება პროფესიული თვალსაზრისით ღირსეული წვლილი შეიტანოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეძლებს სამელიორაციო სისტემების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის პროცესში რისკ-ფაქტორების გათვალისწინებას, თანამედროვე მეთოდის გამოყენებით მორწყვისა და დაშრობის პროექტის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - აგროინჟინერიაში საინჟინრო ამოცანების გადასაჭრელად შესაბამისი მათემატიკური მეთოდების ცოდნა; ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების გაცნობიერება; კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; აგროინჟინერის ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება; წყალსამეურნეო პროექტების შედგენისა და ექსპლუატაციის ცოდნა და გაცნობიერება; წყალთა მეურნეობაში ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ელემენტების ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მორწყვისა და დაშრობის ახალი თანამედროვე მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მიწების მელიორაციულ ათვისებასთან დაკავშირებული კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება; სამელიორაციო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება; ჰიდრომელიორაციული სისტემების რეკონსტრუქციასა და აღჭურვასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება;

დასკვნის უნარი - წყალთა მეურნეობაში სხვადასხვა ინფორმაციული მასალების შეგროვებისა და განმარტების გაკეთება; სიტუაციის ანალიზით, მიღებული შედეგების შეჯერებითა და სინთეზით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი - აგროინჟინერიის დარგში იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; მშობლიურ და უცხოურ ენაზე სპეციალისტებისათვის სამელიორაციო სისტემებზე არსებული მდგომარეობის შესახებ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით ინფორმაციის გადაცემა;

სწავლის უნარი - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ, უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, სწავლის საჭიროებების დადგენა და პროცესის გაგრძელება.

ღირებულებები - პროფესიული ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედება; აგროინჟინერის პროფესიული ქცევის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დასამკვიდრებლად სწრაფვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით

	<p>დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <ul style="list-style-type: none"> • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>3. საკონტაქტო პირი (ზურაბ ლობჯანიძე/593 93 22 97/ z.lobjanidze@gtu.ge / ქ.თბილისი, ნუცუბიდის მე-2-ე მ/რ)</p>	

<p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>მეცხოველეობა</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>240</p>
	<p>მისანიჭებელი კვალფიკაცია</p>
	<p>მეცხოველეობის ბაკალავრი</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>მომზადოს მეცხოველეობის ბაკალავრი, რომელსაც ექნება თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ცხოველთა და ფრინველთა მოშენების, კვების, რეპროდუქციის საკითხებში. აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავების ტექნოლოგიების, პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისი პროცესების მართვის სფეროში. მიღებული განათლების საფუძველზე კურსდამთავრებულები შეძლებენ სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მეცხოველეობის თანამედროვე აგროტექნიკურ კომპლექსებში მუშაობას.</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</p>
	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>აქვს მეცხოველეობის სფეროს ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; აცნობიერებს პროფესიის შესაძლებლობებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აცნობიერებს სიცოცხლის მრავალფეროვნებას; იცის, თუ როგორ გადაეცემა ინფორმაცია ცოცხალი ორგანიზმების ერთი თაობიდან მეორეს. აცნობიერებს, თუ რა არის ბიოლოგიური ევოლუცია. ➤ ქიმიის საფუძვლები; ქიმიური სიმბოლიკა, ნომენკლატურა და ტერმინოლოგია; ატომის და მოლეკულის სტრუქტურა; მოლეკულების წონა, ჰიბრიდიზაცია, მოლეკულური ორბიტალები და ნივთიერებები მრავალჯერადი ბმებით. აცნობიერებს რეაქციების სტოქიომეტრიას. ესმის, თუ რა არის ენერგია, რეაქციის ენტალპია; ელექტრონული

სტრუქტურა და მისი კავშირი ნივთიერების სხვა ელექტრონულ მახასიათებლებთან; ქიმიური ბმების ძირითადი კონცეფციები. სტანდარტული ლაბორატორული პროცედურები.

- კლასიკური და თანამედროვე მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი გამოყენება წარმოების, აგრარულ და ბუნების დაცვის სფეროების შემდგომი განვითარებისთვის.
- რა როლი აქვს გენეტიკას ცხოველთა პოპულაციის გაუმჯობესებაში; გენეტიკის მატარებელი არსების შესაძლებლობი; ინბრიდინგის გავლენა; გამრავლების მნიშვნელობა.
- თუ რა კავშირშია გენეტიკა, ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია სხვა დარგებთან; იცის მენდელის მემკვიდრეობითობის პრინციპები; აცნობიერებს მემკვიდრეობითობის ქრომოსომულ საფუძვლებს; იცის გენური ინჟინერიის, გენომიკის და პროტეომიკის პროცესები; აცნობიერებს თუ რას წარმოადგენს ევოლუციური გენეტიკა.
- თუ რას წარმოადგენენ ქიმიური სტრუქტურები. თუ რა კავშირია ორგანულ მოლეკულების სტრუქტურასა და მათ თვისებებს შორის; ესმის მოლეკულების ურთიერთქმედების მნიშვნელობა ქიმიასა და ბიოქიმიაში.
- იცის და აცნობიერებს ორგანული ნივთიერებების მთავარი ჯგუფების ძირითად თვისებებს. აქვს წარმოდგენა მეტაბოლიზმის მთავარი გზების შესახებ.
- ცხოველთა თითოეული ორგანოს ფუნქციონირების მექანიზმი; ორგანიზმში თითოეული ორგანოსა და სისტემის ურთიერთქმედება; ცოცხალ ორგანიზმზე მანიპულირება; ცალკეული სისტემისა და მთლიანი ორგანიზმის მდგომარეობის პირველადი შეფასება.
- ანატომიის საგანი, მისი ამოცანები, მიზანი და ადგილი სხვა ბიოლოგიურ მეცნიერებებს შორის; ანატომიის კავშირი ზოოტექნიკასთან. შინაურ ცხოველთა მოძრაობის ორგანოთა სისტემის დაყოფა პასიურ და აქტიურ აპარატებად. შინაურ ძუძუმწოვართა და ფრინველთა ჩონჩხი; ჩონჩხის კუნთების ზოგადი დახასიათება. კუნთების განვითარება. კუნთის, როგორც ორგანოს აგებულება; კუნთების კლასიფიკაცია; კუნთის დამხმარე ორგანოები; თავისა და ტორსის ფასციები და კუნთები; სუნთქვის, შარდის გამომყოფი და გამრავლების ორგანოების აგებულება; სახეობრივი, ასაკობრივი და სქესობრივი განსხვავება; შიგნეულობის ორგანოთა სისტემის მორფო-ფუნქციური დახასიათება.
- მათემატიკის საფუძვლები: წრფივი ალგებრის, ანალიზური გეომეტრიის, მათემატიკური ანალიზისა და დიფერენციალური განტოლებების ძირითად ცნებები, განმარტებები, დებულებები და მეთოდები.
- სტატისტიკის საფუძვლები: მასიურ შემთხვევით მოვლენებზე დაკვირვებათა დამუშავების საკითხების ცოდნა. აცნობიერებს შემთხვევით სიდიდეთა სისტემის განაწილების კანონის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განსაზღვრის, ჰიპოთეზის დამაჯერებლობის შემოწმების, განაწილების უცნობი პარამეტრების მონახვის ამოცანებს.
- ფულადი საშუალებები და გაყიდვები; მატერიალურ-საწარმოო მარაგები; ფინანსური აღრიცხვის ციკლისა და კონტროლის ძირითადი პროცედურები; სააქციო კაპიტალი; მიმოქცევის საშუალებები.
- სამრეწველო მეცხოველეობის პრინციპები: სასოფლო სამეურნეო ცხოველთა ჯიშების მოშენებისა და რეპროდუქციის მეთოდები; შინაურ ცხოველთა სასიცოცხლო ციკლი და პროდუქციის წარმოების პრინციპები; ცხოველთა კვების, ხელოვნური განაყოფიერებისა და ლაქტაციის საკითხები; ცხოველებისა და მეცხოველეობის პროდუქციის დისტრიბუციისა და რეალიზაციის საკითხები.
- მეცხოველეობის დარგის ძირითადი საკითხები: მეცხოველეობა-როგორც სოფლის მეურნეობის დარგი. ცხოველის მნიშვნელობა და მსოფლიო ეკონომიკა; მსოფლიო

მეცხოველეობის პროდუქციის ტენდეციები; ცხოველის როლი ადამიანის ცხოვრებაში და მის კვებაში; მეცხოველეობის დიფერენცირება პროდუქტიულობის მიხედვით;

- ცხოველებთან მუშაობა: ცხოველთა აღწერა და კლასიფიცირება; ძირითადი პროცედურების აღწერა; ძირითადი საკვები ინგრედიენტების განსაზღვრა; ქცევის, პირობების, ვადების განსაზღვრა, რომლებიც ტიპურია რეპროდუქციული ციკლისთვის; გარემო პირობების შეფასება, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მოშინაურებულ ცხოველთა ჯანმრთელობაზე; ცხოველთა რეპროდუქციული ციკლი.
- ცხოველთა საკვები და კვება: ცხოველთა და ფრინველთა კვების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს საკვების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მათი ეკოლოგიური უსაფრთხოების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. ცხოველებში საკვების მონელების სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია; საკვების მონელების პროცესი; საკვების მონელების პროცესში ფერმენტების მოქმედება საზრდო ნივთიერებებზე; ცხოველის ორგანიზმში საკვების მონელებაზე მოქმედი ფაქტორები.
- შინაურ ცხოველთა ქცევა და მოვლა-შენახვა: ცხოველთა ფიზიოლოგიური პროცესების რეგულაციის მექანიზმები; ცხოველთა ადაპტაცია ცვალებად გარემო პირობებში; გარემოს დაგეგმარება ცხოველის პოზიციიდან; კრიტერიუმებით რომელთა მიხედვითაც უნდა შევაფასოთ პროდუქტიულობა და ჯანმრთელობა; როდის ხდება ცხოველის დამინება? ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობა; ცხოველთა და ფრინველთა ქცევა-სადღეღამისო, რეპროდუქციული, დედობრივი, ადრეული და პრენატალური, თვითმოვლის, სოციალური და მტაცებლური ქცევა.
- შინაურ ცხოველთა ზრდისა და განვითარების თეორიული ასპექტები; ინტაქტური ცხოველის ზრდა და ზრდის დიაგრამები; ძვალი, კუნთი და ცხიმი; ალომეტრიული ზრდა.
- ცხოველთა რეპროდუქციის სფერო, რომელიც მოიცავს სანაშენო მოზარდის სწორი გამოზრდის, საუკეთესო მწარმოებლის შერჩევის, სპერმის აღების, განზავების, გაყინვის ტექნოლოგიებს და თავის დროზე ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების გააზრებას.
- ცხოველთა დაავადებები და მათი დიაგნოსტიკის მეთოდები.
- საკვები პროდუქტების ხასიათი და იდენტიფიცირება; მიღება და მოვლა; გაცხელება და გაცივება; ხილისა და ბოსტნეულის დამზადება და შენახვა; კონსერვირება; ცხიმებისა და ზეთების ფუნქციები; ცილების ქიმია; ხორცი; ცხოველებისა და ფრინველების ხორცის შემადგენლობა და სტრუქტურა; თევზი, ზღვის პროდუქტები; ხორბალი, ფქვილი; პური და ფუნთუშეული ნაწარმი.
- ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტები: სახორცე პირუტყვისა და მისი ნაკლავის დახარისხება და საბაზრო ღირებულების დადგენა. კვების პროდუქტების ძირითადი კომპონენტები; კვების პროდუქტების გადამუშავების ძირითადი პროცესები; კვების პროდუქტების უვნებლობის საკითხის დარეგულირების პროცესი; კვების პროდუქტების ძირითადი სასაქონლო ჯგუფები.
- ფერმერული მეურნეობების როლი და მნიშვნელობა კვების პროდუქტების წარმოებაში; ბიოტექნოლოგიური მიდგომები საკვები პროდუქტების გადამუშავების პროცესში. სურსათის უვნებლობის საკითხები.
- სარძეო პირუტყვის სასიცოცხლო ციკლი; ლაქტაციის პერიოდში მყოფი ფურები; ახალნაყოლი ფურის მართვა; ჯანმრთელობა და დაავადებები; ფურისთვის კომფორტული პირობები და სადგომი; ხბო და დეკეული; რძის პროდუქტების ხარისხი; წუნდება.
- კუნთოვანი ანატომიის, კუნთოვანი შემადგენლობის, კუნთოვანი სტრუქტურისა და

ხორცის საბოლოო ხარისხს შორის ურთიერთკავშირი. კუნთის შემადგენლობა ტიპები, მიკროსტრუქტურა, შეკუმშვა და მოდუნება; კუნთის მეტაბოლიზმი და კუნთის ხორცად გარდაქმნა.

- ახალი ხორცის თვისებები და ხორცის ხარისხი; ჟანგვითი პროცესები ხორცში.
- ხარისხის უზრუნველყოფის განმარტებები და ძირითადი კონცეფციები, მიზნები, ფუნქციები; გლობალური მართვის პარადიგმა სტანდარტული საოპერაციო პროცედურა); ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები; წყაროები; ტიპები; გაზომვა; საკონტროლო სქემა ; წუნდება; ხარისხისა და უვნებლობის მახასიათებლები, მათი გაზომვა და გავრცელება ხარისხის უზრუნველყოფაზე/ხარისხის კონტროლზე.
- სახორცე მეცხოველეობის მართვის პრინციპები; ცხოველების კვებისა და საკვებთან დაკავშირებული საკითხების თავისებურებები; ბიოტექნოლოგიური და გენეტიკური მართვის თანამედროვე მიმართულებები; ბუნებრივი საკვების გამოყენების პრივილეგიები ; საკვების მიწოდება და პირუტყვის კვების ციკლები და ფასები; ამინდის ზეგავლენა მწარმოებლურობაზე; ზრდის სტიმულატორები.
- ხორცის გადამუშავება: ხორცის ძირითადი კომპონენტები; ხორცის შემადგენლობის გავლენა ხარისხსა და მეთოდები; ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადამუშავების რეჟიმზე, პროდუქტის ხარისხზე, შენახვის ვადასა და მომხმარებლის მიერ ღირებულების აღქმაზე; არახორცეული ინგრედიენტების აღწერა, რომლებსაც გადამუშავებული ხორცის სხვადასხვა შემადგენლობისათვის იყენებენ; სხვადასხვა ახალი სპეციალური კომპონენტები ხორცის პროდუქტებისთვის; ხორცის გადამუშავების პრინციპები და არახორცეული ინგრედიენტები. სწორი შეხამება; გადამუშავების შედეგები და შესაძლო პრობლემები; ხორცის გადამუშავებისა და შენახვის მეთოდები; კვების მრეწველობის დარგის პრობლემები.
- ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი პრინციპები; ბაზრის ტიპები და მათი ფუნქციონირების თავისებურებები და მექანიზმები.
- მეწარმეობის არსი და ფორმები; ფორმების კლასიფიკაცია და მეწარმეობის სამართლებრივი ფორმები; სამეწარმეო საქმიანობის მართვის სისტემა; სამეწარმეო ურთიერთობის ფორმები; სამეწარმეო რისკი და მისი დაზღვევის სისტემა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ქვემოთ ჩამოთვლილი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება მეცხოველეობის სფეროში არსებული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად. აგრეთვე, სფეროს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებებით:

- დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ტერმინოლოგია ბიოლოგიური მრავალფეროვნების, გენეტიკის, ევოლუციის და ეკოლოგიის დარგებში. ამოიცნოს, შეადაროს და განასხვავოს დედამიწაზე მცხოვრები მრავალფეროვანი ორგანიზმების ძირითადი ჯგუფები. აღწეროს და გამოიყენოს გენეტიკური მემკვიდრეობითობის პრინციპები. აღწეროს ევოლუციის თეორიის მექანიზმები და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ასევე, ენერჯის გაზომვა

კალორიმეტრული მეთოდისა და ჰესის კანონის გამოყენებით; შეუძლია ქიმიური განტოლებების გაწონასწორება და მოლეზის, მასისა და რიცხვის, ლიმიტირებული რეაქტანტის, თეორიული რაოდენობის და პროცენტული რაოდენობის გამოთვლები; ჩაწეროს

ქიმიური ნაერთების ფორმულა; გაარჩიოს სხვადასხვა ტიპის ქიმიური რეაქციები, მოლეზზე.

- მიკროსკოპის გამოყენება; ეკოლოგიურ გარემოზე მიკროზების გავლენის შეფასება და მიკროროგანიზმების მრეწველობაში გამოყენება; რეზისტენტობისა და მოსალოდნელი საშიშროებების შეფასება; ეპიდემიის განვითარების პირობები და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ეფექტური კონტროლი.
- განსაზღვროს გენეტიკური ტესტირების რესურსები; დიაგრამები ისრების გამოყენებით ურთიერთკავშირების კოეფიციენტების გამოთვლა; გამრავლების მნიშვნელობის შეფასება; ინბრიდინგის პრაქტიკული მართვა.
- გაანალიზოს მონაცემები შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ორი ან მეტი გენის რუქების დატანა; შეუძლია გამოიყენოს გენური ინჟინერიის მეთოდები.
- დახატოს და ამოიკნოს ტიპური ორგანული ნივთიერებების სტრუქტურა. შეუძლია გამოიყენოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ქიმიური ნივთიერება სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და ყოველდღიურ საქმიანობაში .
- ფიზიოლოგიური პროცესების კანონზომიერების ცოდნის გამოყენებით შეუძლია ცოცხალ ორგანიზმს შეუქმნას ცხოვრების ჯანმრთელი წესი; ცხოველებს და ფრინველებს გამოუმუშაოს საჭირო თვისებები, რათა ხელი შეუწყოს მაღალ პროდუქტიულობას, სისწრაფეს, ამტანობას, ცხოველის ჯიშების გამძლეობას დაავადებებისადმი.
- ცხოველის და ფრინველის იდენტიფიკაცია, მათი სახეობის, სქესის და ასაკის განსაზღვრა. ახდენს ტორსის, თავის ქალას, წინა და უკანა კიდურის ძვლების, სახსრების, კუნთების და კანის აგებულებას და ტოპოგრაფიას; შიგნეულობის, გულსისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაში შემავალი ორგანოების კლასიფიკაციას და სახეობრივ განსხვავებებს.
- მატრიცების, დეტერმინანტების, სიმრავლეთა თეორიის, რიცხვითი მიმდევრობისა და ფუნქციის ზღვართა თეორიის, ინტეგრალური და დიფერენციალური აღრიცხვის გამოყენებით როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ხასიათის მქონე ამოცანების მათემატიკური მოდელებით ამოხსნა. დარგისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტების გამოყენებით კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- მეცხოველეობის სფეროს დიფერენცირება ჯიშებისა და მათი პროდუქტიულობის მიხედვით; ცხოველურ საკვებში ენერგეტიკულობის დადგენა, მისი ეფექტურობის კვლევა და გაუმჯობესება; ცხოველთა ნარჩენების გამოყენება, გზების შერჩევა; მეცხოველეობის დიფერენცირებული მიმართულებების ჩამონათვალის გაკეთება და მათი პრაქტიკული დახასიათება.

- ცხოველებთან მუშაობა: მომინაურებული ცხოველების ნორმალური ფუნქციონირებისა და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დახასიათება; ზოგად დაავადებათა ამოცნობა და მკურნალობისა და პროფილაქტიკის საერთო მეთოდების დასაბუთება; ინდივიდუალური მომინაურებული ცხოველის ამოცნობის მეთოდების დემონსტრირება; მომინაურებული ცხოველის უსფრთხოდ, ჰუმანურად და ეფექტურად მოპყრობა, დაკავება და გადაადგილება; ვერტიკალურად ინტეგრირებული წარმოების ციკლის მთელი პერიოდის განმავლობაში შინაურ ცხოველთა კვების პრაქტიკის აღწერა.
- შეუძლია საკვების ხარისხის შეფასება, ცხვადასხვა სახის და ასაკის ცხოველისა და ფრინველის ულუფების და კომბინირებული საკვების რეცეპტის გაანგარიშება და შედგენა; მიღებული შედეგების შეფასება, შესასრულებელი სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.
- შეაფასოს ცხოველთა და ფრინველთა ქცევისა და მოვლა-შენახვის შედეგები მათი კვების, ექსპლუატაციის სხვადასხვა პირობებში; განახორციელებს ორგანიზმის მთავარი სასიცოცხლო გამოვლინებების მონიტორინგს; შეუძლია გააუმჯობესოს ცხოველებისა და ფრინველების ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა.
- საწარმოო სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიური მეცნიერებების კონცეფციების გამოყენება იმ პრობლემებზე პასუხის გასაცემად, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში გვხვდება. სხეულის შემადგენელი ნაწილების გაზომვა.
- შეაფასოს ცხოველთა reproduction პროცესში მიღებული შედეგები და შეიმუშაოს სტრატეგია; გამოიყენოს შერჩეული მეთოდი გარკვეული ამოცანების გადასაჭრელად.
- პირუტყვის დაავადების პროფილაქტიკა (პრევენცია): შეუძლია დამოუკიდებელი დიაგნოზირება; თანამედროვე სპეციფიკური დიაგნოსტიკის, სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება.
- კვების პროდუქტების სამეცნიერო კვლევა: აქვს უნარი პრაქტიკულად განახორციელოს საკვები პროდუქტების მიღება, შენახვა, კონსერვირება;
- სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ხორცის აქნა; ცხოველთა კანჭის დამზადება; სოსისის დამზადება; დაკონსერვებული (დამარილებული) ხორცის პროდუქტების დამზადება.
- დაადგინოს კვების პროდუქტების შემადგენლობა; სწორად გამოიყენოს კვების პროდუქტებთან მოპყრობის წესი; დაიცვას სანიტარული ნორმები; მოახდინოს კვების პროდუქტებთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების შეფასება; დაადგინოს სურსათის უვნებლობა და გამოიყენოს ამ საკითხებთან დაკავშირებული დადგენილებები.
- განსაზღვროს საზოგადოების გავლენა კვების პროდუქტების სისტემებზე. აქვს ფერმერული მეურნეობის წარმოების პრაქტიკა; სასურსათო პროდუქტების გადამუშავების პროცესში შეუძლია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი მოთხოვნები; იყენებს რაციონალური კვების მიდგომებს პროდუქტების მარკეტინგში.
- მუშაობა სარძეო პირუტყვთან; ახალნაყოლი ფურის მართვა; ფურისთვის კომფორტული პირობებისა და სადგომის უზრუნველყოფა; ცხოველის სხეულის მდგომარეობის შეფასება; წველის პროცედურები და საწველი სისტემები; ყუათიანობა; რძის ფასის

- განგარიშება;დეკულის აწონვა/გაზომვა (რქების მოხერხვა).
- ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კონტროლის განყოფილების ორგანიზაცია და პასუხისმგებლობების აღება;საფრთხის ანალიზი;გადაწყვეტილებებს მიღება წუნდების ტიპებთან დაკავშირებით; როგორც დეტერმინირებული ასევე სავარაუდო და შერეული წუნდება;განსაზღვროს ხარისხისა და უვნებლობის მახასიათებლები.
 - სახორცე მეცხოველეობის სისტემების მართვა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მომენების პროგრამის შემუშავება;ძოვების მართვა საძოვრებზე;მომენების სტრატეგიული მართვა;ნაკლავის შემადგენლობის ფორმირება და დახარისხება;ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზის შემუშავება;ფინანსური გეგმის შემუშავება და მართვა;ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზის
 - ხორცის გადამუშავება: განსაზღვროს ხორცის ხარისხი მისი შემადგენლობის მიხედვით;განსაზღვროს ხორცის კომპონენტა ქიმიური მახასიათებლები;არახორციელი ინგრედიენტები;გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიური მეთოდები ხორცის გადამუშავებისთვის:-ემულსიის და დაბეგვილი ხორცის ნარევები;მოზელა-მექანიკურიპროცესი;ფერმენტაცია, გაშრობა;შებოლვისა და გაცხელების მეთოდები;აწარმოოს გადამუშავებული პროდუქტების ხარისხის კონტროლი და ისარგებლოს უვნებლობის გაუმჯობესების პროგრამებით.ხორცის დამუშავება და ხარისხის განსაზღვრა;ახალი ხორცის გადამუშავება; შეფუთვა და ეტიკეტების მიკვრა.
 - ხორცის კომპონენტა ქიმიური მახასიათებლების განსაზღვრა: არახორციელი ინგრედიენტების გამოყენება;ახალი ტექნოლოგიური მეთოდები ხორცის გადამუშავებისთვის:ემულსიის და დაბეგვილი ხორცის ნარევები;მოზელა-მექანიკურიპროცესი;ფერმენტაცია, გაშრობა;შებოლვისა და გაცხელების მეთოდები;აწარმოოს გადამუშავებული პროდუქტების ხარისხის კონტროლი და ისარგებლოს უვნებლობის გაუმჯობესების პროგრამებით.
 - ფასწარმოქმნისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრის პირობების გარკვევა; საქონლისა და მომსახურების ინდივიდუალური ბაზრების ფუქციონირების თავისებურებების გათვალისწინება.ფინანსური აღრიცხვის პროცედურების გამოყენება; ფინანსური აღრიცხვის მისაღები მეთოდები გამოყენება და მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილება.
 - სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვა; სამეწარმეო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; სამეწარმეო რისკის განსაზღვრა და მისი დაზღვევა.

დასკვნის უნარი

შეუძლია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების,გადამუშავებისა და პროდუქტების დამზადების სფეროში არსებული მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების მოპოვება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება:

- წარმოების ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რისკ-ფაქტორებზე რეაგირება, ხარისხობრივი და რენტაბელური მაჩვენებლებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიცირება, ფორმულირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

- არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიება და ამის საფუძველზე ადეკვატურიანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა:

- შესაძლო დამჭირავებლისთვის განახლებული რეზიუმეს და პროფესიული პორტფოლიოს წარდგენა; ეფექტური უნარების დემონსტრირება; დასაქმების შესაძლებლობათა მოძიება და შეფასება უნივერსიტეტის დასაქმების სამსახურისა და სხვა რესურსების გამოყენებით;გასაუბრებისას ეფექტური უნარების დემონსტრირება.გასაუბრებისთვის შესაფერისი მანერების, ჩაცმულობისა და ქცევის წესების განსაზღვრა.
- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიის სფეროში მიღწეული შედეგების, სიახლეების გაცნობა და მათ დანერგვა-გავრცელებაში მონაწილეობის მიღება.მოამზადოს ოფიციალური დოკუმენტები და ორგანიზაციის/კომპანიის პროფილი;კონფერენციები და პრეზენტაციები; მოვლენის, ორგანიზაციის, არტიფაქტების აღწერა და ანალიზი;ანგარიშები და მოხსენები.გამოიყენოს ორგანიზაციული სტრატეგიების სხვადასხვა ფორმები;ჩაატაროს ინტერვიუები;ეფექტურად გამოიყენოს ვიზუალური მასალა.

სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი სიტუაციისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.
- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიაში საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება,შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
- თავისი შესაძლებლობების შეფასება, დროის მაქსიმალურად და ეფექტიანად გადანაწილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სწავლის წარმატებული შედეგის მისაღწევად.

ღირებულებები

- მეცხოველეობისა და კვების მრეწველობის დარგების პრინციპების, პროფესიული ფასეულობების დაფასება.მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიაში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათი დასამკვიდრებისთვის სწრაფვა.

<ul style="list-style-type: none"> ➤ პროფესიულ საქმიანობაში პატიოსნების პრინციპების აღიარება. ➤ ეთიკისა და ღირებულებების მიღებული ნორმების, მორალის მიღებული ნორმების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების დაცვა. ➤ სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დაცვა და მუდმივი სწრაფვა მათი გაუმჯობესებისთვის.
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>4. საკონტაქტო პირი (მანანა ცინცაძე/593 31 16 53/ m.tsintsadze@gtu.ge / -/)</p>

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
აგრონომია	
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>	<p>240</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ბაკალავრი აგრონომიაში</p>
<p>სწავლების ენა</p>	<p>ქართული</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>თანამედროვე აგრონომიის განვითარებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია აგრარული დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება: აგრონომიის, ნიადაგმცოდნეობის, მემცენარეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, აგროქიმიის, მცენარეთა დაცვის, საკვებწარმოების, მცენარეთა სელექცია-გენეტიკის, ორგანული სოფლის მეურნეობის, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და აგროეკოლოგიის საკითხებში. მომავალ სპეციალისტს აგრონომიული, განათლების</p>

საფუძველზე უნდა შეეძლოს სოფლის მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რაც უხვი, მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების საწინდარია.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

აგრონომიის ცოდნა, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული საფუძველად უდევს აგრონომიის სფეროში, აგრარულ მეურნეობისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის გაცნობიერებას. ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, დამუშავების ხერხების, ნაყოფიერების და მისი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების პრინციპებს. აგრარული კულტურების მავნებელ-დაავადებების და სარეველების გავრცელების პროგნოზირებასა და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების ცოდნას. აგრონომიაში კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობებისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით აგრარული წარმოების ოპტიმალური ორგანიზაციის ცოდნას; თანამედროვე ტენდენციების, ახალი ინოვაციური მიმართულებებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აგრარულ სფეროში. აგრარული წარმოებისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად: ნაკვეთისა და კულტურის შერჩევას, აგრარული წარმოების საკვები სავარგულების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებასა და რაციონალური გამოყენების, შესაბამისი ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებოს უნარი; დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას ოპტიმალურ კალენდარულ აგროვადებში წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად. თესლბრუნვების სისტემის შედგენის, ნიადაგის დამუშავების, თესვისა და რგვის სამუშაოების ჩატარების, მინდორში და ბაღში ნიადაგის დამუშავების, განოყიერების, მელიორაციის, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, მოსავლის ფორმირების, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების, მოსავლის აღების და აღების შემდგომი დამუშავების და დაფასოების ორგანიზების, დარგში გამოყენებულ აპარატების, მანქანა-დანადგარების გამოყენების პრინციპები.

დასკვნის უნარი:

აგრარულ სფეროში მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება სტანდარტული მეთოდებით, მათი გაანალიზება ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რისკ-ფაქტორებზე რეაგირება, ხარისხობრივი და რენტაბელური მაჩვენებლებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიცირება, ფორმულირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება. არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი:

საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი. სტუდენტი შეძლებს თანამდროვე კომპიუტერული და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და სხვა ინფორმაციის წყაროების ეფექტიან გამოყენებას; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას. თანამდროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად და მიზნობრივად გამოყენება; აგრარულ სფეროში მიღწეული მეცნიერული და პრაქტიკული შედეგების, სიახლეების გაცნობას და მათ დანერგვა-გავრცელებაში მონაწილეობის მიღებას.

სწავლის უნარი:

სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი სიტუაციისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. აგრონომიაში საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას. თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად და ეფექტიანად გადანაწილებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას; სწავლის წარმატებული შედეგის მისაღწევად, შეძლებს წინააღმდეგობების დაძლევას; სწავლის გაგრძელებას ცოდნის გაღრმავების მიზნით.

ღირებულებები:

აგრარული პრინციპების, ბიოლოგიური სრულფასოვნება, აგრარული დარგის ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. ეთიკისა, მორალისა და ზნეობრივი ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - მაღიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სასურსათო ტექნოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სასურსათო ტექნოლოგიის სფეროში საბაზისო განათლება ტექნოლოგიური პროცესების გაცნობიერების, წარმოქმნილი პრობლემების და ამოცანების გაგებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.
- სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა სასურსათო ტექნოლოგიის სხვადასხვა სფეროში: პურპროდუქტების, საკონდიტრო, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონსერვო წარმოება.
- შეასწავლოს სტუდენტს დარგის ძირითადი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები;
- შეასწავლოს სტუდენტს სასურსათო პროდუქტთა წარმოების ტექნოლოგიური სქემები, წარმოებისას მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური პროცესები, გამოყენებული ნადლეულის დახასიათება, სასურსათო პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

– **ცოდნა და გაცნობიერება;** - სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სასურსათო ტექნოლოგიის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

სასურსათო ტექნოლოგიის ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირის გაცნობიერება. სასურსათო ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის ცოდნა.

ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების, მოწყობილობების და სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ნორმების ცოდნა, გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება; ბუნებრივი ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკური მეთოდების და საშუალებების დაუფლება;

– **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – სასურსათო ტექნოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული აპარატების, მანქანა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვა.

სასურსათო ტექნოლოგიის ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა, პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება;

განსაზღვრული მითითებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად ინოვაციური მეთოდების, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვაში მონაწილეობა; სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული სხვადასხვა წარმოშობის ძირითადი და დამხმარე ნედლეულის შენახვისა და ტექნოლოგიური პროცესისათვის მომზადების რეჟიმისა და პირობების დაცვა.

კვლევითი ცალკეული კომპონენტების განხორციელება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების და მითითებების შესაბამისად; ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების უსაფრთხო და გარემოს დაცვითი მოთხოვნებით ექსპლუატაცია; ტექნოლოგიურ პროცესებში მენეჯერული და მარკეტინგული ხასიათის წინადადებების გათვალისწინება.

– **დასკვნის უნარი**– სასურსათო ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების –ნედლეულის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები, ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრები, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და წარმოების რენტაბელობა– შეგროვება და განმარტება. მიღებული მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რისკ-ფაქტორებზე რეაგირება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.

– **კომუნიკაციის უნარი**– სასურსათო ტექნოლოგიის ირგვლივ არსებული იდეებისა და პრობლემების, ასევე არსებული პრობლემების აღმოფხვრის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;

– **სწავლის უნარი**– საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სასურსათო ტექნოლოგიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

– **ღირებულებები** – ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ

დასამკვიდრებლად სწრაფვა

სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება; ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შუალედური შეფასება;
- შუალედური გამოცდა;
- დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება ღია კითხვებით;
- ტესტირება დახურული კითხვებით;
- წერიითი გამოკითხვა საკითხებით

6. საკონტაქტო პირი (თეიმურაზ რუხაძე/577755373/ rukhadze@list.ru /-/-)

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბაკალავრი აგროინჟინერიაში

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე საპროექტო და პრაქტიკულ საექსპლუატაციო საქმიანობაზე ორიენტირებული აგროინჟინერი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტაციას, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით საპროექტო და საექსპლუატაციო საქმიანობის განხორციელებას, მოტივირებული იქნება პროფესიული თვალსაზრისით ღირსეული წვლილი შეიტანოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. შეძლებს აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტების, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციის და რეგულირების პროცესში, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებას. ბუნებრივი წყლების კლასიფიკაციას, წყლის ხარისხის შემოწმებას და მათ შეფასებას თანამედროვე სტანდარტების (ნორმატივების) გამოყენებით, ასევე მონიტორინგის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

საინჟინრო ამოცანების გადასაჭრელად მათემატიკის ფუნდამენტური თეორიების, პრინციპებისა და კონცეფციების ცოდნა; ზოგადი ფიზიკისა და ქიმიის ძირითადი კანონებისა და პრინციპების ცოდნა; დაპროგრამების ალგორითმული ენის Visual Basic-ის ცოდნა; ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების გაცნობიერება; სხვადასხვა ტიპის ელემენტების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის სიმტკიცეზე, სიხისტეზე, მდგრადობაზე და დინამიკურ დატვირთვებზე გაანგარიშების ცოდნა; სითხეების წონასწორობისა და მოძრაობის ძირითადი ცნებების გაცნობიერება; ჰიდროლოგიისა და წყლის რესურსების მართვის ძირითადი პრინციპების გაცნობიერება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგებისა და წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ცოდნა; ნიადაგისა და წყლის ტიპური დამაბინძურებლების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლების ცოდნა; წყლის ფიზიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური და ბიოლოგიური პროცესების და მისი ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების ცოდნა და გაცნობიერება; გრუნტის წყლების კვლევის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოს დაცვით და სოციალურ კონტექსტში მათი როლის გაცნობიერება. სამგანზომილებიანი (3D) კონფიგურაციის ვიზუალიზაციის, ანალიზის და გადმოცემის მეთოდების ცოდნა; პროექტის მართვის ტექნიკური საშუალებების და დაპროექტების მთავარი პრინციპების ცოდნა; საინჟინრო პროექტირების განხორციელების ეტაპების დაგეგმარების ცოდნა; სენსორული გაზომვების ცდომილებათა განსაზღვრის მეთოდების ცოდნა; საინჟინრო პროექტირებაში ღია და დახურულ სისტემებში ენერჯისა და მასის ბალანსის განსაზღვრის მეთოდების ცოდნა; ელექტროენერჯისა და ელექტროხელსაწყოების გამოყენება აგრო-მრეწველობაში; რესურსმზოგი სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხების გაცნობიერება; ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მათი რეალიზაციის პირობების გაცნობიერება; ინტეგრირებული მიკროსქემების სპეციფიკაციების გვერდების წაკითხვის ცოდნა; არასასურველი სიხშირეების გავლენის ასაცილებლად ანალოგიური სიგნალის სისტემური

უზრუნველყოფის ფილტრის შექმნის ცოდნა; კვების პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფის ცოდნა; ექსპერტიზის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ინჟინერიაში დიდი მოცულობის მქონე მონაცემთა ანალიზზე და შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებების შერჩევაზე ორიენტირებული მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და მათი პრაქტიკაში გამოყენება; რაოდენობრივი ქიმიური გამოთვლები; დედამიწაზე მცხოვრები მრავალფეროვანი ორგანიზმების ძირითადი ჯგუფების ამოცნობა, შედარება და განსხვავება; „Solidworks“ და „Auto Cad“ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით საინჟინრო ამოცანების ამოხსნა; ESRI-ის, ArcGIS -ის და ArcIMS -ის პროგრამების პრაქტიკაში გამოყენება; საინჟინრო ნახაზების კომპიუტერით შესრულება; ჰიდროლოგიური მონაცემების აღქმა, ანალიზი და ინტერპრეტაცია; წინასწარი მითითებების შესაბამისად შერჩეული საინჟინრო მასალების მექანიკური მახასიათებლების (თვისებების) ექსპერიმენტულ განსაზღვრა; საინჟინრო ამოცანების გადასაწყვეტად, სითხეების წონასწორობისა და მოძრაობის ძირითადი ცნებების, განტოლებების და კანონების პრაქტიკაში გამოყენება; ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის მაჩვენებლების განსაზღვრა; საინჟინრო დიზაინის განხორციელება; სხვადასხვა სერნსორების გამოყენება საინჟინრო პრაქტიკაში; თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების პირობებში განახორციელოს სასოფლო სამეურნეო კულტურების წარმოება; ფასწარმოქმნისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრის პირობების გარკვევა; კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად მარტივი ლოგიკური სქემების შექმნა; მიზნობრივი ორატორული (საჯარო) სიტყვის ფორმატირება და შესაბამისი სახით პრეზენტაცია.

დასკვნის უნარი:

გააჩნია აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის, პრობლემის იდენტიფიცირების, დასმის, გაანალიზებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით საინჟინრო მონაცემების შეგროვება, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შესასრულებელი სამუშაოს გააზრებისას, მარტივი შეცდომების გამოვლენა, ტექნიკური ლიტერატურის დახმარებით ამ შეცდომების გაანალიზებისას შესაბამისი დასკვნების გამოტანა; საინჟინრო ნაგებობათა გაანგარიშების და ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ბუნებრივი რესურსების დამცავი ღონისძიებების შესამუშავებლად ალტერნატიული ვარიანტების ინჟინრული ანალიზი და შეფასება; სერნსორების გაზომვებით მიღებული მონაცემების ანალიზი და ცდომილებათა შეფასება; ელექტროინჟინერიის სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობის უნარი, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირების ჩათვლით; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სფეროში მექანიზებული ტექნოლოგიური პროცესებისა და სერვისის შესახებ შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი; წარმოების დანახარჯებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; კვების პროდუქტების ექსპერტიზისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; მიზნობრივი ორატორული (საჯარო) სიტყვის შექმნისა და კონკრეტულ აუდიტორიასთან ადეკვატური კომუნიკაციის

დამყარების მიზანშეწონილობაზე დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი:

პროექტირების პროცესში ზეპირსიტყვირად და წერიტი ტექნიკური ანგარიშების სახით საკუთარი აზრის, მსჯელობისა და დასკვნების ნათლად ჩამოყალიბება; ფართო ტექნიკური აუდიტორიის წინაშე პროექტის მიმდინარეობის ეტაპობრივი ანგარიშებისა და საპროექტო წინადადებების წარდგენა და პრეზენტაცია; სპეციალისტებისათვის და არასპეციალისტებისათვის წერიტი და ზეპირი ანგარიშების მისაღები ფორმით მიწოდება; მიზნობრივი საჯარო სიტყვის სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე პრეზენტაცია და პიროვნებათშორისი კომუნიკაციების დამყარება; სპეციალისტებისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ლაკონურად მიწოდება; მოსაზრებებისა და ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის თანმიმდევრულად წარმოჩენა ენერგეტიკოსებისა და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის; აგროინჟინერიის დარგში მოსაზრებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა; მიზნობრივი საჯარო სიტყვის სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე პრეზენტაცია და პიროვნებათშორისი კომუნიკაციების დამყარება.

სწავლის უნარი:

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ, პროფესიული კარიერის განვითარების მიზნით, სწავლის საჭიროებების დადგენა და პროცესის გაგრძელება. წყალთამეურნეობის სფეროში ახალი ცოდნის მიღების და საკუთარი სწავლის პროცესის საჭიროებების დადგენა; სწავლის საშუალებების მოძიება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა და წარმართვა; ორატორული ხელოვნების ვერბალური და არავერბალური ტექნოლოგიების ცოდნის პროფესიული საქმიანობისათვის მნიშვნელობის გააზრებით საკუთარი სწავლის გაგრძელების საჭიროებისა და მიმართულების განსაზღვრა.

ღირებულებები:

პროფესიული ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედება; აგროინჟინერიის პროფესიული ქცევის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დასამკვიდრებლად სწრაფვა. კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში აგროინჟინერიის პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების დაცვა; საკუთარი და კოლეგების პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა, მათ მიმართ დამოკიდებულების დაფასება და დასამკვიდრებლად სწრაფვა; აგრარულ და ბიოსისტემების დაპროექტება და მართვისას საკუთარი და კოლეგების პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა; აგროინჟინერიის დარგში ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

შეფასების წესი

	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>7. საკონტაქტო პირი (ლალი ლოდელიანი/-/ lali_gtu@gtu.ge /)</p>	

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
სატყეო საქმე	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	სატყეო საქმის ბაკალავრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>პროგრამის მიზანია ჩამოყალიბდეს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტყეთმონყობის, მეტყევეობისა და სატყეო ტექსტილის საფუძვლების პრაქტიკაში გატარებას; ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიის განხორციელებას, სათანადო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციას. აგრეთვე, ტყეკაფითი ფონდების რაციონალურად გამოყენებას, ტყეკაფით სამუშაოებზე უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფას, ხე-ტყის დამზადების მცირედანაკარგებიანი ტექნოლოგიების, ხე-ტყის დამზადების ნარჩენების უტილიზაციის და ეკოლოგიური მოთხოვნების საკითხების დაცვას. მერქნული ნედლეულის შერჩევას მისი თვისებების, თავისებურებების და სახეობების მიხედვით. ზედა და ქვედა ტყეკაფზე მომუშავე საწყობებში მერქნის პირველადი გადამუშავების დანერგილი ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებას,</p>

დამონტაჟებულ ჩარხ-დანადგარებთან უსაფრთხო მუშაობაზე ზედამხედველობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ სატყეო საქმის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც სატყეო ეკოლოგიის, ისე სატყეო მეურნეობის მუშაკებისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;
- ✓ სატყეო სფეროს ფართო თეორიული ცოდნა, მისი მიღწევებისა და სიახლეების კრიტიკული გააზრება და სატყეო ტერმინოლოგიის ცოდნა.
- ✓ სატყეო სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- ✓ სატყეო წარმოების ზოგადი სტრუქტურის, ტექნოლოგიური საკითხებისა და ძირითადი მოწყობილობების ასპექტების ცოდნა.
- ✓ სატყეო საქმის სფეროში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა კომპლექსური საკითხების კრიტიკული გააზრებისა და გაცნობიერების მიზნით.
- ✓ შრომის უსაფრთხოების და საგენგებო სიტუაციების მართვის ზოგადი ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- ✓ მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება სატყეო საქმეში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.
- ✓ სატყეო საქმეში პრობლემების გადასაჭრელად სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება;
- ✓ სატყეო საქმეში პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების უნარი ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ✓ ბუნებრივი ეკოსისტემების ხელუხლებელი სახით შენარჩუნება და ბიომრავალფეროვნების დაცვის უნარი.
- ✓ ეკოტურიზმის განვითარება და ლანდშაფტის დაგეგმარებაში მონაწილეობის მიღება ბიოეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ✓ ტყეკავის გაწმენდის მეთოდების საფუძველზე ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების დასახვაში მონაწილეობის მიღებისა და ამ მეთოდების პრაქტიკაში გატარების უნარი.

დასკვნის უნარი

- ✓ მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ✓ სატყეო წარმოების მუშაობის შეფერხების პრობლემების გამოვლენის უნარი;
- ✓ სატყეო სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და განმარტების უნარი;
- ✓ განყენებული მონაცემების სიტუაციების ანალიზი სტანდარტული ან გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი.

- ✓ საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.
- ✓ სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- ✓ სატყეო საქმეში პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- ✓ სატყეო საქმეში პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.
- ✓ სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენაზე;
- ✓ ტექნიკური აზრის წაკითხვისა და გადმოცემის უნარი.

სწავლის უნარი

- ✓ სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;
- ✓ ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
- ✓ სატყეო საქმეში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები

- ✓ სატყეო საქმის პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ✓ ეთიკისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- ✓ მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- ✓ ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- ✓ სატყეო საქმის სფეროში მომუშავე პერსონალისადმი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება და დაცვა, სატყეო საქმის წარმოება ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობებით განუხრელი დაცვით და მონაწილეობის მიღება

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

<ul style="list-style-type: none"> • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

8. საკონტაქტო პირი (ზაურ ჩიტძე/577433452/z.chitidze@gtu.ge /-/)

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა	
აგრობიზნესის მენეჯმენტი	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მენეჯმენტის სპეციალობით
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ აგრო-ბიზნესის, აგრარული წარმოების, მიწის რესურსების მართვას, დაეუფლებიანრამისათვის საჭირო ძირითად უნარ-ჩვევებს. სტუდენტები პროგრამის ფარგლებში შეისწავლიან იმ საგნებს, რაც მათ საბაზრო სივრცეში დამოუკიდებელი ორინტირების საშუალებას მისცემს. ისინი აგრეთვე დაეუფლებიან აგრარული სფეროს სისტემური აღქმისთვის საჭირო დისციპლინებს, რაც მათ დაეხმარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალურად ორგანიზების და მართვის საქმეში.</p> <p>აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის პროგრამა საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ისეთი კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან თანამედროვე ცოდნითა და გარემოში ადაპტირების უნარ-ჩვევებით და შეძლებენ ბიზნესის ეფექტიან მართვას.</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>ცოდნა და გაცნობიერება– საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს არჩეული მოდულის შესაბამისად ექნება აგრო-ბიზნესისა და აგრარული წარმოების, მიწის რესურსების მართვის სფეროების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს: სტრატეგიული მენეჯმენტის, აგრარული საწარმოს ეკონომიკის, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკის, ეკონომიკური ანალიზის, აგროპროდუქტების მარკეტინგის, აგროსასურსათო სექტორში კოოპერაციული და</p>

ინტეგრაციული პროცესების, მიწის მართვის, გეოდეზიის, მიწის კადასტრის, მიწის სამართლებრივი რეგულირების, უძრავი ქონების ეკონომიკის, სამიწათმოქმედო დაპროექტების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; აღნიშნულის საფუძველზე კურსდამთავრებულნი გაცნობიერებს

პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების საზღვრებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ბაკალავრი კურსის დასრულების შემდეგ შეძლებს: პროცესების იდენტიფიცირებას, საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვას, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრას, მიზნის ფორმულირებას; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრას: დროითი ჩარჩოების დაგეგმვას და მართვას, ბიზნეს-გარემოს შეფასებას, მასთან ადაპტირებას, მარკეტინგული კვლევების განხორციელებას, ანგარიშგების მომზადებას და საჭიროებისამებრ წარდგენას, ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაციას, ფინანსური ინფორმაციის ანალიზს და ანგარიშგების მომზადებას, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენებას, ბიუჯეტის მომზადებას, ბიზნეს-გეგმის შედგენას. იგი სათანადო ხელმძღვანელობის და მითითებების პირობებში მზად იქნება პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებისთვის აგრო-ბიზნესის, აგრარული წარმოების და მიწის რესურსების მართვის მიმართულებით. რისთვისაც გამოიყენებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ეკონომიკის, აგრარული მიმართულებებით დაგროვილ ცოდნას.

დასკვნის უნარი – სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებს ბიზნესის და აგრარული სფეროსათვის დამახასიათებელი, მისი პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას. ასევე

სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, განყენებულ მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს და დასაბუთებულ დასკვნის ჩამოყალიბებას; პრაქტიკული გადაწყვეტილების დასაბუთებას; გადაწყვეტილების თანმიმდევრი მოვლენების დაკვირვებას და შეფასებას.

კომუნიკაციის უნარი – ბაკალავრს შეეძლება ეკონომიკური და აგრარული ტერმინოლოგიის გამოყენებით

იდებინოს ან ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა ხარისხობრივი დარაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. ფართო აუდიტორიისათვის მოხსენების ან პრეზენტაციის წარდგენა; უცხოურენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, გადაცემა და ანგარიშის მომზადება; კოლექტივთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება.

სწავლის უნარი – აგრობიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება

საკუთარ სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში; ბიზნესის და აგრარული მიმართულებით ცოდნის პერმანენტული განახლება.

ღირებულებები – აგრობიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეძენილი აქვს საკმარისი მაღალი ცოდნა მისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. შეძლებს მონაწილეობა მიიღოს ღირებულებათა ფორმირების პროცესში და უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში დანერგვას. პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების კრიტიკულ შეფასებას.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

<ul style="list-style-type: none"> • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>9. საკონტაქტო პირი (პაატა კოლუაშვილი/597-33-34-75/ paata.koguashvili@hotmail.com / ქ.თბილისი, ზაქარიაძის ქ. N8, ბ.35)</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგია	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	120
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციალიზაციით
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც ფლობს ეკოლოგიურად უსაფრთხო, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მაღალი შემცველობის სამკურნალო მცენარეთა კულტივირების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ძვირადღირებული თესლის ბანკის შექმნის პარამეტრების შესახებ საჭირო ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს ფიტონდუსტრიის განვითარებისათვის ინტელექტუალური ბაზის შექმნას, უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა - კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	ცოდნა და გაცნობიერება – კურსდამთავრებულს აქვს სამკურნალო მცენარეების მაღალპროდუქტიული სამრეწველო პლანტაციების ბიომოდელის შექმნის ღრმა ცოდნა ეკოსისტემის პარამეტრებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ურთიერთქმედების გათვალისწინებით, ღრმა და სისტემური ცოდნა სამკურნალო მცენარეების როლის შესახებ თანამედროვე ფიტონდუსტრიაში; აცნობიერებს მცენარეული ნედლეულის და მისი დამზადების მეცნიერულ საფუძვლებს; სამკურნალო მცენარეების სამრეწველო პლანტაციების კულტივირების ტექნოლოგიებს; აქვს მცენარეთა ბიოტექნოლოგიაში გამოყენებული in vitro კულტივირების მეთოდების ღრმა ცოდნა, რაც აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა ფიტონდლეულის მისაღებად. იგი აცნობიერებს თანამედროვე ფიტონდუსტრიის პრიორიტეტულ მიმართულებებს: ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიონედლეულის მიღების და

მვირადღირებული თესლის ბანკის შექმნის მექანიზმებს; შეუძლია ეკონომიკურად მომგებიანი ბიომოდელების შექმნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კურსდამთავრებულს კვლევების დამოუკიდებლად განხორციელების უნართა და კულტივირების ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნით შეუძლია ქვეყნის უნიკალური და უმდიდრესი ფიტოგენოფონდის უმნიშვნელოვანესი სახეობების (ენდემები, რელიქტები) რაციონალური, მდგრადი გამოყენების სქემები დაუკავშიროს ეკონომიკურად მომგებიანი მცენარეების სამრეწველო პლანტაციების შექმნის მექანიზმებს; დამოუკიდებლად გაუმდგეს ბიომეურნეობას ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულისა და მვირადღირებული თესლის ბანკის შესაქმნელად.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და არსებული ინფორმაციების სინთეზის შედეგად შესაბამისი დასკვნების გაკეთება ფიტოპროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად; პრობლემის გადაწყვეტისთვის სოციალურად და ეკონომიკურად არგუმენტირებული ქმედებების განხორციელება; დისკუსიის მოწყობა და შედეგებიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით კურსდამთავრებულს აქვს ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებისთვის, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სამკურნალო მცენარეების გამოყენების სფეროში დასაქმებული სხვა პირებისთვის საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციისა და სამკურნალო მცენარეთა კულტივირების თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირების უნარი.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე ფიტონდუსტრიის განვითარების მენეჯმენტში სამკურნალო მცენარეების ჩართვით, რის საფუძველზეც შეუძლია პროფესიულ სივრცეში ორიენტირება; თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების შესწავლა.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება და განუვითარდება პროფესიული ეთიკის, აკადემიური პატიოსნების, გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთქმედების და თანამშრომლობის მაღალი სტანდარტები, ქვეყნის უნიკალური ფიტოგენოფონდის დაცვა-კონსერვაციის და მდგრადი განვითარებისაკენ სწრაფვა. ასევე შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ფიტონდუსტრიის ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

(A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. საკონტაქტო პირი (თამარ კაჭარავა /599215935/ t.kacharava@gtu.ge / ქ.თბილისი, სოფიკო ჭიაურელის 9, ბ. 11/)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

აგრარული ტექნოლოგიები

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

120

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, აგრონომიის სპეციალობით

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს, მომზადდეს მაგისტრი, რომელთაც განუვითარდებათ საერთო კულტურული პიროვნული თვისებები და პროფესიული კომპეტენციები. მათ შეეძლება მემცენარეობის უვნებელი პროდუქტების წარმოებისათვის აგრარული პოლიტიკის თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტა. მათ ეცოდინებათ სხვადასხვა სახის აგროტექნოლოგიებით, განსაზღვრონ მაღალი ხარისხისა და მაღალი მოსავლიანობის მიღწევის შესაძლებლობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის შეარჩიონ და შეაფასონ ნიადაგობრივ-კლიმატური ზონები, აგრეთვე აგროფიტოცინოზის მდგომარეობის შეფასებისა და კორექციის უნარი, მცენარეთა დაცვისათვის და კვებისათვის მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით აგრონომიაში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და კვლევითი მეთოდების დანერგვა, მსოფლიო აგრარული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ცოდნა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- ცოდნადაგაცნობიერება – აქვსსფეროსღრმადანსისტემურიცოდნა, რომელიცაძლევსახალი, ორიგინალურიიდეებისშემუშავებისსაშუალებას, აცნობიერებსცალკეულიპრობლემისგადაჭრისგზებს;
 - ცოდნისპრაქტიკაშიგამოყენებისუნარი – ახალ, გაუთვალისწინებელდამულტიდისციპლინურგარემოშიმოქმედება; კომპლექსურიპრობლემებისგადაწყვეტისახალი, ორიგინალურიგზებისძიება, მათშორის, კვლევისდამოუკიდებლადგანხორციელებაუახლესიმეთოდებისადამიდგომებისგამოყენებით;
 - დასკვნისუნარი – რთულიდაარასრულიინფორმაციის (მათშორის, უახლესიკვლევების) კრიტიკულიანალიზისსაფუძველზედასაბუთებულიდასკვნებისჩამოყალიბება; უახლესმონაცემებზედაყრდნობითინფორმაციისინოვაციურისინთეზი;
 - კომუნიკაციისუნარი – თავისიდასკვნების, არგუმენტაციისადაკვლევისმეთოდებისკომუნიკაციააკადემიურთუპროფესიულსაზოგადოებასთანქართულდაუცხოურენებზე, აკადემიურიპატიოსნებისსტანდარტებისადასაინფორმაციო-საკომუნიკაციოტექნოლოგიებისმიღწევათავალისწინებით;
 - სწავლისუნარი – სწავლისდამოუკიდებლადწარმართვა, სწავლისპროცესისთავისებურებებისგაცნობიერებადასტრატეგიულადდაგეგმვისმაღალიდონე;
- ღირებულებები** – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

შეფასების წესი

<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>2. საკონტაქტო პირი (გიორგი დანელია /555400932/ giorgidanelia@posta.ge / ქ.თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი)</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
აგრობიზნესის მენეჯმენტი	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	120
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ ღრმა და სისტემურ ცოდნას აგრობიზნესის სფეროებში, დაეუფლებიან დარგობრივ და ზოგად უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისათვის აგროსასურსათო სექტორში. პროგრამა კონკურენტუნარიანია და მისი დასრულების შემდეგ კვალიფიციური სპეციალისტები შეძლებენ აგრობიზნესში პრობლემის, დიაგნოზისა და ალტერნატიული განზოგადების ანალიზს; რაციონალური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას; აგრობიზნესის კატეგორიების, ცნებებისა და მეთოდების ცხოვრებისეულ პრობლემებთან მისადაგებას. მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციას; ახალ გარემოში ადეკვატურ მოქმედებას; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას და მასში უახლესი მეთოდებისა

და მიდგომების გამოყენებას;

სამაგისტრო პროგრამა შედგება აგრობიზნესის მენეჯმენტის მიმართულების შესაბამისი სპეციალური კურსების და სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან. მისი დასრულების შემდეგ მაგისტრები მზად იქნებიან: მენეჯერული საქმიანობისთვის, სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისთვის და რეალურ ბიზნესში პრაქტიკული მუშაობისთვის. კურსდამთავრებული შეძლებს აგრობიზნესში პრობლემის, დიაგნოზისა და ალტერნატიული განზოგადების ანალიზს, რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას, აგრობიზნესის კატეგორიების, ცნებებისა და მეთოდების ცხოვრებისეულ პრობლემებთან მისადაგებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ა) ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრს პროგრამის „აგრობიზნესის მენეჯმენტი“ დასრულების შემდეგ ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, შემდეგ დისციპლინებში: მსოფლიო სოფლის მეურნეობა, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, ინოვაციური მენეჯმენტი, ქართული ტრადიციული აგროკულტურა, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზება აგროსექტორში, კონკურენტული სტრატეგიები, ბიზნესის მენეჯმენტი აგრარულ სექტორში, ბიზნესის ქსელური ორგანიზაცია, მარკეტინგული კომუნიკაციები, ამოცანათა დასმისა და გადაწყვეტილების მიღების მოდელები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კლიმატური პოტენციალი.

მიღებული ცოდნა მისცემს მაგისტრს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, რის საფუძველზეც გააცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სამაგისტრო პროგრამის „აგრობიზნესის მენეჯმენტი“ დასრულების შემდეგ მაგისტრებს შეეძლებათ ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; ისინი გახდებიან აგრობიზნესის მენეჯერები და უმაღლესი კლასის დაგეგმვის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ უნარი სიახლეები შეიტანონ და ინოვაციურად მართონ დარგი. ისინი მაღალ დონეზე ჩაერთვებიან სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. მიღებული უნარჩვევების საფუძველზე მაგისტრები აგრეთვე შეძლებენ: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზებას და ამ საქმისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვას; აგრარულ ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოვლენას, შეფასებას, ანალიზს და პროგნოზირებას; აგრარული საწარმოს რისკების დაგეგმვას და მართვას; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მმართველობითი და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას; აგროსექტორში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებას; მატერიალური, არამატერიალური და საფინანსო ნაკადების მართვას; სასოფლო-სამეურნეო სექტორში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზს; აგრობიზნესში მოღვაწე საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებას; აგრობიზნესის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. მაგისტრები პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ გადაწყვეტენ აგროწარმოების სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ ამოცანებს; ხარისხის მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით აწარმოებენ უვნებელ და ეკოლოგიურად საღ პროდუქციას; დაგეგმვენ და პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენებენ კონკურენტულ სტრატეგიებს; განახორციელებენ მარკეტინგულ კვლევებს; შეიმუშავენ

აგროპროდუქციის წინწაწევის პოლიტიკას და მოახდენენ მისი მომხმარებლებისთვის მიწოდებას.

გ) დასკვნის უნარი - მაგისტრს „აგრობიზნესის მენეჯმენტის“ პროგრამის დასრულების შემდეგ ექნება რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, პრობლემის გადაწყვეტისთვის სოციალურად და ეკონომიკურად არგუმენტირებული ქმედებების განხორციელების უნარი, რის საფუძველზეც მას აგრობიზნესის და ეკონომიკის სხვა სფეროებში შეეძლება გასწიოს მაღალკვალიფიციური კონსულტირება. იგი უახლეს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეძლებს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, რაც დიდად გაზრდის მის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის ხარისხს და კრეატიულობას შესძენს მას.

დ) კომუნიკაციის უნარი - მაგისტრი „აგრობიზნესის მენეჯმენტის“ პროგრამის დასრულების შემდეგ აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით შეიძენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებისთვის, ასევე აგრობიზნესის სფეროში დასაქმებული სხვა პირებისთვის გადაცემის უნარს, რის საფუძველზეც იგი შეძლებს მათთან ნაყოფიერ თანამშრომლობას და მათ მაღალხარისხიან კონსულტირებას.

ე) სწავლის უნარი - მაგისტრს „აგრობიზნესის მენეჯმენტის“ პროგრამის დასრულების შემდეგ შეეძლება სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, უახლესი რელევანტური ინფორმაციის, ბეჭდური თუ სხვა სახის მასალის მოპოვება და ამის საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა აგრობიზნესის სფეროში კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფისთვის. მას ექნება საკუთარი სწავლის პროცესის სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე, რის საფუძველზეც ის შეძლებს პროფესიულ სივრცეში თავისუფალ ორიენტირებას.

ვ) ღირებულებები - „აგრობიზნესის მენეჯმენტის“ პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ჩამოუყალიბდება და განუვითარდება პროფესიული ეთიკის, აკადემიური პატიოსნების, გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთქმედების, მომხმარებლების მოთხოვნილებების მაღალხარისხიანი უზრუნველყოფის, კოლეგიალურობის და თანამშრომლობის. ის შეძლებს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-4/60%;

	<p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>3. საკონტაქტო პირი (პაატა კოლუაშვილი/597-33-34-75/ paata.koguashvili@hotmail.com / ქ.თბილისი, ზაქარიძის ქ. N8, ბ.35)</p>	

<p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>აგრონომია (ინგლისურენოვანი)</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>120</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>Master of Agronomy</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ინგლისური</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>The main objective of this program is to prepare students to become agricultural leaders, specialists, and scientists in order to meet the demands of worldwide industrial, social, and governmental needs. The program will provide a broad knowledge and understanding in various aspects, such as, professional communication skills handling in current issues in agronomy in the world, effective approaches in agricultural market production in various cultures, and application of current knowledge and techniques in agro-industry for contributing to local and national agriculture development. This program provides practical techniques and introduces current knowledge of biotechnology, organic farming, and conventional breeding methods so that students can handle agricultural issues in various and specific ways to improve plant varieties, species, cultivars and genetic resources according to human needs and market demands for increasing individual, industrial, and national profits. Therefore, this program is designed to educate and train students to become agricultural professional leaders and specialists with knowledge and experience in the state of the art agricultural science so that they can act effectively and confidently involve themselves in solving agricultural barriers at their work place and their respective countries. Moreover, by focusing on the state of art research interests in the world, students will be able to work not only in conventional fields of agriculture but also in applied agronomic fields such as the sports field industries, natural resources industries, garden industries, biomedical industries and so on.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

Knowledge and understanding:

- The deep and systematic knowledge of crop science.
- Knowledge and understanding of how agricultural productivity can improve food security and assist societies with the ability to streamline more efficient food production methodologies.
- By combining research with in-depth instruction in agronomy, students will have proper knowledge and understanding of the function of the majority of important agronomical genes that can improve useful agronomical characters.
- The knowledge of cultural history and geography of crop growing in agronomic regions worldwide.
- Additionally, students will gain knowledge and understanding of plant anatomy; experience site analysis and improving cultivar; learn the methods of conventional selection and marker assisted selection, nutrient needs of plants, diseases and insect pests management, crop regulation, breeding, and crop management decision.
- Other key objectives include: Understanding of genomics and chemistry of plants; Knowledge of international crop producing regions, major crop by the region and culture; Knowledge and understanding of agronomy's problem and current issues; Understanding the main determination factors of food quality; Knowledge and understanding of technological processes and methods of plant improvement; Knowledge and understanding of sports field management and turfgrass management;
- Knowledge of systems of organic agriculture;
- Understanding of the important issues of soil composition and ecology;
- Knowledge of modern approaches for development and management fruit and ornamental gardening.
- Understanding of the key points of wine business development and management .

Applying knowledge:

- Ability of independently planning and implementing the necessary research and measures for maintaining crop field, by consideration of crop variety and cultivar, soil composition and environmental conditions.
- Ability to identify genes for specific resistant and characters and develop marker.
- Ability to select desired variety by marker assisted selection.
- Ability to improve crop, fruit, and turf cultivar in desirable agronomic character.
- Ability to diagnose nutrient and plant condition, and disease problems and searching for original ways of their solution.
- Ability to recognize common nutrient deficiencies and pest infestations and their complex resolution.
- Ability of usage of newest methods, materials and devices for production high quality products by genetic marker, proper to world market demands.
- Ability of independently carrying out quality control in the agronomic field and products. The assessment of risks through unforeseen circumstances and action in new non-predictive multi disciplinal reality.
- Ability to perform laboratory trials on final products over a broad range of addition rates.

Making judgments:

- Ability to select proper variety to develop superior cultivar in certain circumstance.
- Ability to analyze abstract data of agronomy's field, using various methods.
- Ability of understanding the scope of work in manufacturing and research processes.
- Ability of making predictive analyses and proper inferences about current situation during

implementation of technological operations.

- Ability to evaluate historical reasons for successful crop production in different regions of the world.
- Ability to evaluate soil and climate data of a potential crop field site to determine: how to prepare it for planting; which crop and which cultivar will grow best there; and what kind of fertilizer or herbicides will work best for the site

Communication skills:

- Ability to communicate concerning agronomical issues with international scholars for the purpose of introducing and explaining the superiority of one's own products.
- Ability to present to the target audience and carry out interpersonal communication.
- Ability to use scientific vocabulary to describe basic process steps involved with developing varieties and cultivar.
- Ability to prepare a research paper focusing on a chosen aspect of the history of research.
- Ability to interpret, analyze and evaluate journal, text publications in agronomy

Learning skills: Assessment of the personal learning process in a coherent and versatile way. Understanding the learning characteristics of the process. Ability of finding, learning and usage of the literature, technical and technological methods for new objectives while acquiring with the accomplishment in agronomy field. Ability to work on publications and to foresee the literature sources during the researches, carried out plants and environment, plants cultivation and growing issues. Identification of further learning needs in agronomy field, based on strategic planning and management of future learning.

Values:

Maintenance and protection of significant definitive professional ethics for agronomist in accordance with the basic laws of action. Based on professional values, the statement of agronomy's field development necessity in the political, economic and social aspects on local and international level. Reception of the agro-scientist with the professional, ethical responsibility and values. Apply academic and professional ethics and values during their internship and while critically evaluating their experience.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

4. საკონტაქტო პირი (ელიჯაკ შუკჯოო ჩანგი/557216635/ sukjoochang@gmail.com / - /)	

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

მევენახეობა და მეღვინეობა

	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	აგრარული მეცნიერებების მაგისტრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, მოამზადოს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის კვალიფიციური კადრები. სტუდენტს შეასწავლოს დარგის ის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც აუცილებელია აღნიშნულ სფეროში მოღვაწე სპეციალისტისათვის: ვენახის გაშენება და მოვლა; ყურძნის მოყვანისათვის აუცილებელი წესები და პირობები; საქართველოში და მსოფლიოს მევენახეობის რეგიონებში კულტივირებული ყურძნის ჯიშები; საქართველოსა და მსოფლიოს ენოლოგიური ტრადიციები; ღვინის, ბრენდისა და ყურძნის არყის წარმოებისას მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები, საჭირო მასალები და მოწყობილობები; ყურძნისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა; პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრების ანალიზის მეთოდები; ალკოჰოლური სასმელების სენსორული შეფასება; სამეცნიერო სამუშაოების განხორციელება.</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>1. ცოდნა და გაცნობიერება –მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში აქვს ღრმა და სისტემატური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. ვენახის გაშენების, მოვლის, ყურძნის მოყვანის წესების ცოდნა და გაცნობიერება. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოებისას მიმდინარე პროცესების, გამოყენებული მოწყობილობების, მასალების ცოდნა და ტექნოლოგიური თავისებურებების გაცნობიერება. ნედლეულისა და მზა პროდუქციის ფიზიკურ-ქიმიური</p>

შედგენილობის, ანალიზის მეთოდების და ორგანოლეპტიკური თვისებების ცოდნა. ღვინის დაყენების მსოფლიოს ტრადიციული ტექნოლოგიების გაცნობიერება.

2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – ახალ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედება: ვენახის მოვლისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ნედლეულის, მასალის და მზა პროდუქციის ხარისხის შეფასება; წარმოების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და რისკების შეფასება; ყურძნის ტკბილის, ღვინის და მისგან დამზადებული სხვა ალკოჰოლური სასმელების სერტიფიკაციისა და ხარისხის დადგენისათვის საჭირო პარამეტრების განსაზღვრა; ცალკეული პროდუქციის დამზადებისას რთველის ოპტიმალური პერიოდის დადგენა, ყურძნის ტექნიკური სიმწიფის გაანგარიშება; ნედლეულისა და პროდუქციის ორგანოლეპტიკური შეფასება; საწარმოო და სხვა სახის დეგუსტაციების ორგანიზება. კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი ორიგინალური გზების ძიება: ყურძნის მოყვანისა და მისგან ალკოჰოლური სასმელების დამზადების პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა; ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების კონკრეტულ სიტუაციებში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო სტრატეგიის განსაზღვრა. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
3. **დასკვნის უნარი** – მეღვინეობისა და მევენახეობის დარგის საწარმოო და სამეცნიერო სფეროში, რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ტექნოლოგიური პროცესების მართვის და ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში კრიტიკული აზროვნება, უსაფრთხოების შეფასება, სავარაოდო შედეგების და რისკების განსაზღვრა, პრობლემებზე ადექვატური რეაგირება; პროდუქციის სრულყოფისა და ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინება, ახალი რესურსების საჭიროების განსაზღვრა; პროდუქციის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებისა და ორგანოლეპტიკური შეფასების სინთეზის საფუძველზე, პროდუქციისა და ნედლეულის ხარისხზე კვალიფიციური დასკვნის ჩამოყალიბება; დარგის მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრა;
4. **კომუნიკაციის უნარი** – მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; ნებიმიერი ტიპის, მასშტაბის, ინფორმაციის ლაკონურად, გასაგებად ქართულ და უცხოურ ენაზე გადმოცემა; პროფესიული დოკუმენტაციის შედგენა და წარდგენა; არსებული მდგომარეობის, რისკების შეფასების და პერსპექტივების განსაზღვრის საფუძველზე, გაწეული საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირებისათვის, კოლეგებისათვის, ზეპირი და წერილობითი ანგარიშის მომზადება და და წარდგენა.
5. **სწავლის უნარი** – სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; საწარმოსა და მეურნეობაში ახალი რესურსების გამოვლენის, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინების, ინოვაციური მეთოდების დანერგვისა და პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, უახლესი ლიტერატურის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების მოძიება, შესწავლა და გამოყენება; ექსპერიმენტული კვლევისას

	<p>უახლესი ლიტერატურულ წყაროებზე მუშაობა. პროფესიული ზრდის სტრატეგიის დაგეგმვა და სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.</p> <p>6. ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა; პროფესიული ღირებულებებიდან გამომდინარე, დარგის განვითარების პერსპექტივის არგუმენტაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში; კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების და ახალი ღირებულებების დამკვიდრება.</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>5. საკონტაქტო პირი (მარიამ ხომასურიძე/577440004/ m.khomasuridze@gtu.ge / ქ. თბილისი გამყრელიძის ქუჩა №6 /)</p>	

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
მეცხოველეობა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	მეცხოველეობის მაგისტრი
	სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის მაგისტრი მეცხოველეობის დარგში. მან მიღებული ცოდნის საფუძველზე უნდა შეძლოს იდეების შემუშავება და პრობლემების გადაჭრა.

მაგისტრს შეეძლება ასევე მულტიდისციპლინურ გარემოში მეცხოველეობაში არსებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. იმუშაოს როგორც კვების, ისე ტექნოლოგიის და მოშენების მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად და გამოიყენოს ახალი მეთოდოლოგიები, რაც მეცხოველეობას უფრო მომგებიანს და რენტაბელურს გახდის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს მეცხოველეობის დარგში ღრმა და სისიტემური ცოდნა, აცნობიერებს დარგში არსებული პრობლემების და მისი გადაჭრის გზებს. აქვს უნარი შექმნას მეცხოველეობის ფერმები და მეფრინველეობის ფაბრიკები და განახორციელოს მათი ექსპოლოატაციაში მიღების გეგმები, მეცხოველეობაში და მეფრინველეობაში განავრცოს ინოვაციური საქმიანობა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს მეცხოველეობის დარგში ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. აცნობიერებსდა შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორგინალური გზების მოძიება. ასევე შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები უახლესი მეთოდების და მისდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი მაგისტრანტს შეუძლია უახლესი კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზი, მიღწეული შედეგების შეჯერება და სინთეზი და ასევე, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი -მაგისტრანტს შეუძლია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ურთიერთობისას მიღებული ინფორმაციის გააზრება და დამუშავება; ჩატარებული კვლევის, წერილობითი ანგარიშის მომზადება მეცხოველეობაში დარგობრივი მასალის კვლევის შედეგად, მისი დაფიქსირება და გადატანა პრაქტიკულ სფეროში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის წარმართვისას როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე პროფესიული კომუნიკაცია; აუდიტორიის წინაშე საჯარო გამოსვლა.

სწავლის უნარი დარგში ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა და დამოუკიდებლად წარმართვა.

ღირებულებები - კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების დაცვა; საკუთარი და კოლეგების პროფესიული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულების დაფასება; თანამედროვე ინოვაციური ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

<p>შეფასების წესი</p> <p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> ● (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ● (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ● (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; ● (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ● (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> ● (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ● (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>6. საკონტაქტო პირი (მანანა ცინცაძე/593 31 16 53/ m.tsintsadze@gtu.ge / -/)</p>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
ორგანული სოფლის მეურნეობა	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
120	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
აგრარული მეცნიერებების მაგისტრი ორგანული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციით	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	
პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მოამზადოს აგრარულ სფეროში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრები, რომლებიც მიღებული მეცნიერული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ დასაქმდნენ თანამედროვე მზარდ	

კონკურენტულ გარემოში. სტუდენტს შეასწავლოს დარგის ის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც ორიენტირებული იქნება კვლევაზე და აუცილებელია აღნიშნულ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის. მემცენარეობისა და მეცხოველეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისათვის, აგრარული ხაზით ორგანული სოფლის მეურნეობის სისტემის აწყობისა და მართვის შესაბამისად საქართველოს უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა - შენარჩუნებისთვის, მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით სამეცნიერო - კვლევითი მეთოდების დანერგვისათვის, სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის თანმხლები დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება – საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება ცოდნა აგრარული მეცნიერების ორგანული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციით, რომელიც მისცემს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის. გააცნობიერებს ფიტოგენეტიკური რესურსის ბუნებრივი და სამრეწველო მარაგების მონიტორინგს, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ტექნოგენური სიტუაციების დაცვას, მდგრადი გამოყენების შედეგან-ექსპლუატაციის მომგებიან პრიორიტეტებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მაგისტრი შეძლებს დამოუკიდებლად გაუძღვეს ბიო მეურნეობას, განახორციელებს კვლევებს, ასევე ორგანული (ბიო, ეკო) მეურნეობის მოწესრიგებული სისტემის აწყობას და მართვას; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას ბიომეთოდებით. ეკონომიკურად მომგებიან მიმართულებების პრიორიტეტებს დაუკავშიროს საქართველოს უნიკალური და უმდიდრესი ფიტოგენოფონდის უმნიშვნელოვანესი სახეობების (ენდემების) მდგრადი გამოყენება.

დასკვნის უნარი – მაგისტრი შეძლებს თანამედროვე, პრაქტიკული მოთხოვნილების გათვალისწინებით, მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის საფუძველზე, კვლევებით მიღებული შედეგების გათვალისწინებითა და გაანალიზებით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებასა და მათ შორის კავშირის დადგენას.

კომუნიკაციის უნარი – მაგისტრი შეიძენს აკადემიურ საზოგადოებასთან ორგანულ სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციის უნარს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. ასევე შეძლებს ურთიერთობისას მიღებული ინფორმაციის გაზარებასა და დამუშავებას; ჩატარებული კვლევების წერილობითი ანგარიშის და პრეზენტაციების მომზადებას საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს დაინტერესებულ საზოგადოებასთან ნაყოფიერ თანამშრომლობას, მათ მაღალხარისხიან კონსულტირებას.

სწავლის უნარი - მაგისტრი შეძლებს ორგანული სოფლის მეურნეობაში არსებული აქტუალური საკითხების გაცნობიერებას, უახლესი რელევანტური ინფორმაციის, ბეჭდური თუ სხვა სახის მასალის მოპოვებასა და მის საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფისთვის.

ღირებულებები - მაგისტრს განუვითარდება პროფესიული თანამშრომლობის მაღალი სტანდარტები. შეძლებს წამოჭრას და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ორგანულ სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული საკითხები, შეაფასოს და წვლილი შეიტანოს არსებული დარგის ღირებულებების შექმნაში.

	შეფასების წესი
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7.	საკონტაქტო პირი (ელდარ გუგავა/599382010/ eldargugava@hotmail.com / ქ.თბილისი, იოსებძის 51.ბინა 92./)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ინჟინერიის მაგისტრი სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის სპეციალიზაციით
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი ინჟინერიის მაგისტრი სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციაში, რომელიც შეძლებს თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ჰიდრომელიორაციული სისტემების საიმედოობის შეფასებას, სამელიორაციო ნაგებობების დაპროექტებას და ექსპლუატაციას, სარწყავ და დამშრობ სისტემებზე კვლევების დამოუკიდებლად

განხორციელებას და დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა; აცნობიერებს მიწების მელიორაციულ ათვისებასთან დაკავშირებული ორიგინალური იდეების შემუშავების და ამოცანების დასმისა და გადაჭრის გზებს; აქვს წყალსამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციის პროექტების შედგენის და მათი ექსპლუატაციაში მიღების ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სამეცნიერო კვლევითი მეთოდოლოგიის, ექსპერიმენტული კვლევების თეორიული საფუძვლების, ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდების გამოყენება; ბიზნეს გეგმის შედგენა, ბაზრის ანალიზი და პრაქტიკული რეალიზაცია; დამოუკიდებელი კვლევების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ორიგინალური გზების ძიება; კონკრეტული კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე კვლევისათვის აუცილებელი მეთოდების და მიდგომების შერჩევა.

დასკვნის უნარი - სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციაში განხორციელებული უახლესი კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, მიღწეული შედეგების შეჯერება და სინთეზი, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი - აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ურთიერთობისას მიღებული ინფორმაციის გააზრება და დამუშავება; ჩატარებული კვლევის, წერილობითი ანგარიშის მომზადება; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის წარმართვისას როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე პროფესიული კომუნიკაცია; აუდიტორიის წინაშე საჯარო გამოსვლა.

სწავლის უნარი - წყალსამეურნეობის სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა და დამოუკიდებლად წარმართვა.

ღირებულებები - კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში ჰიდრომელიორატორის პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების დაცვა; საკუთარი და კოლეგების პროფესიული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულების დაფასება; თანამედროვე ინოვაციური ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

8. საკონტაქტო პირი (შორენა კუპრეიშვილი/577 124174/ sh.kupreishvili@gtu.ge /-/)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

სასურსათო ტექნოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

120

მისანიჭებელი კვალფიკაცია

სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სტუდენტს მისცეს ღრმა სისტემური ცოდნა სასურსათო ტექნოლოგიის სხვადასხვა დარგში. შეასწავლოს სასურსათო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური სქემები, საწარმოო ხერხები და მეთოდები, წარმოებისას მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური პროცესები, შესაბამისი მანქანა-დანადგარები. ახალი საწარმოო რესურსის გამოვლენა და მათ ბაზაზე ახალი სახის პროდუქციის შექმნა, დარგის პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება – სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; დარგობრივი ინფორმაციული ტექნოლოგიების და პროგრამული პაკეტების გამოყენება. ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, პროექტირების და განხორციელების ჩვევების გამომუშავება. ტექნოლოგიური პროცესების დროს კანონზომიერებების და თავისებურებების შემეცნება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; საწარმოს ტექნოლოგიური სქემის და ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობაზე ზრუნვა. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევითი, კონსტრუქციული და ტექნიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. ტექნიკურ საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაციისთვის დადგენილი ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვა. ექსპერიმენტულ –ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა და განვითარება. მანქანა-დანადგარების, ტექნოლოგიური ხაზების საექსპლუატაციო ღირებულებების შეფასება და მათი შემდგომი მოდერნიზაცია.

დასკვნის გაკეთების უნარი – სასურსათო ტექნოლოგიაში რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება პროცესების მოდელირებისა და და ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში.

